

ISSN 1987-6890

ՁՅԹԵԹՁՈՆԵԹՈ

EKONOMISTI

Երկրամասնական Եվրոպական-Վարչակազմային Գիտական

International Scientific - Analytical Journal

1

2 0 1 1

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

ეკონომისტი

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი
გამოდის 2009 წლის იანვრიდან

იანვარი
თებერვალი
მარტი

1

2011

მთავარი რედაქტორი რამაზ აბესაძე

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია

საპარტოვო მენეჯერებთან ერთად აკადემიის წევრ-კორესპონდენტები:
ვლადიმერ კაკაბა, ავთანდილ სილაბაძე, ლეო ჩიქავა

ეკონომიკურ მენეჯერებთან ლოტორები:

იური ანანიავილი, როზეტა ასათიანი, კლიმენტი ანელავილი, თემურ ბერიძე, ბიორბი ბერულავა, ვახტანგ ბურღული, რევაზ ბოგოხია, მიხეილ თოქაიშვილი, რევაზ კაკულია, თემურ კანდელაკი, მურმან კვარაცხელია, ალფრედ კურატაშვილი, იაკობ მისხია, ელგუჯა მემვაბიშვილი, ბიორბი კაკაბა, შანგი სამაღაშვილი, როლანდ სარჩიშვილი, ავთანდილ სულაბერიძე, თემურ შენგელია, თინა ჩხეიძე, ნოდარ ჯითანავა, ეთერ ხარაიშვილი, მიხეილ ჯიბუტი.

აკადემიური ლოტორები:

ნანული არევაძე, ნანა ბიბილაშვილი, მერაბ გველესიანი, ლინა დათუნაშვილი, ლია თოთლაძე (კანუნიერობის მდივანი), ეთერ კაკულია, ნაზირა კაკულია, თეა ლახარაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), იზა ნათელაური, ნოდარ ხაფური, ელენე ხარაბაძე, მამუკა ხუციშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), რევაზ ჯავახიშვილი.

უცხოელი წევრები:

ანა ახვლედიანი (დიდი ბრიტანეთი, კანუნიერობის მდივანი უცხოეთში), ელდარ ისმაილოვი (აზერბაიჯანი), დავით კურტანიძე (აშშ, მთავარი რედაქტორის მოადგილე), ანტანას მასტიტუსი (ლიტვა), ვლადიმერ მენშიკოვი (ლატვია), მიხეილ როკიტელიშვილი (აშშ), სლავომირ კარტიცკი (პოლონეთი), დიმიტრი სოროკინი (რუსეთი), ანდრეი კერმანი (პოლონეთი).

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის შეხედულება შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს და იგი პასუხს არ აგებს ინფორმაციის სიზუსტეზე.

თბილისი

Paata Gugushvili Institute of Economics

EKONOMISTI

International Scientific-Analytical Journal
Published from January 2009

January
February
March

1

2011

Editor-in-Chief **Ramaz Abesadze**
SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD

CORRESPONDING MEMBERS OF THE NATIONAL ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA:

Leo Chikava, Vladimer Papava, Avtandil Silagadze

DOCTORS OF ECONOMIC SCIENCES:

Klimenti Achelashvili, Iuri Ananiashvili, Roseta Asatiani, Temur Beridze, Giorgi Berulava, Vakhtang Burduli, Nodar Chitanava, Tina Chkheidze, Revaz Gogokhia, Mikhail Jibuti, Revaz Kakulia, Temur Kandelaki, Eter Kharashvili, Murman Kvaratskhelia, Alfred Kuratashvili, Jakob Meskhia, Elguja Mekvabishvili, Giorgi Papava, Ushangi Samadashvili, Roland Sarchimelia, Temur Shengelia, Avtandil Sulaberidze, Mikhail Tokmazishvili.

ACADEMIC DOCTORS:

Nanuli Arevadze, Nana Bibilashvili, Lina Datunashvili, Merab Gvelesiani, Revaz Javakhishvili, Nazira Kakulia, Eteri Kakulia, Tea Lazarashvili (deputy editor-in-chief), Iza Natelauri, Nodar Khaduri, Elene Kharabadze, Mamuka Khuskivadze (deputy editor-in-chief), Lia Totladze (executive secretary).

FOREIGN MEMBERS:

Anna Akhvlediani (Great Britain, executive secretary abroad), Eldar Ismailov (Azerbaijan), David Kurtanidze (USA, deputy editor-in-chief abroad), Antanas Mackstius (Lithuania), Vladimir Menshikov (Latvia), Slawomir Partycki (Poland), Mikhail Roketlishvili (USA), Dmitri Sorokin (Russia), Andrei Herman (Poland)

The journal follows the principles of free press. The views of editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information.

Tbilisi

ს ა რ ჩ ე შ ი

რედაქტორისაბან	5
ეკონომიკური თეორია	8
<i>იური ანანიაშვილი, ვლადიმერ პაპავა</i> – რესურსების გამოყენების ეფექტიანობასა და მოცულობაზე საგადასახადო ტვირთის გავლენის შეფასების მოდელები	8
<i>Альфред Кураташвили</i> - Определяющие причины возникновения глобального кризиса в начале XXI века	30
სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები	34
<i>ვახტანგ ბურდული</i> – სიღარიბის დონის შემცირების სტრუქტურული პოლიტიკის განხორციელების მექანიზმის სრულყოფის საკითხები	34
მაკროეკონომიკა	44
<i>მარინა მუჩიაშვილი</i> – საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების შეფასება გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით	44
ტურიზმის ეკონომიკა	50
<i>Tea Lazarashvili, Teymuraz Gogohia</i> – Роль туристского бизнеса в социально-экономическом развитии страны	50
აღრიცხვა და აუდიტი	55
<i>ციალა ბენაშვილი</i> – მმართველობითი აღრიცხვის სპეციალისტთა ფუნქციების შესახებ	55
ბიზნესი	59
<i>ლილი გვენეტაძე, ალექსანდრე წერეთელი</i> – ბიზნესის შეფასების ზოგიერთი მეთოდოლოგიური საკითხი	59
საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები	67
<i>Khatuna Berishvili</i> – Foreign Trade Potential of Georgia	67
ინფორმაცია	71

C O N T E N T S

FROM EDITOR-IN-CHIEF	5
ECONOMIC THEORY	8
<i>Yuri Ananiashvili, Vladimer Papava</i> – Models Estimating Tax Burden Impact upon the Efficiency and Volume of Usage of Resources	8
<i>Alfred Kuratashvili</i> – The Defining Reasons of Occurrence of Global Crisis at the Beginning of XXI Century	30
SOCIAL-ECONOMIC PROBLEMS	34
<i>Vakhtang Burduli</i> – The Questions of Improvement of Mechanism of Carrying Out of Structural Policy of Decline in Poverty Level	34
MACROECONOMICS	44
<i>Marina Muchiashvili</i> – Assessment of Economic Development of Georgia by the Global Competitiveness Index	44
TOURISM ECONOMICS	50
<i>Tea Lazarashvili, Teimuraz Gogokhia</i> – The Role of Tourism Business in the Social-Economic Development of a Country	50
ACCOUNTING AND AUDIT	55
<i>Tsiala Benashvili</i> – Concerning the Functions of Management Accountants	55
BUSINESS	59
<i>Lily Gvenetadze, Alexander Tsereteli</i> – Some methodological Issues of Evaluation of Business	59
INTERNATIONAL ECONOMIC RELATIONS	67
<i>Khatuna Berishvili</i> – Foreign Trade Potential of Georgia	67
INFORMATION	71

რედაქტორისაბან

ისე როგორც 2009, ასევე 2010 წელიც ჩვენი კოლექტივისათვის საიუბილეო წელი იყო, ინსტიტუტმა ღირსეულად აღნიშნა თავისი დაარსების 65 და აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადების 1005 წლისთავი. ამ თარიღს ინსტიტუტმა არაერთი ღონისძიება მიუძღვნა (ჩატარდა ამ თარიღებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია და საიუბილეო სხდომა, გამოიცა ინსტიტუტის საქმიანობის ამსახველი წიგნი, ჟურნალ “ეკონომისტის” საიუბილეო ნომერი და სხვ.) და საქმიანობა წარმატებით დაასრულა. აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტი ამ ღირსესანიშნავ თარიღებს ხელდამშვენებული შეხვდა – 2009 წლის მონაცემების მიხედვით საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ იგი აღიარებული იქნა 2009 წლის საუკეთესო სამეცნიერო ორგანიზაციად საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში.

საანგარიშო პერიოდში სამეცნიერო პროგრამის – „სიღარიბის დონის შემცირების ეკონომიკური მოდელის შემუშავება და მისი პრაქტიკული რეალიზაციის მიმართულებებისა და გზების განსაზღვრა საქართველოში“ (სამეცნიერო ხელმძღვანელები ინსტიტუტის მთავარი მეცნიერთანამშრომლები ემდ, პროფ. **რამაზ აბესაძე**, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წვრ-კორესპონდენტი, ემდ, პროფ. **ვლადიმერ პაპავა**) შესაბამისად მუშაობა მიმდინარეობდა და დასრულდა 9 სამეცნიერო პრობლემაზე. ესენია:

სიღარიბის დაძლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დროს (ხელმძღვანელი ინსტიტუტის ეკონომიკური თეორიის განყოფილების გამგე, ემდ, პროფ. **ალფრედ კურატაშვილი**).

საქართველოში სიღარიბის დაძლევის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმის შემუშავება (ხელმძღვანელი ინსტიტუტის მაკროეკონომიკის განყოფილების გამგე, ემკ **ნანული არევაძე**).

სიღარიბის დაძლევის სტრუქტურული და რეგიონული თავისებურებები პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დროს (ხელმძღვანელი ინსტიტუტის მეწარმეობის განვითარებისა და რეგიონული ეკონომიკის განყოფილების გამგე, ემდ **ვახტანგ ბურდული**).

პრივატიზების შედეგები და მისი გავლენა სიღარიბის დაძლევაზე საქართველოში (ხელმძღვანელი ინსტიტუტის ბიზნესის პრობლემათა კვლევის განყოფილების გამგე, ემდ, პროფ. **გიორგი ბერულავა**).

ინოვაციების გავლენა სიღარიბის დონეზე პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დროს (ხელმძღვანელი ინსტიტუტის ინოვაციებისა და საერთაშორისო კონკურენციის განყოფილების გამგე, ემკ **იზა ნათელაური**, თანახელმძღვანელი ემკ **ეთერ კაკულია**).

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის გავლენა სიღარიბის დონეზე პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (ხელმძღვანელი ინსტიტუტის ინოვაციებისა და საერთაშორისო კონკურენციის განყოფილების გამგე, ემკ **იზა ნათელაური**, თანახელმძღვანელი ემკ **ნაზირა კაკულია**).

სახელმწიფო საწარმოთა ეფექტიანობა და მისი გავლენა სიღარიბის დონეზე საქართველოში (ხელმძღვანელი ინსტიტუტის საჯარო ეკონომიკის განყოფილების გამგე, ემკ **თეა ლაზარაშვილი**).

სიღარიბის დაძლევის ბუნებრივ-რესურსული და ეკოლოგიური ფაქტორები საქართველოში (ხელმძღვანელი ინსტიტუტის მდგრადი ეკონომიკური განვითარების განყოფილების გამგე, ემკ **მამუკა ხუსკივაძე**).

სასოფლო სამეურნეო წარმოების განვითარება – სიღარიბის დაძლევის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი საქართველოში (ხელმძღვანელი ინსტიტუტის მეწარმეობის განვითარებისა და რეგიონული ეკონომიკის განყოფილების გამგე,

ემდ **ვახტანგ ბურდული**, აგრარულ პრობლემათა ლაბორატორიის გამგე, ემკ **თენგიზ ქავთარაძე**).

ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ საანგარიშგებო პერიოდში ჟურნალებსა და სამეცნიერო კრებულებში სულ გამოქვეყნდა 136 სამეცნიერო სტატია (მათ შორის, საზღვარგარეთ – 16, 4 – იმფაქტფაქტორის მქონე ჟურნალებში) და 9 მონოგრაფია (მათ შორის 4 საზღვარგარეთ), კონფერენციების მასალათა კრებულებში გამოქვეყნდა 59 ნაშრომი (მათ შორის საერთაშორისო კონფერენციათა მასალების კრებულებში – 45).

აღნიშნულ წელს გამოიცა “პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულის” მესამე ტომი, ასევე ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული, ინსტიტუტის 65 და აკადემიკოს პაატა გუგუშვილის 105 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებულები. საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტთან ერთად გამოიცა სამეცნიერო შრომების კრებული “ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ტენდენციები საქართველოში”.

2010 წელს ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლები მონაწილეობდნენ უცხოეთის 4 სამეცნიერო გრანტში.

გამოქვეყნდა 130-ზე მეტი საგაზეთო სტატია და ინტერვიუ;

გრძელდებოდა მუშაობა დიდი ეკონომიკური ენციკლოპედიის მოსამზადებლად;

მუშაობას აგრძელებდა ინსტიტუტთან არსებული სადისკუსიო დარბაზი (მოხდა ინსტიტუტის მთავარი მეცნიერთანამშრომლის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრკორესპონდენტის, ემდ, პროფ. **ვლ. პაპავას** მონოგრაფიის – “ნეკროეკონომიკის ზომბირება” – განხილვა);

ინსტიტუტის გამომცემლობის მიერ გამოიცა 7 წიგნი;

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე (თავმჯდომარე პროფ. **თ. ჩხეიძე**) მოსმენილი იქნა 6 სამეცნიერო მოხსენება;

ინსტიტუტი აგრძელებდა სამეცნიერო კავშირებს საზღვარგარეთის სხვადასხვა სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებასთან. მაგალითად, სადისკუსიო დარბაზის სხდომაზე სამეცნიერო მოხსენება წაიკითხა პოლონეთის ქ. ლუბლინსკის იოანე პავლე მეორის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულმა პროფესორმა, დეპარტამენტის ხელმძღვანელმა **სლაგომირ პარტიკიმ**.

ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდნენ “ინფორმაციისა და ეკონომიკური ანალიზის” (ემკ **ნანა ბიბილაშვილი**) და “პერსონალის მართვის” სამსახურები (**თეა შონია**), ინსტიტუტის გამომცემლობა (ხელმძღვანელი **ნატო ჩხაიძე-აბესაძე**, მთავარი რედაქტორი **სესილი ხანჯალაძე**), ბიბლიოთეკა (**ელენე დათუკიშვილი**).

აქტიურ საქმიანობას ეწეოდა ინსტიტუტის ბულალტერია (**მაია ჭინჭარაული**), კანცელარია (**ეთერი ჯაბანაშვილი**), “სამეურნეო, სარემონტო-საექსპლუატაციო და დაცვის სამსახური” (**თამაზ გველესიანი**).

ინსტიტუტი აგრძელებდა სამეცნიერო კავშირებს საზღვარგარეთისა და საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებასთან.

ჩვენს ინსტიტუტს არაერთხელ შეეცვალა სტატუსი და სახელწოდება. 2010 წელსაც საქართველოს მთავრობის დადგენილებით განხორციელდა მისი რეორგანიზაცია და 2011 წლის იანვრიდან იგი იწოდება ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტად და წარმოადგენს უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულს.

ახალი სტატუსი მოითხოვს უნივერსიტეტის სივრცეში ინტეგრირებას, სამეცნიერო მუშაობის გარდა, სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიღებას.

ბუნებრივია, ეს სიახლე მოითხოვს საქმიანობის ახლებურად წარმართვას, რაც გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად ინსტიტუტის კოლექტივი ამ გზაზე ყველა წინააღმდეგობას დაძლევეს და იგი თავისი საქმიანობით, კიდევ უფრო დიდ სახელს მოიხვეჭს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

რამაზ აბესაძე

ეკონომიკური თეორია

იური ანანიაშვილი

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომეტრიკის კათედრის ხელმძღვანელი*

ვლადიმერ პაპავა

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, პაატა
გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი*

**რმსურსების გამოყენების ეფექტიანობასა და მოცულობაზე საგადასახადო
ტვირთის გავლენის შეფასების მოდელი**

განსაკუთრებულ დასაბუთებას არ საჭიროებს ის გარემოება, რომ გადასახადების გარეშე თანამედროვე სახელმწიფოსა და საზოგადოების არსებობა შეუძლებელია. ამავე დროს, აღიარებულია, რომ დაბეგვრა გავლენას ახდენს მოხმარებასა და დაზოგვაზე, ინვესტირებაზე, მოთხოვნასა და მიწოდებაზე, ფასწარმოქმნაზე, ბაზრების მასშტაბებზე და ა.შ [1, 2]. ეს ყველაფერი, საბოლოოდ, პირდაპირი და ირიბი სახით წარმოების მოცულობასა და ბიუჯეტის შემოსავლების სიდიდეზე აისახება.

გამოშვების მოცულობასა და ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებზე საგადასახადო ტვირთის ზემოქმედება შეიძლება ორი განსხვავებული გზით განხორციელდეს. ერთი მხრივ, აგრეგირებული საგადასახადო ტვირთი ზემოქმედებს წარმოების ტექნოლოგიასა და რესურსების გამოყენების ეფექტიანობაზე და ამ სახით გავლენას ახდენს გამოშვების მოცულობასა და ბიუჯეტის შემოსავლებზე; მეორე მხრივ, საგადასახადო ტვირთის ცვლილება ზემოქმედებს ეკონომიკური რესურსების გამოყენების მოცულობაზე და განაპირობებს წარმოებისა და ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას ან შემცირებას რესურსების წარმოებაში ჩართულობის ცვლილების შესაბამისად. ორივე ეს გზა შეიძლება გავაანალიზოთ და შევაფასოთ ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების საფუძველზე.

მოცემულ სტატიაში ორი ასეთი მოდელია წარმოდგენილი. ერთ მათგანში საგადასახადო ტვირთი (საშუალო საგადასახადო განაკვეთი) რესურსების გამოყენების ტექნოლოგიისა და ეფექტიანობის განმსაზღვრელი ფაქტორია, მეორეში კი – რესურსების გამოყენების მოცულობისა და ეკონომიკური აქტიურობის დონის განმსაზღვრელი ფაქტორი. ორივე ტიპის მოდელი ერთობლივი გამოშვებისა და ბიუჯეტის შემოსავლების მნიშვნელობებს აგრეგირებული საგადასახადო განაკვეთის სიდიდეზე დამოკიდებულ ფუნქციებად განიხილავს. თუ ერთობლივ გამოშვებას აღვნიშნავთ Y -ით, ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებს T -ით, მაშინ შეგვიძლია ჩავწეროთ $Y = Y(t)$ და $T = T(t)$, სადაც t აგრეგირებული (საშუალო) საგადასახადო განაკვეთია, რომელიც აკმაყოფილებს პირობას $0 \leq t \leq 1$. ამასთან, იგულისხმება, რომ $Y(t)$ და $T(t)$ ფუნქციები ერთმანეთთან შემდეგ შესაბამისობაში იმყოფება: $T(t) = tY(t)$. ეს დამოკიდებულება გვიჩვენებს, რომ ბიუჯეტის შემოსავლების ფუნქციის ქცევას არსებითად $Y(t)$ -ს ქცევა განსაზღვრავს. ამის გამო, შემდეგში განსახილველ მოდელებში ამ ორი ფუნქციიდან ყურადღებას უფრო მეტად მთლიანი გამოშვების $Y(t)$ ფუნქციაზე გავამახვილებთ.

წარმოების ტექნოლოგიაზე საგადასახადო ტვირთის გავლენის შეფასების მოდელი

თეორიულ დონეზე საკმარისად რთულია იმის მკაცრი დასაბუთება, თუ როგორ ზემოქმედებს საგადასახადო ტვირთი ტექნოლოგიურ დამოკიდებულებაზე, რომელიც ობიექტურად არსებობს რესურსების დანახარჯებსა და ამ დანახარჯების პირობებში გამოშვების მაქსიმალურ რაოდენობას შორის. ამავე დროს, „სრულიად ლოგიკურია, დავუშვათ, რომ ერთნაირ (თანაბარ) ტექნოლოგიურ პირობებში (შრომისა და კაპიტალის ერთნაირი მოცულობისას), საგადასახადო ტვირთის სხვადასხვა დონე სხვადასხვა მოცულობის მთლიანი შიგა პროდუქტის პროდუქცირებას მოახდენს” [3, გვ. 89]. საქმე ისაა, რომ დაბეგვრის შემთხვევაში საქმიანობისა და პროდუქტების ცალკეული სახეობების, რომელთათვისაც გადასახადები მნიშვნელოვან ტვირთს წარმოადგენს, ჩანაცვლება ხდება გადასახადების თვალსაზრისით ნაკლებად პრობლემური საქმიანობებითა და პროდუქტებით, რესურსების გამოყენების გარკვეული ვარიანტების უკუგება მცირდება და პარალელურად სხვა ვარიანტების უკუგება იზრდება, ყალიდება წარმოებისა და მოხმარების ახალი სტრუქტურა, რომელსაც თან ახლავს საქმიანობის ფორმებს შორის საწყისი რესურსების გადანაწილება და საწარმოო პროცესების ეფექტიანობის ცვლილება.

წარმოების ტექნოლოგიის ფარგლებში გამოშვების მოცულობის საგადასახადო ტვირთის სიდიდეზე დამოკიდებულების რაოდენობრივი შეფასებისათვის შეიძლება გამოვიყენოთ მაკროეკონომიკური საწარმოო ფუნქციის გაფართოებები, რომლებშიც საშუალო საგადასახადო განაკვეთის როლი რაიმე ფორმითაა გამოკვეთილი. ასეთი გაფართოება შესაძლებელია ორი ძირითადი მიმართულებით. ერთი მათგანის შემთხვევაში გადასახადები წარმოების ტექნოლოგიის შემადგენელ ელემენტად უნდა განვიხილოთ. თუ საბაზოდ ავიღებთ, მაგალითად, კობ-დუგლასის საწარმოო ფუნქციას, მაშინ მოცემულ შემთხვევაში გადასახადებით მისი გაფართოების შესაძლო ვარიანტები იქნება

$$Y(t) = \gamma Dt^\lambda K^\alpha N^\beta; \quad Y(t) = \gamma De^{\lambda t} K^\alpha N^\beta,$$

სადაც $Y(t)$ – მთლიანი გამოშვების მოცულობა; K – გამოყენებული კაპიტალის ღირებულება; N – გამოყენებული შრომის რაოდენობა; t – აგრეგირებული (საშუალო) საგადასახადო განაკვეთი (ბიუჯეტის მთლიანი საგადასახადო შემოსავლების შეფარდება მთლიანი შიგა პროდუქტის სიდიდესთან); e – ნატურალური ლოგარითმის ფუძე (ნეპერის რიცხვი); D – ტრენდული ოპერატორი (ფუნქცია, რომლის არგუმენტია დრო); α – კაპიტალის მიმართ გამოშვების ელასტიკურობის კოეფიციენტი; β – შრომის მიმართ გამოშვების ელასტიკურობის კოეფიციენტი; γ და λ – პარამეტრები, რომელთა სტატისტიკური შეფასებაც, მოდელის სხვა პარამეტრებთან ერთად, $Y(t)$, K , N და t ცვლადების შესაბამისი დროითი მწკრივების საფუძველზე ხორციელდება.

საწარმოო ფუნქციის გაფართოების მეორე მიმართულებაში გადასახადები განიხილება უკვე არა ტექნოლოგიის შემადგენლად, არამედ ტექნოლოგიის ეფექტიანობაზე, უფრო ზუსტად, ტექნოლოგიაში გამოყენებული რესურსების – შრომისა და კაპიტალის – ეფექტიანობაზე მოქმედ ფაქტორად. ქვემოთ ასეთი გაფართოების ერთ-ერთ ვარიანტს გავაანალიზებთ. იგი შემოთავაზებულია ევგენი ბალაცკის მიერ [3, გვ. 88] და ცვალებადი ელასტიკურობის მქონე შემდეგი სახის საწარმოო ფუნქციას

$$Y(t) = \gamma DK^{\alpha(t)} N^{\beta(t)}, \tag{1}$$

სადაც $\alpha(t)$ და $\beta(t)$ კაპიტალისა და შრომის მიმართ გამოშვების ელასტიკურობის კოეფიციენტებია, რომელთა მნიშვნელობაც დამოკიდებულია საშუალო საგადასახადო განაკვეთზე, t -ზე.

უნდა აღინიშნოს, რომ (1) ფუნქცია და მისი შესაბამისი ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების ფუნქცია

$$T(t) = tY(t) = t\gamma DK^{\alpha(t)}N^{\beta(t)}, \quad (2)$$

(ანუ მთლიანობაში (1)-(2) ტიპის მოდელი) ბალანსის მიერ შემუშავდა უფრო ფართო მიზნისათვის, ვიდრე ამ შემთხვევაში ჩვენ მასზე ვსაუბრობთ – ლაფერის მრუდის მაკროეკონომიკური კონცეფციის დასაბუთებისა და ქვეყანაში საქმიანი აქტიურობის დონეზე ფისკალური პოლიტიკის ზემოქმედების საკმარისი სისრულით შეფასებისათვის [3, გვ. 89]. მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ საშუალო საგადასახადო განაკვეთისა და გამოშვების მოცულობის დამოკიდებულების, თუნდაც (1)-ის სახით გაფართოებული საწარმოო ფუნქციის ვარიანტით, მოდელირებისას მხოლოდ ნაწილობრივია შესაძლებელი ლაფერის კონცეფციის არსის ასახვა. საქმე ისაა, რომ ლაფერის თეორიის მთავარი არსი, ანუ ფილოსოფია, იმაშია, რომ საგადასახადო ტვირთის ზრდა ან შემცირება, სტიმულების უარყოფითი და დადებითი სისტემის ფორმირებით ხელს უწყობს ეკონომიკური აქტიურობის ვარდნას ან ზრდას, რაც, ძირითადად, რესურსების გამოყენების მოცულობის და არა გამოყენების ეფექტიანობის ზრდაში ან შემცირებაში გამოვლინდება. მაშასადამე, ლაფერის თეორიის მთავარი ასპექტის დასახასიათებლად საჭიროა ქცევის განტოლებაზე დაფუძნებული მოდელი, რომელშიც შესაძლებელია გადასახადებით წარმოქმნილი დადებითი და უარყოფითი სტიმულების ასახვა და არა გარდაქმნის (1) განტოლებაზე დაფუძნებული მოდელი, რომელიც ძირითადად წარმოების ტექნოლოგიის დასახასიათებლად გამოიყენება¹.

მიუხედავად იმისა, რომ (1)-(2) მოდელის მთავარი შემადგენელი, (1), არ წარმოადგენს ქცევის განტოლებას, რომელშიც შეიძლება აისახოს გადასახადებით წარმოქმნილი დადებითი და უარყოფითი სტიმულები, იგი ფართო თეორიული შესაძლებლობის ინსტრუმენტია. ამას ორი გარემოება განაპირობებს. პირველი დაკავშირებულია თვითონ საწარმოო ფუნქციის სპეციფიკასთან. როგორც ცნობილია, კობ-დუგლასის საწარმოო ფუნქცია, რომელიც საფუძვლად უდევს განსახილველ მოდელს, მრავალი ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლის გაანგარიშებისა და ანალიზის საშუალებას იძლევა [იხ. მაგალითად, 6]. მეორე გარემოება ინსტიტუციური ფაქტორის გათვალისწინებას უკავშირდება. კერძოდ, საგადასახადო განაკვეთის ჩართვა საწარმოო ფუნქციის მოდელში და ჰიპოთეზის მიღება იმის შესახებ, რომ დაბეგვრის ტვირთი გავლენას ახდენს წარმოების ტექნოლოგიასა და რესურსების გამოყენების ეფექტიანობაზე (ჩვენი აზრით, სწორედ ასეთ ჰიპოთეზას ეფუძნება მოდელი), საშუალებას იძლევა ახალი რაკურსით გავაანალიზოთ ტიპური საწარმოო ფუნქციიდან მიღებული ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები. ეს რაკურსი კი იმაში გამოვლინდება,

¹ ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების პრაქტიკაში რამდენიმე ტიპის განტოლება გამოიყენება. მათ შორისაა გარდაქმნის განტოლება და ქცევის განტოლება. გარდაქმნის განტოლება აღწერს კავშირს ობიექტზე რაიმე ზემოქმედებასა და ამ ზემოქმედების შედეგს შორის – კერძო შემთხვევაში კავშირს დანახარჯებსა და შედეგებს შორის. ასეთი განტოლების ტიპური მაგალითია საწარმოო ფუნქცია, მათ შორის (1). ქცევის განტოლება კი ახასიათებს არჩევანის შესაძლებლობის მქონე სუბიექტის ან სუბიექტთა ერთობლიობის რეაქციას სტიმულებსა და ირაციონალურ ფაქტორებზე [4, გვ. 98-99; 5, გვ. 317-330].

რომ მოლიანი გამოშვების (1) ფუნქციის და მისი შესაბამისი საგადასახადო შემოსავლების (2) ფუნქციის საშუალებით მიღებული ყველა ძირითადი საანალიზო მანვენებელი ცხადი თუ არაცხადი ფორმით საგადასახადო ტვირთთანაა დაკავშირებული.

ადვილად შევნიშნავთ, რომ (1)-(2) მოდელში ეკონომიკურ სისტემასა და მის მასასიათებლებზე საგადასახადო ტვირთის ზემოქმედება კაპიტალისა და შრომის მიმართ გამოშვების ელასტიკურობის $\alpha(t)$ და $\beta(t)$ კოეფიციენტების საშუალებით ხორციელდება, რომლებიც, მიღებული ჰიპოთეზის მიხედვით, საშუალო საგადასახადო განაკვეთზე, t -ზე, დამოკიდებული ფუნქციებია. ამიტომ, $\alpha(t)$ ახასიათებს დაბეგვრის t განაკვეთის პირობებში გამოშვების მოცულობის პროცენტულ ცვლილებას გამოყენებული კაპიტალის რაოდენობის ერთი პროცენტით ცვლილებისას. ანალოგიური შინაარსისაა $\beta(t)$, ოღონდ ამ შემთხვევაში გამოშვების პროცენტული ცვლილება განიხილება გამოყენებული შრომის რაოდენობის ერთი პროცენტით ცვლილების მიმართ t განაკვეთის პირობებში.

$\alpha(t)$ და $\beta(t)$ ფუნქციების კონკრეტული სახის შერჩევა ზოგადი თეორიული მოსაზრებიდან, არსებული სტატისტიკური მონაცემების კონკრეტული სპეციფიკიდან და შეფასებული მოდელის შედეგების ადეკვატური ინტერპრეტირების შესაძლებლობიდან გამომდინარე უნდა მოხდეს. თუ თეორიული მოსაზრებებით ვისარგებლებთ და იმ გარემოებას გაეითვალისწინებთ, რომ მოდელი საწარმოო-ტექნოლოგიური ასპექტების გარდა გარკვეულად ფისკალური პრობლემების ანალიზისათვისაც უნდა იყოს გამოსადეგი, მაშინ შეიძლება დასაშვებად შემდეგი ფუნქციები მივიჩნიოთ:

$$\alpha(t) = \alpha_0 + \alpha_1 t + \alpha_2 t^2, \quad (3)$$

$$\beta(t) = \beta_0 + \beta_1 t + \beta_2 t^2, \quad (4)$$

სადაც α_j და β_j , $j = 0, 1, 2$, შესაფასებელი პარამეტრებია, ამასთან, სასურველია, რომ α_2 და β_2 პარამეტრებიდან ერთი მაინც არანულოვანი იყოს (სხვანაირად, სასურველია, რომ $\alpha(t)$ და $\beta(t)$ ფუნქციებიდან ერთი მათგანი მაინც კვადრატული იყოს)².

ელასტიკურობის $\alpha(t)$ და $\beta(t)$ კოეფიციენტებისათვის კვადრატული ფუნქციების მისადაგების მიზანშეწონილობა, პირველ რიგში, იმითაა განპირობებული, რომ ასეთი ფუნქციების პირობებში (1)-სა და (2)-ს t -ს მიმართ შეიძლება გააჩნდეს მაქსიმუმის წერტილები. თუ ეს წერტილები საგადასახადო განაკვეთის დასაშვებ მნიშვნელობათა არეში, ანუ $[0, 1]$ შუალედში აღმოჩნდება, მაშინ შეიძლება მათ ბალაცკის პირველი და მეორე გვარის ფისკალური წერტილები უწოდოთ, რადგანაც ცხადი სახით ამ ორი წერტილის განხილვა პირველად ევგენი ბალაცკიმ განახორციელა [7]. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თავის სტატიებში ევგენი ბალაცკი გამოშვებისა და საგადასახადო შემოსავლების მაქსიმუმების შესაბამის საგადასახადო განაკვეთის ამ მნიშვნელობებს, რომლებიც (1)-(4) მოდელის საფუძველზე მიიღება, ლაფერის პირველი და მეორე გვარის ფისკალურ წერტილებს უწოდებს. მაგრამ, ჩვენი აზრით, ასეთი სახელწო-

² ევგენი ბალაცკის მიერ გაანალიზებულ მოდელში (3) და (4) ფუნქციების კერძო შემთხვევებია განხილული, როლებშიც თავისუფალი წევრები α_0 და β_0 ნულის ტოლია, მაგრამ ნულისაგან განსხვავებულია როგორც α_2 , ასევე β_2 .

დება ძალზე პირობითია, რადგანაც (1)-(4) მოდელი არასრულად აკმაყოფილებს ლაფერის თეორიის პოსტულატებს³ და, რაც მთავარია, მოდელის ძირითადი შემადგენელი – (1) განტოლება, არ წარმოადგენს ქცევის განტოლებას.

(1)-(4) მოდელში (1)-ის მაქსიმუმის შესაბამისი საგადასახადო განაკვეთის მნიშვნელობა აღვნიშნოთ t^Y -ით, ხოლო (2)-ისა კი t^T -ით. მაშინ t^Y -ის განსაზღვრისათვის უნდა განვიხილოთ განტოლება $\partial \ln Y / \partial t = 0$, ხოლო t^T -ის დასადგენად კი განტოლება $\partial \ln T / \partial t = 0$. ამ განტოლებებში შესაბამისი გარდაქმნების განხორციელების შემდეგ მივიღებთ, რომ ბალაცკის პირველი გვარის ფისკალური წერტილი t^Y , ანუ წერტილი, რომლისთვისაც გამოშვების მოცულობა მაქსიმალურია, შემდეგნაირად განისაზღვრება:

$$t^Y = -\frac{\alpha_1 \ln K + \beta_1 \ln N}{2(\alpha_2 \ln K + \beta_2 \ln N)}. \quad (5)$$

ბალაცკის მეორე გვარის ფისკალურ წერტილს, t^T -ს, რომლისთვისაც მაქსიმალურია ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები, შეესაბამება ფორმულა:

$$t^T = \frac{1}{2} \left(t^Y \pm \sqrt{(t^Y)^2 - \frac{2}{\alpha_2 \ln K + \beta_2 \ln N}} \right). \quad (6)$$

(5) და (6) ფორმულები რამდენადმე მარტივდება იმ შემთხვევისათვის, როცა $\alpha(t)$ და $\beta(t)$ ფუნქციებიდან ერთ-ერთი წრფივია, მეორე კი – კვადრატული. თუ დავუშვებთ, რომ $\alpha(t) = \alpha_0 + \alpha_1 t$, მაშინ (5) და (6) შემდეგ სახეს მიიღებს:

$$t^Y = -\frac{\alpha_1 \ln K + \beta_1 \ln N}{2\beta_2 \ln N}; \quad t^T = \frac{1}{2} \left(t^Y \pm \sqrt{(t^Y)^2 - \frac{2}{\beta_2 \ln N}} \right).$$

ხოლო, როცა წრფივად განსაზღვრულია შრომის მიმართ გამოშვების ელასტიკურობის კოეფიციენტი $\beta(t)$ (ე. ი. $\beta(t) = \beta_0 + \beta_1 t$), მაშინ გვაქვს

$$t^Y = -\frac{\alpha_1 \ln K + \beta_1 \ln N}{2\alpha_2 \ln K}; \quad t^T = \frac{1}{2} \left(t^Y \pm \sqrt{(t^Y)^2 - \frac{2}{\alpha_2 \ln K}} \right).$$

როგორც ვხედავთ, t^Y და t^T წერტილების მნიშვნელობები კაპიტალისა და შრომის გამოყენების თანაფარდობაზეა დამოკიდებული. იმის მიხედვით, თუ როგორია კონკრეტულ სიტუაციაში α_j და β_j , $j=1,2$, კოეფიციენტების ნიშანი და მნიშვნელობა, კაპიტალაღჭურვილობის K/N -ის მოცემული მნიშვნელობისათვის შეიძლება არსებობდეს ან არ არსებობდეს დასაშვებ

³ ადვილად შევნიშნავთ, რომ (1)-(4) მოდელში ნულოვანი დაბეგვრის პირობებში, ე.ი. $t=0$ -სათვის გამოშვების მნიშვნელობა Y განსხვავებულია ნულისაგან, ხოლო საბიუჯეტო შემოსავლები T კი ნულის ტოლია; მეორე უკიდურესობისათვის, როცა დაბეგვრის 100%-იანი განაკვეთი არსებობს (ანუ როცა $t=1$), როგორც გამოშვების მოცულობა, ისევე საბიუჯეტო შემოსავლები ნულისაგან განსხვავდება და ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ, როცა ლაფერის თეორიის პოსტულატების მიხედვით უნდა სრულდებოდეს პირობა $Y(1) = T(1) = Y(0) = T(0) = 0$.

სახდვრებში ($[0, 1]$ შუალედში) მოქცეული t^Y და t^T . ამასთან, თუ კაპიტალ-აღჭურვილობის მოცემული K/N დონისათვის არსებობს ბალანსის პირველი გვარის ფისკალური წერტილის დასაშვები მნიშვნელობა $t^Y \in [0,1]$, იგი ერთადერთია. რაც შეეხება ბალანსის მეორე გვარის ფისკალურ წერტილს t^T -ს, ადვილად შევნიშნავთ, რომ მისი ქცევა მნიშვნელოვანი ხარისხით t^Y -ის ქცევაზე დამოკიდებულია. ამავე დროს, t^T -ს გარკვეული სპეციფიკაც ახასიათებს, რაც (6)-ში ფესვქვეშა გამოსახულების არსებობით არის განპირობებული. იმის მიხედვით, თუ როგორია მოცემული N -ისა და K -სათვის $\alpha_2 \ln K + \beta_2 \ln N$ გამოსახულების ნიშანი და მნიშვნელობა, თეორიულად შეიძლება არ არსებობდეს, არსებობდეს ერთი ან არსებობდეს ორი დასაშვებ სახდვრებში მოქცეული ფისკალური წერტილი t^T . (6)-დან გამომდინარეობს, რომ:

ა) როდესაც $\alpha_2 \ln K + \beta_2 \ln N < 0$, მაშინ მოცემული t^Y -სათვის ($t^Y \in [0,1]$) შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ერთი $t^T \in [0,1]$, ამასთან, ეს უკანასკნელი დააკმაყოფილებს პირობას $t^Y < t^T$, რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმოო ეფექტის მაქსიმუმი უფრო ნაკლები საგადასახადო განაკვეთის პირობებში იქნება მიღწეული, ვიდრე ბიუჯეტის შემოსავლების მაქსიმუმი;

ბ) როდესაც $\alpha_2 \ln K + \beta_2 \ln N > 0$, მაშინ მოცემული t^Y -სათვის ($t^Y \in [0,1]$) ან არ არსებობს ნამდვილი t^T , ან არსებობს ერთმანეთისაგან განსხვავებული მისი ორი მნიშვნელობა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ორივე მათგანი $[0, 1]$ შუალედს მიეკუთვნება და ნაკლებია პირველი გვარის ფისკალურ წერტილზე t^Y -ზე: $t^T < t^Y$. ცხადია, t^T -ის ამ ორი მნიშვნელობიდან მეორე გვარის ფისკალური წერტილის როლში უნდა განვიხილოთ გლობალური მაქსიმუმის წერტილი, ანუ ის t^T , რომელსაც საბიუჯეტო შემოსავლების უდიდესი მნიშვნელობა შეესაბამება.

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება – მოცემული N -ის პირობებში K -ს უსასრულო გაზრდა ან, პირიქით, მოცემული K -ს პირობებში N -ის უსასრულო გაზრდა იწვევს $\alpha_2 \ln K + \beta_2 \ln N$ გამოსახულების მოდულის უსასრულო ზრდას. როგორც (6)-დან გამომდინარეობს, ამ შემთხვევაში $t^T \rightarrow t^Y$. მაშასადამე, (1)-(4) მოდელის მიხედვით, თუ წარმოებაში რომელიმე ფაქტორის გამოყენების მოცულობა უსასრულოდ იზრდება, მაშინ განსხვავება პირველ და მეორე გვარის ფისკალურ წერტილებს შორის თანდათანობით ქრება.

(1)-(4) მოდელის საფუძველზე ზემოთ აღნიშნულ t^Y და t^T ფისკალურ მახასიათებლებთან ერთად მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური მახასიათებლებიც მიიღება. მათ შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია კაპიტალის ზღვრული პროდუქტი $MPK(t)$ და შრომის ზღვრული პროდუქტი $MPN(t)$:

$$MPK(t) = \frac{\partial Y(t)}{\partial K} = \alpha(t) \frac{Y(t)}{K}, \quad (7)$$

$$MPN(t) = \frac{\partial Y(t)}{\partial N} = \beta(t) \frac{Y(t)}{N}. \quad (8)$$

ეს გამოსახულებები ცხადად გვიჩვენებს, რომ (1)-(4) მოდელში, სხვა თანაბარ პირობებში, თითოეული ფაქტორის ზღვრული ეფექტიანობა დამოკიდე-

ბულია არა მარტო ფაქტორის გამოყენების მოცულობაზე (როგორც ეს შედარებით მარტივი სახის საწარმოო ფუნქციებშია მიღებული), არამედ, აგრეთვე, საშუალო საგადასახადო განაკვეთის, t -ს, არსებულ სიდიდეზე. ნორმალურ ეკონომიკაში, ზომიერი საგადასახადო ტვირთის პირობებში, ეკონომიკური შინაარსიდან გამომდინარე, კაპიტალისა და შრომის ზღვრული პროდუქტის მნიშვნელობები $MPK(t)$ და $MPN(t)$ არაუარყოფითი უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ (1), როგორც საწარმოო ფუნქცია, თავისი არსით გარდაქმნის მოდელია და ზომიერი საგადასახადო ტვირთის პირობებში მასში ასახვა უნდა ჰპოვოს ცონბილმა ტექნოლოგიურმა კანონზომიერებამ: თუკი წარმოებაში იზრდება რესურსის გამოყენების მოცულობა, სხვა თანაბარ პირობებში, მთლიანი გამოშვების მოცულობა თუ არ გაიზრდება, ყოველ შემთხვევაში, არ უნდა შემცირდეს მაინც. მეორე მხრივ, ვინაიდან საგადასახადო ტვირთს ვიხილავთ ტექნოლოგიის ეფექტიანობაზე მოქმედ ფაქტორად, სრულიად დასაშვებია, რომ საშუალო საგადასახადო განაკვეთის ძალიან მაღალი მნიშვნელობისათვის ფაქტორის ზღვრული პროდუქტი დადებითიდან უარყოფითში გადაიზარდოს.

(7) და (8) ფორმულებიდან გამომდინარეობს, რომ (1)-(4) მოდელისათვის $MPK(t)$ და $MPN(t)$ სიდიდეების ერთდროული არაუარყოფითობის პირობა დაცული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საშუალო საგადასახადო განაკვეთის განსაზღვრის $[0,1]$ არეზე $\alpha(t)$ და $\beta(t)$ ფუნქციების მნიშვნელობები დააკმაყოფილებს შემდეგ უტოლობათა სისტემას:

$$\alpha(t) \geq 0, \quad \beta(t) \geq 0, \quad 0 \leq t \leq 1. \quad (9)$$

მაგრამ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ელასტიკურობის კვადრატული ფუნქციების შემთხვევაში ეს პირობა შეიძლება ყოველთვის არ შესრულდეს. საილუსტრაციოდ მივმართოთ ცხრილ 1-ს, რომელშიც მოყვანილია ბალაცკის მიერ რუსეთის, შვედეთის, დიდი ბრიტანეთის და აშშ-ის ეკონომიკებისათვის (1)-(4) მოდელის ეკონომეტრიკული ვარიანტების საფუძველზე მიღებული შედეგები⁴.

ცხრილი 1

ელასტიკურობის $\alpha(t)$ და $\beta(t)$ კოეფიციენტების არაუარყოფითობის არეები

	$\alpha(t) \geq 0$, როცა	$\beta(t) \geq 0$, როცა
რუსეთი (1989-2000 წლები)	$0,74506 \leq t \leq 1$	$0 \leq t \leq 0,74253$
შვედეთი (1980-1994 წლები)	$0 \leq t \leq 0,57848$	$0,61445 \leq t \leq 1$
დიდი ბრიტანეთი (1983-1999 წლები)	$0 \leq t \leq 0,47556$	$0 \leq t \leq 0,35011$
აშშ (1986-2000 წლები)	$0 \leq t \leq 0,32658$	$0,25997 \leq t \leq 1$

ამ შედეგების მიხედვით, რუსეთისა და შვედეთის ეკონომიკისათვის უტოლობათა (9) სისტემის ამონახსნთა სიმრავლე, თუ არ ჩავთვლით ნულოვან საგადასახადო განაკვეთს, ცარიელია⁵, რაც იმაზე მეტყველებს, რომ (1)-(4) მო-

⁴ $\alpha(t)$ და $\beta(t)$ კოეფიციენტების არაუარყოფითობის შუალედები რუსეთის, შვედეთის და აშშ-ისათვის გაანგარიშებულია მასალიდან, რომელიც მოცემულია სტატიაში [3]. დიდი ბრიტანეთისათვის კი გამოყენებულია მასალა სტატიიდან [8].

⁵ მიგვანჩნია, რომ როდესაც (1) ტიპის მაკროეკონომიკური საწარმოო ფუნქციის იდენტიფიცირებულ ვარიანტში MPK და MPN სიდიდეების არაუარყოფითობის

დელის თანახმად, ამ ქვეყნებისათვის არ არსებობს საგადასახადი განაკვეთის ისეთი დასაშვები არანულოვანი მნიშვნელობა, რომლისთვისაც კაპიტალისა და შრომის ზღვრული პროდუქტის მნიშვნელობები ერთდროულად არაუარყოფითი იქნება. შედარებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს დანარჩენი ორი ქვეყნისათვის. დიდი ბრიტანეთის ეკონომიკისათვის (9)-ის არანულოვან ამონახსნთა სიმრავლეა $0 \leq t \leq 0,35$, ხოლო აშშ-ის ეკონომიკისათვის კი $0,26 \leq t \leq 0,33$. როგორც ვხედავთ, (1)-(4) მოდელის მიხედვით, დიდი ბრიტანეთის ეკონომიკაში $MPK(t) \geq 0$ და $MPN(t) \geq 0$ პირობების ერთდროული შესრულება საგადასახადო ტვირთის საკმარისად დიდი შუალედისათვისაა შესაძლებელი. მაგრამ უცნაურია ის გარემოება, რომ 1983-1999 წლებში, რომლის შესაბამისი მონაცემების მიხედვით შეფასდა (1)-(4) მოდელი, დიდ ბრიტანეთში ფაქტობრივად არსებული საგადასახადო ტვირთის სიდიდე, რამდენიმე გამონაკლისი წლის (კერძოდ, 1992-1994 წლების) გარდა, ამ შუალედის გარეთ იმყოფებოდა და ძირითადად უზრუნველყოფდა $MPK(t)$ -ს და $MPN(t)$ -ის საშუალოწლიური მნიშვნელობების დადებითობას⁶. მართალია, ასეთი უცნაურობისაგან თავისუფალია აშშ-ის ეკონომიკისათვის შეფასებული მოდელის შედეგები, მაგრამ არც აქ არის ყველაფერი რიგზე. საქმე ისაა, რომ აშშ-ისათვის შეფასებული (1)-(4) მოდელის მიხედვით, $MPN(t)$ -ის არაუარყოფითობის პირობაა $0,26 \leq t \leq 1$ (იხ. ცხრილი 1), ამასთან, მოცემულ შუალედში t -ს მიმართ ზრდადია როგორც $MPN(t)$, ასევე შრომის მიმართ გამოშვების ელასტიკურობის კოეფიციენტი $\beta(t)$, რომელის კონკრეტული სახეა $\beta(t) = 127,63t^2 - 33,18t$. ძნელია ეკონომიკურად დავასაბუთოთ, თუ რატომ უნდა იწვევდეს საგადასახადო ტვირთის გადაჭარბებული ზრდა შრომის ზღვრული პროდუქტის ზრდას.

საგადასახადო ტვირთის მიმართ (1)-(4) მოდელიდან მიღებული მანკვებლების არაადეკვატური ქცევის კიდევ ერთ მაგალითს იძლევა მასშტაბის მიმართ წარმოების ეფექტიანობის მანკვებელი ($\alpha(t) + \beta(t)$). ეს უკანასკნელი მათემატიკურად (1) ფუნქციის ერგვაროვნების ხარისხს გამოსახავს და ეკონომიკურად გვიჩვენებს, თუ რა ემართება გამოშვების ერთეულზე საშუალო დანახარჯების სიდიდეს წარმოების მასშტაბის გადიდებისას. მასშტაბის გადიდებაში კი იგულისხმება მოდელში ჩართული ორივე რესურსის (ფაქტორის) რაიმე ρ -ჯერ ($\rho > 1$) ზრდა. თუ მოცემულ ეკონომიკურ სისტემაში საგადასახადო ტვირთი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წარმოების ტექნოლოგიურ მხარეზე,

პირობა დარღვეულია, მაშინ საქმე გვაქვს მოდელის ან არასწორ იდენტიფიკაციასთან, ან არასწორ სპეციფიკაციასთან, რაც იმას ნიშნავს, რომ მკვლევარის განკარგულებაში არსებული კონკრეტული მონაცემების შესაბამისი ტექნოლოგიის მოდელირებისათვის მოცემული მათემატიკური კონსტრუქცია გამოუსადეგარია.

⁶ აღსანიშნავია, რომ ე. ბალაცკის 2003 წლის სტატიაში [3] დიდი ბრიტანეთის ეკონომიკისათვის შეფასებული (1)-(4) მოდელის მიხედვით საშუალო საგადასახადო განაკვეთის მნიშვნელობათა სიმრავლეს, რომელსაც ზღვრული პროდუქტების არაუარყოფითი მნიშვნელობები შეესაბამება, სრულიად განსხვავებული სახე აქვს: $0,57 \leq t \leq 0,92$. აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში მეორე უკიდურესობასთან გვაქვს საქმე: $MPK(t) \geq 0$ და $MPN(t) \geq 0$ პირობების ერთდროული შესრულებისათვის არარეალურად მაღალი საგადასახადო ტვირთის არსებობა მოითხოვება, ამასთან, 1983-1999 წლების t -ს ფაქტობრივი მნიშვნელობები 0,5684-ზე გაცილებით ნაკლები იყო (აღნიშნულ პერიოდში t -ს საშუალო მნიშვნელობა შეადგენდა 0.3629-ს).

გამორიცხული არ არის, რომ t -ს სხვადასხვა მნიშვნელობისათვის ადგილი ჰქონდეს ქვემოთ მოყვანილ სამივე შემთხვევას:

ა) $\alpha(t) + \beta(t) = 1$. ეს ნიშნავს, რომ საგადასახადო ტვირთის მოცემული სიდიდის პირობებში ეფექტიანობის დონე წარმოების მასშტაბზე დამოკიდებული არ არის. ამ შემთხვევაში ვამბობთ, რომ მოცემული t -ს პირობებში მასშტაბის მიმართ მუდმივი ეფექტი არსებობს;

ბ) $\alpha(t) + \beta(t) > 1$ – საგადასახადო განაკვეთის ყველა იმ მნიშვნელობისათვის, რომლისათვისაც ეს უტოლობა სამართლიანია, წარმოების მასშტაბის გაზრდა ამცირებს ერთობლივ საშუალო დანახარჯებს გამოშვების ერთეულზე, ე.ი. მოცემული t -ს პირობებში მასშტაბის მზარდი ეფექტი მოქმედებს;

გ) $\alpha(t) + \beta(t) < 1$ – წარმოების მასშტაბის გაზრდა კლებადი ეფექტიანობით ხასიათდება ყველა იმ t -სათვის, რომელიც მოცემული უტოლობის ამონახსნია.

საილუსტრაციოდ კვლავ მივმართოთ ევგენი ბალაცკის მიერ (1)-(4) მოდელისათვის აგებულ ეკონომეტრიკულ ვარიანტებს [3, 8] და დავადგინოთ, t -ს რა მნიშვნელობებისათვის აქვს რუსეთის, შვედეთის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის ეკონომიკას მასშტაბის მიმართ მუდმივი, მზარდი და კლებადი ეფექტი. ვინაიდან აღნიშნული ვარიანტების შეფასებები მიღებულია მოდელისათვის, რომელშიც $\alpha(t) = \alpha_1 t + \alpha_2 t^2$ და $\beta(t) = \beta_1 t + \beta_2 t^2$, ამიტომ (1) ფუნქციის ერთგვაროვნების ხარისხი $(\alpha(t) + \beta(t))$ შემდეგი სახით განისაზღვრება:

$$\alpha(t) + \beta(t) = (\alpha_2 + \beta_2)t^2 + (\alpha_1 + \beta_1)t.$$

α_j და β_j , $j=1,2$, პარამეტრების შეფასებული კონკრეტული მნიშვნელობების გათვალისწინების შემდეგ მივიღებთ, რომ მასშტაბის მიმართ გამოშვების ეფექტის სახის (მუდმივი, მზარდი, კლებადი) განმსაზღვრელი პირობებია:

რუსეთისათვის (1989-2000 წლები): $-6,32 t^2 + 4,68 t (=, >, <) 1$;

შვედეთისათვის (1980-1994 წლები): $-1,71 t^2 + 0,82 t (=, >, <) 1$;

დიდი ბრიტანეთისათვის (1983-1999 წლები):

$-105,18 t^2 + 38,9 t (=, >, <) 1$;

აშშ-ისათვის (1986-2000 წლები): $81,76 t^2 - 18,76 t (=, >, <) 1$.

ამ გამოსახულებებიდან გამომდინარეობს, რომ რუსეთისა და შვედეთის ეკონომიკისათვის მასშტაბის ეფექტის სახე დამოკიდებული არ არის საგადასახადო ტვირთის სიდიდეზე. საქმე ისაა, რომ როგორც არ უნდა შეიცვალოს t -ს მნიშვნელობა მის დასაშვებ $0 \leq t \leq 1$ არეზე, ორივე ქვეყნისათვის შენარჩუნებული იქნება მასშტაბის მიმართ კლებადი ეფექტი, რადგანაც t -ს ნებისმიერი დასაშვები მნიშვნელობისათვის რუსეთისათვის სრულდება უტოლობა $-6,32 t^2 + 4,68 t < 1$, შვედეთისათვის კი უტოლობა $-1,71 t^2 + 0,82 t < 1$.

სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის ეკონომიკისათვის: ამ ქვეყნებში საგადასახადო განაკვეთის სიდიდეზე არსებითად დამოკიდებულია მასშტაბის მიმართ ეფექტის სახე. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის ეკონომიკაში ადგილი აქვს: მასშტაბის მუდმივ ეფექტს, როცა საშუალო საგადასახადო განაკვეთი შეადგენს 0,028-ს და 0,342-ს; კლებად ეფექტს, როცა $0 \leq t < 0,028$ და $0,342 < t \leq 1$; და ბოლოს, მზარდ ეფექტს,

როცა $0,028 < t < 0,342$. აშშ-ის ეკონომიკისათვის კი შემდეგი სურათი გვაქვს: $t = 0,268$ – მუდმივი ეფექტი, $0 \leq t < 0,268$ – კლებადი ეფექტი, $0,268 < t \leq 1$ – მზარდი ეფექტი.

როგორც ვხედავთ, ბალაცკის მიერ აგებული ეკონომეტრიკული მოდელის მიხედვით, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის ეკონომიკა ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება მასშტაბის მიმართ ეფექტის ფორმის განმსაზღვრელი გადასახადების განაწილების სტრუქტურით – მასშტაბის ეფექტის ერთი ფორმიდან მეორეში გადასვლა სრულიად სხვადასხვა საგადასახადო ტვირთის პირობებში ხორციელდება. ამაში უცნაური არაფერია. მაგრამ უცნაურია ის გარემოება, რომ აშშ-ში მასშტაბის ეფექტიანობის ზრდის პირობად საშუალო საგადასახადო განაკვეთის გადაჭარბებული ზრდა გვევლინება. კერძოდ, როგორც ზემოთ მოყვანილი შედეგები გვიჩვენებს, მასშტაბის ეფექტი მზარდი მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, როცა საგადასახადო განაკვეთი აშშ-ის ეკონომიკაში გადაამეტებს დაახლოებით 27%-ს⁷ და გააგრძელებს ზრდას მის თეორიულად დასაშვებ 100%-იან ნიშნულამდე. ძნელია ამ ფაქტს რაიმე დასაბუთებული ახსნა მოვუძებნოთ. სავარაუდოდ, ეს მოდელის სპეციფიკაციის ან იდენტიფიკაციის არასრულყოფილების გამოვლინებაა.

(1)-(4) მოდელის ეკონომეტრიკული ვარიანტების ანალიზის პროცესში გამოვლენილი ცალკეული წინააღმდეგობების მიუხედავად, ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ შესაძლებელია მთლიანი გამოშვების მოცულობასა და წარმოებაში გამოყენებული კაპიტალისა და შრომის რაოდენობას შორის არსებულ ტექნოლოგიურ დამოკიდებულებაზე საგადასახადო ტვირთის გავლენის მოდელური შეფასება და ანალიზი. ამ დამოკიდებულებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება არ ესადაგებოდეს კობ-დუგლასის ფუნქცია, თუნდაც იმ განზოგადებული სახით, როგორც იცნობს (1)-(4) მოდელშია წარმოდგენილი და საჭირო იყოს სხვა, უფრო რთული საწარმოო ფუნქციის გამოყენება⁸. მაგრამ მაშინაც კი, როცა (1)-(4) მოდელი დამაკმაყოფილებელია როგორც ფორმალური სტატისტიკური კრიტერიუმების, ასევე მიღებული შედეგების ინტერპრეტირებადობის თვალსაზრისით, იგი მხოლოდ ვიწრო ჭრილში წარმოაჩენს გადასახადების როლს, რომელსაც იგი ასრულებს ეკონომიკაში. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ საგადასახადო ტვირთი ზემოქმედებს როგორც წარმოების ტექნოლოგიაზე, ასევე ეკონომიკურ აქტიურობასა და არსებული რესურსების გამოყენების დონეზე. მიგვაჩნია, რომ ეს უკანასკნელი გარემოება გაცილებით მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, ამიტომ ფისკალური ასპექტების მოდელირებისას და გადასახადების როლის განხილვისას მთავარი ყურადღება მას უნდა დაეთმოს.

რესურსების გამოყენების მოცულობაზე საგადასახადო ტვირთის გავლენის შეფასების მოდელი

ამ ტიპის მოდელის აგებას საფუძვლად შეიძლება დავუდოთ მიწოდების ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი წარმომადგენლის – არტურ ლაფერის კონ-

⁷ 1986-2000 წლებში აშშ-ში აგრეგირებული საგადასახადო განაკვეთის საშუალო წლიური მნიშვნელობა 0,27-0,31-ის ფარგლებში ვარირებდა.

⁸ კობ-დუგლასის ფუნქცია თეორიული ანალიზის კარგი ინსტრუმენტია, მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ, ელასტიკურობის მუდმივი კოეფიციენტებითაც კი, სწორ შემთხვევაში იგი გამოუსადეგარია კონკრეტული მონაცემების პირობებში წარმოების ტექნოლოგიის მოდელირებისათვის.

ცეფციის განზოგადებული ვარიანტი, რომლის მიხედვითაც აგრეგირებული (საშუალო) საგადასახადო განაკვეთი დაახლოებით ისეთივე ფორმით ზემოქმედებს ერთობლივი გამოშვების მოცულობაზე, როგორც ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების სიდიდეზე [9, c. 247]. ამ კონცეფციის პოსტულატები ფორმალიზებული სახით შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვყალიბოთ:

1) აგრეგირებული (საშუალო) საგადასახადო განაკვეთის განსაზღვრის არეს კიდურა $t = 0$ და $t = 1$ წერტილებზე გამოშვების მოცულობის, $Y(t)$ -ს, და ბიუჯეტის შემოსავლების, $T(t)$ -ს, მნიშვნელობები ნულის ტოლია, ე.ი.

$$Y(0) = Y(1) = 0, \quad T(0) = T(1) = 0;$$

2) არსებობს საშუალო საგადასახადო განაკვეთის t -ს ისეთი მნიშვნელობები t^* და t^{**} , რომ $Y(t)$ ზრდადია $[0, t^*)$ შუალედში, კლებადაა $(t^*, 1]$ შუალედში, ხოლო $T(t)$ ზრდადია $[0, t^{**})$ შუალედში და კლებადაა $(t^{**}, 1]$ შუალედში, ამასთან,

$$\max_{0 \leq t \leq 1} Y(t) = Y(t^*), \quad \max_{0 \leq t \leq 1} T(t) = T(t^{**}).$$

საშუალო საგადასახადო განაკვეთს, t^* -ს, რომლის დროსაც გამოშვების მოცულობა მაქსიმალურია, *ლაფერის პირველი გვარის ფისკალური წერტილი*, ხოლო მაქსიმალური საბიუჯეტო შემოსავლების მომტან t^{**} -ს კი *ლაფერის მეორე გვარის ფისკალური წერტილი* ეწოდება⁹. ცხადია, ამ ორი წერტილიდან ეკონომიკისათვის უფრო მნიშვნელოვანია პირველი გვარის წერტილი, t^* . ამიტომ t^* -ს პირობითად *ობიექტალურ საშუალო საგადასახადო განაკვეთს* ვუწოდებთ.

ფისკალური t^* და t^{**} წერტილების განსაზღვრა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფის ერთ-ერთ ხელშემწყობ პირობად შეიძლება იქცეს. შესაბამისი მოდელის აგებისას ორი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ: პირველი, ნებისმიერ ეკონომიკაში პროდუქციის გამოშვების სიდიდე დამოკიდებულია არსებული ეკონომიკური რესურსების (შრომის, კაპიტალის, მიწისა და სამეწარმეო უნარის) მოცულობაზე, ხარისხსა და გამოყენების ტექნოლოგიის დონეზე. ეს ფაქტორები ეკონომიკის საწარმო-ტექნოლოგიურ შესაძლებლობას განსაზღვრავს და მათი საუკეთესო განაწილებისა და სრული გამოყენების შემთხვევაში გამოშვების მოცულობა მაქსიმალურია, რომელსაც სხვანაირად *გამოშვების პოტენციურ დონეს* ვუწოდებთ. მეორე, ეკონომიკაში არანაკლებ როლს ინსტიტუციური გარემო ასრულებს, რომლის შექმნაც სახელმწიფოს ფუნქციაში შედის. იმაზე დამოკიდებულებით, რამდენად სრულყოფილია ინსტიტუციური გარემო, ერთი და იგივე საწარმო-ტექნოლოგიური შესაძლებლობების პირობებში გამოშვების მოცულობა განსხვავებული იქნება ნებისმიერი ორი ეკონომიკისათვის ან დროის ნებისმიერი ორი პერიოდისათვის. საუკეთესო, ანუ იდეალური ინსტიტუციური გარემოს შემთხვევაში ფაქტობრივი და პოტენციური გამოშვებები ერთმანეთის ტოლია. მაგრამ, როგორც ვცხადებ, უმეტეს შემთხვევაში, ფაქტობრივად არსებული ინსტიტუციური გარემო განსხვავდება მისი იდეალური ვარიანტისაგან, ამიტომ ეკონომიკის ფაქტობრივი ერთობლივი გამოშვების დონე პოტენციურს ჩამოუვარდება. უდავოა, რომ ინსტიტუციური გა-

⁹ ზოგად შემთხვევაში ეს წერტილები განსხვავებულია ზემოთ განხილულ ბალაცკის პირველი და მეორე გვარის წერტილებისაგან. ეს დეტალურად ქვემოთ იქნება განხილული.

რემოს შექმნაში, სხვა მრავალ მომენტთან ერთად, მნიშვნელოვან როლს დაბეგვრის არსებული სისტემა ასრულებს. მოდელურ დონეზე შეიძლება გავამარტივოთ სიტუაცია და დავეუშვათ, რომ სწორედ დაბეგვრის სისტემა არის ინსტიტუციური გარემოს შექმნის მთავარი ფაქტორი და ეკონომიკურ სუბიექტთა ქცევის განმსაზღვრელი. თუ ასეთ დაშვებას მივიღებთ, მაშინ ერთობლივი გამოშვების ფუნქცია $Y(t)$, ზოგად შემთხვევაში, შემდეგი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ

$$Y(t) = Y_{pot} f(t), \quad (10)$$

სადაც Y_{pot} - ეკონომიკის საწარმო-ტექნოლოგიური შესაძლებლობის გამომსახველი შედეგია; $f(t)$ - ინსტიტუციური ასპექტის ამსახველი ფუნქცია.

ფორმალური თვალსაზრისით Y_{pot} აღნიშნავს რაიმე მაკროეკონომიკური საწარმოო ფუნქციის მაქსიმალურ მნიშვნელობას ოპტიმალური ინსტიტუციური გარემოს პირობებში. უფრო კონკრეტულად, Y_{pot} გამოსახავს პოტენციური გამოშვების მოცულობას არსებული ტექნოლოგიის პირობებში ეკონომიკური რესურსების სრული გამოყენების დროს.

რაც შეეხება (10)-ში შემავალ $f(t)$ -ს ფუნქციას, იგი აღწერს გადასახადების ჯამური ეფექტის გავლენას გამოშვებაზე. ეს ქცევის ფუნქციაა და მისი შინაარსიდან გამომდინარე შემდეგ თვისებებს უნდა ფლობდეს:

1. $f(t)$ ზრდადია $[0, t^*)$ შუალედში და კლებადია $(t^*, 1]$ შუალედში. სხვანაირად, იგულისხმება, რომ საშუალო საგადასახადო განაკვეთის 0-დან t^* -მდე ზრდა ხელს უწყობს ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესებასა და ეკონომიკური აქტიურობის ამაღლებას, ხოლო t^* -დან 1-მდე ზრდა კი - გაუარესებასა და შემცირებას;

2. ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთისათვის $f(t^*)=1$. ეს მეტად მნიშვნელოვანი თვისება იმაზე მიუთითებს, რომ დაბეგვრის საშუალო განაკვეთი t^* ისეთი ინსტიტუციური გარემოს შექმნის საშუალებას იძლევა, რომლის დროსაც პროდუქციის გამოშვების ეფექტიანობას მთლიანად წარმოების ტექნოლოგიური ასპექტები განსაზღვრავს. მაშასადამე, ოპტიმალური საშუალო საგადასახადო განაკვეთისათვის გამოშვება მაქსიმალურია და (10) შემდეგ სახეს მიიღებს: $Y(t^*) = Y_{pot}$;

3. აღსანიშნავია კიდევ ერთი თვისება, რომელიც სასურველია, რომ $f(t)$ -ს გააჩნდეს. კერძოდ, გადასახადების არარსებობისას, ე.ი. $t=0$ -სათვის $f(0)=0$, ხოლო თუ შექმნილი შემოსავალი მთლიანად ამოიღება გადასახადების სახით, ე.ი. თუ $t=1$, მაშინ $f(1)=0$. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ მე-3 თვისებას მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება არ აკმაყოფილებდეს $f(t)$. მაგალითად, $t=0$ შემთხვევისათვის $f(t)$ ნულისაგან განსხვავებული იქნება, თუკი ვიგულისხმებთ, რომ სახელმწიფოს საკუთარი საწარმოები გააჩნია და მათი მოგებიდან დივიდენდების სახით მიღებული შემოსავლების საფუძველზე იგი ეკონომიკური ფუნქციების შესრულებას ასრულებს.

მოვიყვანოთ (10)-ის შესაბამისი ერთობლივი გამოშვების ფუნქციის მაგალითი, რომელშიც $f(t)$ -ს ზემოთ აღნიშნული თვისებები ექნება. ამ მიზნით გამოვიყენოთ ენტროპიული ფუნქციის $(-t \ln t)$ სახეშეცვლილი ვარიანტი¹⁰:

$$f(t) = -et^\delta \ln t^\delta. \quad (11)$$

მაშინ გვექნება:

$$Y(t) = Y_{pot} f(t) = Y_{pot} (-e t^\delta \ln t^\delta), \quad (12)$$

სადაც δ სტატისტიკურად შესაფასებელი დადებითი პარამეტრია; e – ნეპერის რიცხვია (ნატურალური ლოგარითმის ფუძე).

(12)-ის შესაბამის საბიუჯეტო შემოსავლების ფუნქციაა

$$T(t) = tY(t) = tY_{pot} f(t) = Y_{pot} (-e t^{\delta+1} \ln t^\delta). \quad (13)$$

შეიძლება ვაჩვენებთ, რომ (12)-(13) მოდელის პირობებში ლაფერის პირველი და მეორე გვარის ფისკალური წერტილების, t^* -ს და t^{**} -ს, მნიშვნელობები შემდეგნაირად განისაზღვრება:

$$t^* = \exp\left(-\frac{1}{\delta}\right) = e^{-1/\delta}, \quad t^{**} = \exp\left(-\frac{1}{\delta+1}\right) = e^{-1/(\delta+1)}. \quad (14)$$

გარდა ამისა, სამართლიანია შემდეგი პირობები:

$$\lim_{t \rightarrow 0} f(t) = 0, \quad f(t^*) = 1, \quad f(1) = 0.$$

ამიტომ, ერთობლივი გამოშვების (12) ფუნქციისათვის გვექნება:

$$\lim_{t \rightarrow 0} Y(t) = 0, \quad Y(t^*) = Y_{pot}, \quad Y(1) = 0.$$

ხოლო საბიუჯეტო შემოსავლების (13) ფუნქციისათვის კი¹¹

$$\lim_{t \rightarrow 0} T(t) = 0, \quad T(t^{**}) = \frac{\delta}{1+\delta} Y_{pot}, \quad T(1) = 0.$$

როგორც ვხედავთ, (12)-(13) მოდელის პირობებში t^* და t^{**} ფისკალური მახასიათებლების მნიშვნელობები მთლიანად δ პარამეტრზეა დამოკიდებული. ამ უკანასკნელის შეფასებისათვის და, მაშასადამე, (12)-(13) მოდელის იდენტიფიკაციისათვის, საჭიროა დაკვირვების მონაცემები მთლიანი გამოშვების, $Y(t)$ -ს, საგადასახადო განაკვეთის, t -ს, და გამოშვების პოტენციური დონის, Y_{pot} -ის, შესახებ. ჩამოთვლილთაგან უკანასკნელი (Y_{pot}) არადაკვირვებადი, ანუ

¹⁰ აღსანიშნავია, რომ ენტროპიული ფუნქცია ლაფერის თეორიის ილუსტრაციებისათვის პირველად გამოიყენა ვლადიმერ პაპავამ [10, 11]. მოგვიანებით ამ მოდელის განზოგადება განახორციელა გიორგი ლოლაძემ [12].

¹¹ სამწუხაროდ, ჩვენს წიგნში [13] და სტატიაში [14] დაშვებულია ტექნიკური შეცდომა – ბიუჯეტის მაქსიმალური შემოსავლების შესაბამის ფორმულაში გამორჩენილია δ პარამეტრი და $T(t^{**}) = \delta Y_{pot} / (1 + \delta)$ გამოსახულების ნაცვლად მოცემულია $T(t^{**}) = Y_{pot} / (1 + \delta)$. ამ შეცდომამ ტექსტის მცირე ნაწილის უზუსტობა განაპირობა.

ლატენტიური სიდიდეა, ამიტომ მისი მნიშვნელობის დადგენა (შეფასება) გარკვეული მეთოდის შემუშავებას მოითხოვს, რაც ცალკე პრობლემაა¹².

(12)-(13) მოდელის ფარგლებში Y_{pot} -თან დაკავშირებული პრობლემის გადაწყვეტისათვის უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ მთლიანი გამოშვების პოტენციური დონე Y_{pot} , გამოშვების ფაქტობრივი დონისაგან განსხვავებით, განისაზღვრება ეკონომიკური რესურსების არა გამოყენებული, არამედ არსებული მოცულობით. თუ ყურადღებას მხოლოდ ორ აგრეგირებულ რესურსზე – შრომასა და კაპიტალზე გავამახვილებთ, მაშინ შეგვიძლია ჩავწეროთ

$$Y_{pot} = \varphi(\Phi, L), \quad (15)$$

სადაც Φ – კაპიტალის არსებული მოცულობაა; L - სამუშაო ძალის (დასაქმებულებისა და უმუშევრების ერთობლიობის) არსებული რაოდენობა; φ – რაიმე შესაფასებელი ფუნქცია, რომელსაც შეიძლება პირობითად „პოტენციური გამოშვების ტექნოლოგიური ფუნქცია“ ვუწოდოთ. ამ ფუნქციის შეფასება იზოლირებულად, $Y_{pot} = \varphi(\Phi, L)$ გამოსახულების განხილვით, შეუძლებელია, ვინაიდან ამ უკანასკნელში შემავალი Y_{pot} -ის მნიშვნელობები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენთვის უცნობია. ამავე დროს, თუ მთლიანი გამოშვების (10) ფუნქციაში Y_{pot} -ის მნიშვნელობას $\varphi(\Phi, L)$ ფუნქციით ჩავანაცვლებთ და მიღებულ

$$Y(t) = \varphi(\Phi, L) f(t) \quad (16)$$

გამოსახულებას რეგრესიულ განტოლებად გარდავქმნით, მაშინ $f(t)$ -სთან ერთად შევძლებთ, აგრეთვე, $\varphi(\Phi, L)$ ფუნქციის შეფასებასაც.

საილუსტრაციოდ მივმართოთ აშშ-ის ეკონომიკის შესახებ არსებულ სტატისტიკურ მონაცემებს და საანალიზო პერიოდად განვიხილოთ 1970-2008 წლები¹³. (16)-ის კონკრეტული ეკონომეტრიკული სახის დასადგენად კი პოტენციური გამოშვების ფუნქცია (15) შემდეგი სახით წარმოვადგინოთ:

$$Y_{pot(i)} = Ae^{\lambda i} L_i^\mu L_{i-1}^\eta Y_{i-1}^\theta, \quad (17)$$

სადაც i – დროის აღმნიშვნელი ინდექსია; $Y_{pot(i)}$ – პოტენციური გამოშვების მოცულობა i პერიოდში; A, λ, μ, η და θ სტატისტიკურად შესაფასებელი პარამეტრები; L_i, L_{i-1} – სამუშაო ძალის რაოდენობა შესაბამისად დროის i და $i-1$ პერიოდებში; Y_{i-1} – გამოშვების ფაქტობრივი მოცულობა $i-1$ პერიოდში.

პოტენციური გამოშვების ფუნქციისათვის ასეთი სტრუქტურის შერჩევა რამდენიმე გარემოებამ განაპირობა. პირველი დაკავშირებულია ავტოკორელა-

¹² პრაქტიკაში გამოშვების პოტენციური დონის შეფასებისათვის რამდენიმე მიდგომა გამოიყენება. ამ მიდგომების ზოგად მიმოხილვას ეძღვნება მოხსენება [15]. გამოშვების პოტენციური დონის შეფასების რამდენიმე სპეციფიკური მეთოდი შემოთავაზებულია სტატიებში [16, 17].

¹³ მონაცემები აღებულია აშშ-ის ეკონომიკური ანალიზის ბიუროს ოფიციალური საიტიდან: www.bea.gov.

ციის პრობლემის გადალახვასთან. ლაგური ცვლადები (L_{i-1} და Y_{i-1}) მოდელში ძირითადად ამ მიზნითაა ჩართული, თუმცა ამ ცვლადების გათვალისწინება ეკონომიკური ანალიზის ჩარჩოს აფართოებს, რადგანაც შესაძლებელი ხდება დინამიკური ასპექტების ასახვა; მეორე გარემოება კაპიტალის არსებული მოცულობის ასახვას უკავშირდება. როგორც ვხედავთ, მოდელში წარმოების ეს ფაქტორი, სამუშაო ძალისაგან განსხვავებით, ცხადი სახით არ ფიგურირებს¹⁴. გაანგარიშებებმა გვიჩვენა, რომ კაპიტალის მოცულობის გათვალისწინების შემთხვევაში მოდელის შემფასებელი პარამეტრების ნაწილი სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია, ამიტომ სასურველია შემოვიფარგლოთ მხოლოდ ერთი ძირითადი ფაქტორით – სამუშაო ძალით. უფრო მეტიც, წმინდა ეკონომეტრიკული პრობლემის არარსებობის შემთხვევაშიც კი, პოტენციური გამომწვევის დონის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად მხოლოდ სამუშაო ძალის განხილვა გამართლებულია. საქმე ისაა, რომ აშშ-ის ეკონომიკისათვის (და არა მარტო) შრომა უფრო „დეფიციტური“ ფაქტორია, ვიდრე კაპიტალი. სხვადასხვა გაანგარიშებით აშშ-ისათვის ე.წ. კაპიტალის დატვირთვის ბუნებრივი დონე დაახლოებით 82%-ია [19, გვ. 8], მაშინ, როცა უმუშევრობის ბუნებრივი დონე 6%-ზე ნაკლებია.

(17)-ის მნიშვნელობა გავითვალისწინოთ (12)-ში და მიღებული გამოსახულება

$$Y_i(t) = Y_{pot(i)} f(t_i) = Ae^{\lambda i} L_i^\mu L_{i-1}^\eta Y_{i-1}^\theta (-e t_i^\delta \delta \ln t_i) \quad (18)$$

გალოგარიტმებით შემდეგი სახის რეგრესიულ განტოლებად გარდაკმნათ:

$$\ln \left(\frac{Y_i(t)}{-e \ln t_i} \right) = \ln(A\delta) + \lambda i + \mu \ln L_i + \eta \ln L_{i-1} + \theta \ln Y_{i-1} + \delta \ln t_i + \ln \varepsilon_i, \quad (19)$$

სადაც ε_i – შემთხვევითი წევრია და ახასიათებს პოტენციური გამომწვევიდან

ფაქტობრივი გამომწვევის გადახრის იმ ნაწილს, რომელიც არასაგადასახადო გარემოებებითაა განპირობებული (იგულისხმება, რომ ε_i -ს გააჩნია ლონგ-ნორმალური განაწილება). მოცემული განტოლების შეფასების შედეგები მოყვანილია ცხრილ 2-ში. როგორც ვხედავთ, შეფასებული მოდელის ყველა კოეფიციენტი, მათ შორის თავისუფალი წევრიც, სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, მაღალი მნიშვნელოვნებით გამოირჩევა დეტერმინაციის ჩვეულებრივი და კორექტირებული კოეფიციენტები, არ არსებობს ავტოკორელაციის პრობლემა (ეს უკანასკნელი უარყოფილია 1%-იანი მნიშვნელობის დონისათვის დარბინ-უოტსონის როგორც DW , ასევე h სტატისტიკით). მაშასადამე, შეფასებული მოდელი დასკვნების გასაკეთებლად ვარგისია.

¹⁴ თუმცა იგი გარკვეულ გამოვლინებას არაპირდაპირი სახით A და Y_{i-1} ელემენტებში ჰპოვებს.

რეგრესიის (19) განტოლების შეფასების შედეგები

საანალიზო პერიოდი: 1970 – 2008 წლები;

ცვლადები	კოეფიციენტები	შეფასებები	სტანდარტული შეცდომები	სტიუდენტის t -სტატისტიკა	ალბათობა
მუდმივი	$\ln(A\delta)$	4,1663	01,1740	3,5486	0,0012
i	λ	0,0168	0,0042	4,0091	0,0003
$\ln L_i$	μ	2,2793	0,5945	3,8342	0,0005
$\ln L_{i-1}$	η	-2,1935	0,5703	-3,8465	0,0005
$\ln Y_{i-1}$	θ	0,4334	0,1259	3,4435	0,0016
$\ln t_i$	δ	0,8685	0,0839	10,3453	0,0000

$R^2 = 0,9985$, კორექტირებული $R^2 = 0,9982$,
 $F(4,34) = 4390$, $p < 0,0000$; $DW = 1,5770$, $h = 1,65$

ცხრილ 2-ში მოცემული δ -ს საფუძველზე, (14) ფორმულების გამოყენებით, ადვილად დავადგინოთ, რომ საანალიზო პერიოდისათვის


$$t^* = 0,3162, \quad t^{**} = 0,5856.$$

ეს შედეგი რამდენიმე საინტერესო გარემოებაზე მიგვანიშნებს.

ჯერ ერთი, ლაფერის პირველი გვარის ფისკალური წერტილის, ანუ ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთის, t^* -ს, აქ მოცემული მნიშვნელობა რამდენადმე აღემატება განხილული პერიოდის თითოეული წლის ფაქტობრივ t -ს მნიშვნელობას¹⁵. ცალკეული წლების ფაქტობრივი საგადასახადო ტვირთის ოპტიმალურიდან გადახრის შედეგების შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ $f(t)$ ფუნქციის მნიშვნელობებით. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ $f(t^*) = 1$, ხოლო t^* -საგან განსხვავებული ნებისმიერი t -სათვის, $f(t) < 1$. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ფაქტობრივი გამოშვების დონე ჩამორჩება პოტენციური გამოშვების დონეს და ჩამორჩენის მიზეზი შეიძლება იყოს როგორც გადამეტებული, ასევე არასაკმარისი საგადასახადო ტვირთი. ამასთან, რაც მეტად განსხვავდება ფაქტობრივი საგადასახადო განაკვეთი t მისი ოპტიმალური მნიშვნელობისაგან, მით დიდია სხვაობა $(1 - f(t))$, ანუ პროცენტული განსხვავება პოტენციური და ფაქტობრივი გამოშვების დონეებს შორის. ამ განსხვავების თვალსაჩინო ილუსტრირებას იძლევა ნახ. 1, სადაც წარმოდგენილია საგადასახადო ტვირთის არა-ოპტიმალურობის მიზეზით მიუღებელი მთლიანი შიგა პროდუქტის პროცენტული მნიშვნელობების დინამიკა. ნახ. 1 გვიჩვენებს, რომ (12)-(13) მოდელის თანახმად, ლაფერის თეორიის სამართლიანობის პირობებში, აშშ-ის ეკონომიკაში საგადასახადო ტვირთის მოწესრიგების გზით გამოშვების ზრდის გარკვეული

¹⁵ ცნობისათვის: 1970-2008 წლების t -ს ფაქტობრივ მნიშვნელობათა სიმრავლეს შეესაბამება უტოლობა $0,2605 \leq t \leq 0,3028$, ამასთან, საშუალო პერიოდული მნიშვნელობა, \bar{t} , შეადგენდა 0,2772-ს.

რეზერვი არსებობდა. დაბალი საგადასახადო ტვირთის გამო ზოგიერთი წლისათვის (1971, 1975, 1983, 1984, 2003 წლები) ეს რეზერვი 1%-ს აღემატებოდა, ზოგიერთისათვის კი 0,2%-ზე ნაკლები იყო. თუ გამოვითვლით საშუალო პერიოდულ მნიშვნელობას, მივიღებთ, რომ 1970-2008 წლებში, საგადასახადო ტვირთის არაოპტიმალურობის გამო, პოტენციური გამოშვებიდან ფაქტობრივის წლიური ჩამორჩენა საშუალოდ 0,66%-ს შეადგენდა. ეს რეზერვი მცირე არ არის, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ განხილულ პერიოდში აშშ-ის ეკონომიკა საშუალოდ არაოპტიმალური საგადასახადო ტვირთის პირობებში ფუნქციონირებდა.



ნახ. 1. არაოპტიმალური საგადასახადო ტვირთის მიზეზით აშშ-ის პოტენციური გამოშვების დონიდან ფაქტობრივი გამოშვების დონის ჩამორჩენის დინამიკა 1970-2008 წლებში

მეორე, (12)-(13) მოდელიდან განსაზღვრული ლაფერის პირველი და მეორე გვარის ფისკალური წერტილების მნიშვნელობები t^* და t^{**} რამდენადმე უფრო მაღალია, ვიდრე (1)-(4) მოდელიდან განსაზღვრული ბალაცის პირველი და მეორე გვარის ფისკალური წერტილების t^Y და t^T საშუალო პერიოდული მნიშვნელობები [3]:


$$\bar{t}^Y = \frac{1}{n} \sum_{i=1}^n t^Y_i = 0,2839, \quad \bar{t}^T = \frac{1}{n} \sum_{i=1}^n t^T_i = 0,2934.$$

ეს მოსალოდნელიც იყო, რადგანაც (12)-(13) მოდელი გადასახადების როლს უფრო ფართო ჭრილში განიხილავს, ვიდრე (1)-(4) მოდელი. საქმე ისაა, რომ ბალაცის პირველი გვარის წერტილი, t^Y , გვიჩვენებს, როგორი უნდა იყოს საგადასახადო განაკვეთის მნიშვნელობა, რომ წარმოებაში ჩართული (ფაქტობრივად გამოყენებული) ეკონომიკური რესურსებიდან მივიღოთ მაქსიმალური გამოშვება, მაშინ როცა ლაფერის პირველი გვარის წერტილი t^* გამოსახავს საგადასახადო განაკვეთის იმ მნიშვნელობას, რომლის დროსაც არსებული (პოტენციურად გამოსაყენებელი) ეკონომიკური რესურსებიდან მაქსიმალური გამოშვება მიიღება. ანალოგიურად, ბალაცის მეორე გვარის წერტილი, t^T , ბიუჯეტის მაქსიმალური შემოსავლების შესაბამისი საგადასახადო განაკვეთია უკვე გამოყენებული რესურსების პირობებში, ლაფერის მეორე გვარის ფისკალური წერტილი, t^{**} , კი იგივეა პოტენციურად გამოსაყენებელი ეკონომიკური რესურსების პირობებში. სხვანაირად, ეკონომიკური რესურსების გამოყენების მოცულობა ბალაცის წერტილებისათვის მოცემულია, ლაფერის წერტილებმა კი ეს მოცულობა თავად უნდა განსაზღვროს.

მესამე, არანაკლებ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ლაფერის ფისკალური წერტილები, t^* და t^{**} , ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება:

მიღებული შედეგების თანახმად t^{**} თითქმის ორჯერ აღემატება t^* -ს და 0,5856-ს შეადგენს. მოდელურ დონეზე შესაძლებელია იმის დადგენა, თუ რა დაემართებოდა განხილულ პერიოდში აშშ-ის ეკონომიკას საშუალო საგადასახადო განაკვეთის ფაქტობრივი საშუალო პერიოდული მნიშვნელობის 0,5856-მდე გაზრდის შემთხვევაში. მოდელის თანახმად, საგადასახადო განაკვეთის საშუალო პერიოდულ მნიშვნელობას, $\bar{t} = 0,2772$ -ს, პოტენციური გამოშვებიდან დაახლოებით 0,7 პროცენტული პუნქტით ჩამორჩენა შეესაბამება. საგადასახადო განაკვეთის 0,5856-მდე გაზრდა, სხვა თანაბარ პირობებში, ამ მაჩვენებელს 20%-მდე გაზრდას გამოიწვევდა. ეს გარემოება ეჭვის ქვეშ აყენებს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის მიზანშეწონილობას, რომლის დროსაც მთავრობისათვის პრიორიტეტულს ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მაქსიმიზაცია წარმოადგენს.

აუცილებლად მიგვაჩნია ერთი მეტად მნიშვნელოვანი დაზუსტების გაკეთება. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ პოტენციური გამოშვებიდან ფაქტობრივის გადახრა შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც არაოპტიმალური საგადასახადო ტვირთის მოქმედებით, ასევე სხვა, არასაგადასახადო გარემოებებით და ფაქტორებით. $(1 - f(t))$ ფუნქციაში გადახრის მხოლოდ ის ნაწილი აისახება, რომელიც საგადასახადო ტვირთთანაა დაკავშირებული. დანარჩენ არასაგადასახადო გარემოებებითა და ფაქტორებით განპირობებულ გადახრას ახასიათებს (19) განტოლებაში შემავალი შემთხვევითი წევრი, \mathcal{E} . გამოშვების მოცულობაზე ამ გარემოებებისა და ფაქტორების გავლენა ზოგჯერ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საგადასახადო ტვირთის გავლენა, თანაც ისინი შეიძლება სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებდნენ. ამას ადასტურებს ნახ. 2, სადაც წარმოდგენილია (19) მოდელით შეფასებული პოტენციური გამოშვების დონიდან ფაქტობრივი გამოშვების დონის მთლიანი გადახრის პროცენტული მნიშვნელობების დინამიკა. როგორც ნახტიდან ჩანს, ცალკეულ წლებში პოტენციურიდან გადახრის მნიშვნელობამ 3 და უფრო მეტი პროცენტული პუნქტი შეადგინა, მაშინ როცა არაოპტიმალური საგადასახადო ტვირთის მიზეზით გადახრის მაქსიმალური მნიშვნელობა დაახლოებით 1,2%-ს შეადგენდა. უფრო მეტიც, ცალკეულ წლებში, არასაგადასახადო გარემოებების ზემოქმედება იმდენად ძლიერი იყო, რომ მან გადაფარა საგადასახადო ტვირთის არაოპტიმალურობით გამოწვეული უარყოფითი სტიმულები და ფაქტობრივმა გამოშვებამ, ჩამორჩენის ნაცვლად, პოტენციურ გამოშვებას გადააჭარბა. ასეთ შემთხვევებს ნახ. 2-ზე გადახრის უარყოფითი მნიშვნელობები შეესაბამება.



ნახ. 2. პოტენციური გამოშვების დონიდან ფაქტობრივი გამოშვების გადახრისა და უმუშევრობის დონის დინამიკა 1970-2008 წლებში აშშ-ში

ნახ. 2-ზე პოტენციურიდან ფაქტობრივი გამოშვების გადახრების დინამიკის მრუდთან ერთად მოცემულია უმუშევრობის ფაქტობრივი დონის დინამიკის ამსახველი მრუდი. როგორც ვხედავთ, ამ ორი მრუდის მოძრაობები ერთმანეთს ძალიან წააგავს, რაც იმას მოწმობს, რომ მაღალი უმუშევრობის დონის პირობებში ჩამორჩენა პოტენციური გამოშვებიდან შესაბამისად მაღალი იყო, ხოლო განსაკუთრებით დაბალი (6%-ზე ნაკლები) უმუშევრობის დონის შემთხვევაში კი ფაქტობრივმა გამოშვებამ პოტენციურს გადააჭარბა. ეს შედეგი განსაკუთრებით საზგასანმელია, რადგანაც შემოთავაზებულ მოდელში არც უმუშევრობის დონე და არც გამოყენებული შრომის რაოდენობა ეგზოგენურ ცვლადებად დაფიქსირებული არ არის. უფრო მეტიც, (12)-(13) მოდელი უმუშევრობის ბუნებრივი დონის (პოტენციური გამოშვების პირობებში არსებული უმუშევრობის დონის) მნიშვნელობის ენდოგენური შეფასების საშუალებას იძლევა. ამისათვის უნდა მივმართოთ ოუკენის ფორმულის ერთ-ერთ ვარიანტს [20, გვ. 197], რომელიც ამყარებს შესაბამისობას უმუშევრობის დონესა და მიუღებელი მთლიანი შიგა პროდუქტის სიდიდეს შორის:

$$\frac{Y_{pot(i)} - Y_i}{Y_{pot(i)}} = \rho(u_i - u^*), \quad (20)$$

სადაც u უმუშევრობის არსებული (ფაქტობრივი) დონეა; u^* – უმუშევრობის ბუნებრივი დონე; ρ – ოუკენის პარამეტრი. ეს უკანასკნელი გვიჩვენებს პოტენციური გამოშვებიდან ფაქტობრივი გამოშვების ჩამორჩენის პროცენტულ ცვლილებას უმუშევრობის ფაქტობრივი დონის ბუნებრივი დონიდან ერთი პროცენტული პუნქტით გადახრის შემთხვევაში¹⁶. ადვილად შევნიშნავთ, რომ (20) გამოსახულება მოვლენას სტატიკაში აღწერს – მასში შემავალი ყველა მაჩვენებელი ერთი და იგივე პერიოდს მიეკუთვნება – ამიტომ ρ -ს შეიძლება ვუწოდოთ *ოუკენის სტატიკური კოეფიციენტი*.

შემოვიღოთ აღნიშვნები $g_{pot} = (Y_{pot} - Y)/Y_{pot}$, $\rho_0 = -\rho u^*$ და (20) რეგრესიულ მოდელად გარდავაქმნათ:

$$g_{pot(i)} = \rho_0 + \rho u_i + v_i, \quad i = 1, 2, \dots, n, \quad (21)$$

სადაც v -შემთხვევითი წევრია. შევაფასოთ ρ_0 და ρ პარამეტრები ისე, რომ (21)-ში დამოკიდებული ცვლადის, g_{pot} -ს, მნიშვნელობებად განვიხილოთ (19) განტოლებით განსაზღვრული პოტენციური გამოშვებიდან ფაქტობრივის გადახრის მნიშვნელობები. ამ პროცედურების შედეგად ჩვენს შემთხვევაში მივიღებთ

$$\hat{g}_{pot} = -2,43752 + 0,50493 u, \quad R^2 = 0,2306; \quad F(1,37) = 11,2; \\ (0,9499) \quad (0,1516) \\ DW = 1,663,$$

სადაც კოეფიციენტების ქვეშ ფრჩხილებში მითითებულია სტანდარტული შეცდომები. შეფასებული განტოლება ყველა კრიტერიუმის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, ამიტომ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ 1970-2008 წლების მონაცემების თანახმად, აშშ-ისათვის ოუკენის სტატიკური კოეფიციენტი $\rho = 0,5049$. მაშასადამე, უმუშევრობის ბუნებრივ დონესთან შედარებით ფაქტობრივი უმუშევრობის დონის მიმართ მიუღებელი მთლიანი შიგა პროდუქტის ელასტიკურობის კოეფიციენტი.

¹⁶ ρ არ არის უმუშევრობის დონის მიმართ მიუღებელი მთლიანი შიგა პროდუქტის ელასტიკურობის კოეფიციენტი.

ტობრივი დონის 1 პროცენტული პუნქტით გადიდება (შემცირება) მიუღებელი მთლიანი შიგა პროდუქტის სიდიდეს საშუალოდ 0,5%-ით ზრდის (ამცირებს). რაც შეეხება უმუშევრობის ბუნებრივი დონის მნიშვნელობას, u^* -ს, იგი შეადგენს 4,8274%-ს და მიიღება გამოსახულებიდან $\rho_0 = -\rho u^*$, რომელშიც $\rho = 0,5049$, ხოლო $\rho_0 = -2,43752$.

ოუკენის ფორმულის ვარიანტი – (20) განსხვავდება მაკროეკონომიკის თანამედროვე სახელმძღვანელოებში ოუკენის კანონის ილუსტრირებისათვის ფართოდ გამოყენებული შემდეგი ვარიანტისაგან:

$$u_i - u_{i-1} = -\beta(g_{yi} - g^*), \quad (22)$$

რომელშიც g^* აღნიშნავს მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის ნორმალურ ტემპს (ზრდის ტემპი, რომელიც შეესაბამება უმუშევრობის მუდმივ დონეს); g_{yi} – მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის ფაქტობრივი ტემპია:

$g_{yi} = (Y_i - Y_{i-1})/Y_i$; β – ოუკენის პარამეტრია, რომელიც ამჯერად გამოსახავს მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის ფაქტობრივი ტემპის ნორმალური ტემპისაგან გადახრის სიდიდის გავლენას უმუშევრობის დონის ცვლილებაზე. აშკარაა, რომ (22) მოვლენას დინამიკაში აღწერს, რადგანაც მასში შემავალი როგორც ზრდის ტემპის, ასევე უმუშევრობის დონის მახასიათებლები დროში ცვლილებას გამოხატავს. აქედან გამომდინარე, β -ს შეიძლება ვუწოდოთ *ოუკენის დინამიკური კოეფიციენტი*. ოუკენის სტატიკური და დინამიკური კოეფიციენტების შინაარსობრივი განსხვავება აშკარაა; გასაკვირი არ არის, რომ მათ შორის რაოდენობრივი განსხვავებაც იარსებებს. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ აღნიშვნებით $\Delta u_i = u_i - u_{i-1}$, $\beta_0 = \beta g^*$ (22)-ს შემდეგ რეგრესიულ მოდელად გარდავაქმნით

$$\Delta u_i = \beta_0 - \beta g_{yi} + v_i, \quad i = 1, 2, \dots, n,$$

სადაც v_i შემთხვევითი წევრია, ხოლო β_0 და β სიდიდეებს იმავე პერიოდის მონაცემებით შევაფასებთ, რაც (21) მოდელისათვის გამოვიყენეთ. მივიღებთ:

$$\Delta \hat{u} = 1,25186 - 0,40239 g_y, \quad R^2 = 0,7404; \quad F(1,37) = 105; \quad DW = 1,788. \\ (0,14007) \quad (0,03917)$$

აქედან გამომდინარეობს, რომ ოუკენის მეორე გვარის (დინამიკური) კოეფიციენტი $\beta = 0,4024$, ხოლო მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის ნორმალური ტემპი $g^* = \beta_0 / \beta = 3,1111\%$ ¹⁷.

დასასრულს შევჩერდეთ (12)-(13) მოდელის ზემოთ განხილული ეკონომეტრიკული ვერსიის ერთ საინტერესო თავისებურებაზე, რომელიც დაკავშირებულია

¹⁷ ეს შედეგები სრულად ესადაგება, მაგალითად, ოლივიე ბლანშარის მაკროეკონომიკის კურსში მოყვანილ მონაცემებს [21, გვ. 184-185]. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეკონომიკის, მათ შორის მაკროეკონომიკის, ზოგიერთ სახელმძღვანელოში ოუკენის ფორმულის დინამიკური ვარიანტის, (22)-ის, საფუძველზე მიღებული შედეგები პირდაპირ მიეწერება სტატიკურ ვარიანტს (20)-ს, რაც, ჩვენი აზრით, არასწორია.

რებულია ლაგური ელემენტების არსებობასთან. ამ უკანასკნელთა საშუალებით შესაძლებელია დინამიკაში მიმდინარე პროცესების ანალიზი და მოკლე და გრძელვადიანი მახასიათებლების განსაზღვრა. განსაკუთრებით ეს ეხება სამუშაო ძალისა და გამოშვების ურთიერთდამოკიდებულებას. მაგალითად, ცხრილ 2-ში მოყვანილი μ პარამეტრის შეფასებული მნიშვნელობა 2,2793 გამოსახავს მოცემული პერიოდის გამოშვების ელასტიკურობას ამავე პერიოდის სამუშაო ძალის მიმართ. როგორც ვხედავთ, სამუშაო ძალის რაოდენობის ზრდა დადებითად აისახება მიმდინარე გამოშვებაზე, რაც სრულიად ლოგიკურია. μ -ს მოკლევადიანი ელასტიკურობის კოეფიციენტი ეწოდება. შეიძლება ვაჩვენოთ, რომ (22) დამოკიდებულების პირობებში სამუშაო ძალის მიმართ გამოშვების გრძელვადიანი ელასტიკურობა, ანუ ელასტიკურობის კოეფიციენტი წონასწორობის მდგომარეობისათვის განისაზღვრება როგორც $(\eta + \mu)/(1 - \theta)$. ცხრილ 2-ის მონაცემებიდან გამომდინარე, ამ უკანასკნელის რიცხვითი მნიშვნელობა 0,1514-ის ტოლია და მოკლევადიანი ელასტიკურობის კოეფიციენტზე ნაკლებია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Аткинсон Э. Б., Стиглиц Д. Э. Лекции по экономической теории государственного сектора. Москва, Аспект Пресс, 1995.
2. Стиглиц Д. Э. Экономика государственного сектора. М.: МГУ, ИНФРА-М, 1997.
3. Балацкий Е.В. Анализ влияния налоговой нагрузки на экономический рост с помощью производственно-институциональных функций // Проблемы прогнозирования. 2003, № 2.
4. Раяцкас Р. Л., Плакунов М. К. Количественный анализ в экономике. Москва, Наука. 1987.
5. Йохансен Л. Очерки макроэкономического планирования. Т. 1. Москва, Прогресс, 1982.
6. Клейнер Г. Б. Производственные Функции: Теория, методы, применение. Москва, Финансы и статистика, 1986.
7. Балацкий Е.В. Эффективность фискальной политики государства // Проблемы прогнозирования. 2000, № 5.
8. Балацкий Е.В. Оценка влияния фискальных инструментов на экономический рост // Проблемы прогнозирования. 2004, № 4.
9. Сакс Дж. Д., Ларрен Ф. Б. Макроэкономика. Глобальный подход. Москва, Дело, 1996.
10. Parava Vladimer. The Georgian Economy: From “Shock Therapy” to “Social Promotion” // Communist Economies & Economic Transformation, 1996, Vol. 8, No. 8.
11. Папава В. Г. Лафферов эффект с последствием // Мировая экономика и международные отношения, 2001, № 7.
12. ლოლაძე გ. ლაფერის მრუდის ზოგიერთი ასპექტის შესახებ // მიკრო-მაკრო ეკონომიკა, 2002, № 9.
13. ანანიაშვილი ი., პაპავა ვლ. გადასახადები, მოთხოვნა და მიწოდება: ლაფერ-კეინზიანური სინთეზი. თბილისი, სიახლე, 2009.
14. ანანიაშვილი ი., პაპავა ვლ. მაკროეკონომიკური წონასწორობა ლაფერ-კეინზიანური სინთეზის პირობებში. // ეკონომისტი, 2010, № 5.

15. Mishkin Frederic S. Estimating Potential Output // Remarks at the Conference on Price Measurement for Monetary Policy, Federal Reserve Bank of Dallas. Dallas, Texas, May 24, 2007, <http://www.federalreserve.gov/newsevents/speech/mishkin20070524a.htm>.
16. ანანიაშვილი ი. საქართველოს ეკონომიკის პოტენციური მთლიანი შიგა პროდუქტისა და უმუშევრობის ბუნებრივი დონის ეკონომეტრიკული შეფასება // ეკონომიკა და ბიზნესი, 2010, № 5.
17. Балацкий Е. В. Оценка объема потенциального ВВП. //Проблемы прогнозирования. 2000, № 1.
18. აშშ-ის ეკონომიკური ანალიზის ბიუროს ოფიციალური საიტი www.bea.gov.
19. Российская Федерация. Отдельные вопросы; Доклад Международного Валютного Фонда по Российской Федерации № 05/379. Октябрь 2005 года, <http://www.imf.org/external/pubs/ft/scr/2005/rus/cr05379r.pdf>.
20. Макроэкономика. Под ред-ей Тарасевича Л. С. Санкт-Петербург, ГУЭФ, 1999.
21. Blanchard O. Macroeconomics. Fifth Edition. Pearson Prentice Hall, New Jersey, 2009.

Yuri Ananiashvili

*Doctor of Economic Science, Professor,
Head of Econometrics Department,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

Vladimer Papava

*Doctor of Economic Science, Professor,
Corresponding Member of the National Academy of Sciences of Georgia,
Principal Research Fellow at the Paata Gugushvili Institute of Economics*

MODELS ESTIMATING TAX BURDEN IMPACT UPON THE EFFICIENCY AND VOLUME OF USAGE OF RESOURCES

Summary

The article discusses two different approaches to assess the impact of the aggregate tax burden upon the volume of the output and budget revenues. The first approach is based upon the transformational type of model and the other is based upon the behavioural type of model. A production function with a variable elasticity coefficient plays a key role in the first approach whilst the specific option of the entropy function comes into play in the second. Both of the models allow for determining the so-called first and second fiscal points (the average tax rates relevant to a maximum production effect and to the maximum tax revenues of the budget). The article concludes that it is only the points of the second type of model which correspond to the conception of Laffer since the volume of the usage of economic resources for the points derived from transformational type of model is exogenic whilst the endogenic determination of the volume is made for points of the behavioural type of model. The results are demonstrated by using available data on the US economy.

Альфред Кураташвили

Доктор экономических наук, профессор

ОПРЕДЕЛЯЮЩИЕ ПРИЧИНЫ ВОЗНИКНОВЕНИЯ ГЛОБАЛЬНОГО КРИЗИСА В НАЧАЛЕ XXI ВЕКА

Глобальный кризис начала XXI века, который является *качественно новым – притом* Всеобщим кризисом капитализма, *есть, прежде всего*, результат кризиса в сознании тех ученых, на результаты исследований которых опирались лидеры ведущих капиталистических стран мира в процессе управления обществом и государством в преддверии этого кризиса.

Ведь не случайно и совершенно справедливо отмечал Альберт Эйнштейн, что «в процессе исторического развития лучшим оружием является интеллект» [1].

Таким образом, глубинные причины возникновения мирового экономического кризиса в начале XXI века, так же как и *причины возникновения любого другого мирового экономического кризиса, по моему убеждению*, ошибочно искать лишь в самой экономике.

Вышеотмеченное убеждение обосновывается мной тем, что, *во-первых*, экономикой управляет не сама экономика, а управляет ею политика. *Поэтому*, непосредственно определяющие причины возникновения мирового экономического кризиса в начале XXI века, как и причины возникновения любого другого мирового экономического кризиса, необходимо искать, прежде всего, в политическом менеджменте.

И, *во-вторых*, для эффективного управления экономикой и всеми другими сферами общественной жизни, политический менеджмент должен основываться на соответствующие научно-теоретические идеи, способствующие указывать и освещать путь практике [2], *ибо говоря словами Леонардо да Винчи*, «Теория – полководец, практика – солдаты» [3, с.53].

Следовательно, наиболее глубинные причины возникновения мирового экономического кризиса необходимо искать в тех научных идеях, на которые основывается политический менеджмент ведущих капиталистических стран мира, и в которых начался мировой экономический кризис в начале XXI века.

Хотя это вовсе не означает, что будто бы нигде в мире нет ученых, на основании идей которых можно было бы эффективно управлять обществом, государством и человечеством в целом.

Однако обычно, *как мне представляется*, лидеры государств нередко основывались в процессе своей деятельности не на самые прогрессивные научные идеи, имеющиеся в мире, *доказательством чему могут служить результаты их деятельности, проявившиеся, к примеру, в возникновении Глобального кризиса в начале XXI века*.

А точнее, лидеры ведущих капиталистических стран мира, видимо, руководствовались (*и возможно кое-кто из них и ныне еще руководствуется*) традиционным «букетом» критериев, свойственных капитализму: господство самоцели средств – господство денег, прибыли, капитала, господство и регулирующая роль свободного рынка в обществе и в государстве (!).

Наличие вышеотмеченных критериев, свойственных капитализму, может подтвердить любой человек, который прожил в одном из развитых капиталистических государств мира хотя бы всего несколько дней.

В связи с регулирующей ролью свободного рынка в обществе и государстве, на мой взгляд, важно привести здесь слова всемирно известного американского ученого-экономиста Джона Кеннета Гэлбрейта, который еще в 1990 году писал, что

«Капитализм не мог бы выжить в своей изначальной или чистой форме, но под нажимом он смог приспособиться» [4].

Далее Джон Кеннет Гэлбрейт писал: «...Кто говорит...о возвращении к свободному рынку времен Смита, неправы настолько, что их точка зрения может быть сочтена психическим отклонением клинического характера. Это то явление, которого у нас на Западе нет, которое мы не стали бы терпеть, и которое не смогло бы выжить. Наша жизнь смягчается и защищается правительством; для восточноевропейцев капитализм в его чистом виде был бы так же неприемлем, как он был бы неприемлем для нас» [4].

Таким образом, несмотря на безусловную важность использования рыночных отношений для эффективного функционирования общественно-государственной системы, приведенные выше слова Джона Кеннета Гэлбрейта еще раз подтверждают неприемлемость господства свободного рынка времен Адама Смита в современном развитии, или даже развивающемся, обществе и государстве.

Необходимо здесь особо отметить, что в отличие от капитализма, в истинно человеческом обществе и государстве – в обществе и государстве, служащем (призванным служить) интересам каждого человека, должны господствовать не рынок, не деньги, не прибыль, не капитал, а интересы народа.

Управлять же общественно-государственной системой в условиях истинно человеческого общества и государства – должен социально нацеленный интеллект, а не рынок.

Важно обратить здесь особое внимание на то, что ведь нынешний мировой экономический кризис начался в самой развитой и могущественной капиталистической стране – в Соединенных Штатах Америки, что заслуживает специального научного анализа.

Притом, причины мирового экономического кризиса необходимо искать, прежде всего, в «научных» идеях апологетов капитализма, которые, видимо, так зациклились на апологетике капиталистического строя, что капитализм им представляется чуть ли ни раем, тогда как нередко они даже не понимают при этом истинной сущности капитализма.

Таким образом, создается впечатление, что апологеты капиталистического строя видят в капитализме будущее (?!).

Более того, в капитализме они видят счастливое будущее человечества (?!), тогда как в действительности истинный капитализм – это лишь уродливое прошлое, которому всегда сопутствовали: господство денег, господство капитала над народом, порабощение людей, экономические кризисы и т. д.

Ведь экономические кризисы – это спутник капитализма.

Следовательно, чтобы избавиться от мировых экономических кризисов, необходимо избавиться, прежде всего, от капитализма и идти по пути построения истинно человеческого общества и государства.

Таким образом, в результате научного анализа, который был проведен мной для того, чтобы поставить диагноз глубинных – определяющих – причин возникновения Глобального кризиса начала XXI века, я пришел к следующему логическому выводу:

Мировой экономический кризис начала XXI века является наглядным показателем существования серьезных недостатков и просчетов в политическом менеджменте, прежде всего, ведущих капиталистических государств мира, т.е. государств, которые во многом определяют как политический, так и экономический климат в мире.

Следовательно, Глобальному кризису начала XXI века, по моему глубокому убеждению, предшествовал кризис в политическом менеджменте развитых капиталистических государств мира.

Притом, Глобальный кризис вызван кризисом в политическом менеджменте развитых капиталистических государств потому, что не только экономика вообще, которая немислима без рыночных отношений, без обмена продуктов труда и т.д., но даже так называемая рыночная экономика, в которой регулирующую роль в основном играют рыночные механизмы, все-таки управляется – должна управляться – политикой.

Поэтому, и ответственность за Мировой экономический кризис лежит, *прежде всего*, на политическом менеджменте этих государств, т.е. на лидерах государств, осуществляющих – призванных осуществлять – политический менеджмент.

Возникает вопрос: **в чем же главные причины кризиса в самом политическом менеджменте развитых капиталистических государств мира?**

Наиболее глубинные причины кризиса в политическом менеджменте, по моему убеждению, как уже отмечалось, следует искать, прежде всего, в кризисе сознания тех ученых, на результаты исследований которых опираются в процессе управления обществом и государством лидеры (и вообще власти) ведущих капиталистических стран мира.

И еще. Одной из важнейших причин кризиса в политическом менеджменте, а следовательно, одной из важнейших причин возникновения экономических и политических кризисов в мире является, *мягко говоря*, неопределенность и, в большинстве случаев, ошибочность в решении проблемы политической ориентации общества и государства.

Такое состояние дела, *видимо*, вызвано ошибочным, но утвердившимся в капиталистическом мире взглядом, согласно которому будто бы будущее принадлежит капитализму (?!), *тогда как, в действительности, капитализм находится не впереди, а сзади.*

Кроме того, одной из главных – *принципиально важных* – причин кризиса в политическом менеджменте является отсутствие политической и юридической ответственности должностных лиц за результаты их деятельности, которая была бы сбалансирована с их правами, что требует безотлагательного внедрения в жизнь соответствующих политико-правовых механизмов на основе теории сбалансированности прав и ответственности должностных лиц [2;5].

В заключение считаю необходимым особо обратить внимание, с моей точки зрения, на чрезмерно важную – философскую, методологическую – причину возникновения мирового экономического кризиса начала XXI века, определяющую и концентрированно выражающую многие другие причины его возникновения.

Этой причиной является ошибочный, *по моему глубокому убеждению*, методологический подход, как в науке, так и в политике, связанный с целевой направленностью функционирования общества и государства, и называемый мной философией средств – философией экономической самоцели средств.

Заслуживает также внимания тот факт, что в общественных науках, к сожалению, не существует истинных критериев предварительной оценки прогрессивности научных идей, а потому настоящие ученые нередко находятся в тени, тогда как те «серые» представители науки, которые лишь пересказывают чужие, притом отсталые от требований жизни, идеи, могут быть объявлены чуть ли не гениями(?!).

И эта проблема – проблема «серости» в науке – одна из главных проблем, существующих в общественных науках в современном мире и вызывающих глобальные кризисные явления.

Исходя из вышеотмеченного, важнейшей задачей общественных наук во всем мире является внедрение принципиально новых путей и механизмов преодоления проблем научного творчества, ибо без творческого развития науки эффективное функционирование общества, государства и человечества в целом не представляется возможным.

Использованная литература

1. **Эйнштейн Альберт.**
<http://www.facebook.com#!/profile.php?id=100000326827838>
2. **Кураташвили Альфред А.** Философско-правовые основы политического менеджмента. *Управленческое право и определяющий теоретический базис правовой системы истинно человеческого общества и социально-экономического прогресса* (монография на грузинском, английском и русском языках). Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2003.
3. См. **Голованов Я. К.** Этюды об ученых. 3-е издание, дополненное. Москва: «Молодая гвардия», 1983.
4. **Гелбрейт Дж. К.** Почему правые не правы. Газета «Известия», 1 февраля 1990.
5. **Кураташвили Альфред А.** Теория сбалансированности прав и ответственности должностных лиц. *Принципиально новое научное направление – необходимая научная основа защиты интересов человека и социально-экономического прогресса* (монография на грузинском, английском и русском языках). Тбилиси: Международное издательство «Прогресс», 2003.

Alfred Kuratashvili
Doctor of Economics Sciensec

**THE DEFINING REASONS OF OCCURRENCE OF GLOBAL CRISIS AT THE
BEGINNING OF XXI CENTURY**

Summary

In scientific work theoretical problems of occurrence of global crisis at the beginning of XXI century are considered.

The special attention in work is given to research of the defining reasons of occurrence of global crisis, and also the decision of problems of prevention of world economic crises henceforth.

სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები

ვახტანგ ბურდული

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

სიღარიბის დონის შემცირების სტრუქტურული პოლიტიკის განხორციელების მიქანიზმის სრულყოფის საკითხები

წინამდებარე სტატია წარმოადგენს ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული სტატიის [7], რომელშიც ჩამოყალიბებული და დასაბუთებულია ქვეყანაში სიღარიბის დაძლევის სტრუქტურული პოლიტიკის დებულებები, ლოგიკურ გაგრძელებას, რომელშიც მოცემულია ასეთი პოლიტიკის განხორციელების სახელმწიფო და საბაზრო კოორდინაციის გზები ანუ ასეთი კოორდინაციის ეკონომიკური მექანიზმის ძირითადი ბლოკები, მიმართულებები და ინსტრუმენტები.

ქვეყანაში საერთოდ და მოსახლეობის გარკვეული ფენების ჭრილში **სიღარიბის დაძლევის ხელშემწყობი სექტორული პოლიტიკის განხორციელების თვალსაზრისით** ხელსაყრელი ეკონომიკური (მათ შორის საინვესტიციო) კლიმატის შექმნისათვის საჭიროა არსებული და ჩამოსაყალიბებელი სახელმწიფო და საბაზრო ინსტიტუტების, ორგანიზაციების, საშუალებების და ინსტრუმენტების სათანადო მიმართულებით მოქმედების უზრუნველყოფა. დასახელებული კომპონენტების ერთობლიობა და ურთიერთშეთანხმებული მოქმედება წარმოადგენს ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების მექანიზმს, რომლის გამოუყოფელი ნაწილია **სიღარიბის დონის შემცირების სექტორული პოლიტიკის განხორციელების საუზრუნველყოფო მექანიზმი**. ამასთან დასახული კომპონენტების მეშვეობით სექტორული ანუ დარგობრივი პოლიტიკის (სტრატეგიის) განხორციელება ხდება სახელმწიფო კოორდინაციის (რეგულირების) და საბაზრო კოორდინაციის (ძირითადად თვითრეგულირების, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც საქმე ეხება შეთანხმებებს მეწარმეებს და სახელმწიფოს ან მეწარმეებს, სახელმწიფოს და პროფკავშირებს შორის) მექანიზმების მეშვეობით. და, რა თქმა უნდა, სიღარიბის დაძლევა (ან მისი დონის შემცირება) ნებისმიერ ქვეყანაში წარმოადგენს სექტორული პოლიტიკის (ისევე, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის სხვა განყოფილებების) ძირითად ამოცანას.

სიღარიბის დონის შემცირების სექტორული (სტრუქტურული, დარგობრივი) პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფის მექანიზმის დასახული კომპონენტების ერთობლიობაში შეიძლება გამოვყოთ შემდეგი კომპონენტები: სტრუქტურული განვითარების პროგრამის შედგენა; პრიორიტეტული დარგების განსაზღვრა; ქვეყნის დონეზე მეურნეობის დივერსიფიკაციის განხორციელების გზების განსაზღვრა; ინსტიტუციური მოწყობის და წესრიგის სრულყოფა (*სექტორული განვითარებისათვის საჭირო დამხმარე ორგანიზაციების ჩამოყალიბება ან ფუნქციონირების სრულყოფა, მათ შორის მარკეტინგული და საქონელწაწვევის სხვა ორგანიზაციების, საკონსულტაციო ორგანიზაციების, ინჟინერინგული და ტექნოლოგიების განვითარების სხვა ხელშემწყობი ორგანიზაციების, სოფლის მეურნეობის და აგროსამრეწველო კომპლექსის ტექნოლოგიური განვითარების ხელშემწყობი დამხმარე ორგანიზაციების; ეს საკითხი ასევე მოიცავს საწარმოო ინსტიტუტების ორგანიზაციის სრულყოფას, ინსტიტუციური და ეკონომიკური ურთიერთობების სრულყოფას საწარმოო სუბიექტებს შორის, სახელმწიფოს, მეწარმეებს და პროფკავშირებს შორის*

დიალოგის სექტორული საკითხების განვითარებას, მარკეტინგის მექანიზმის დახვეწას იმპორტჩანაცვლებითი და, განსაკუთრებით, ექსპორტორიენტირებული (ტურიზმის ჩათვლით) დარგების ჭრილში, სექტორული განვითარების სრულყოფის განხორციელების ინოვაციების შემუშავების ხელშეწყობის მექანიზმის ჩამოყალიბება-განვითარებას; საბიუჯეტო, საგადასახადო, საბაჟო ინსტრუმენტების და ასევე ქმედითუნარიანი საამორტიზაციო პოლიტიკის გამოყენება სექტორების განვითარებაში სიღარიბის დაძლევის პრობლემების გათვალისწინებით; სექტორული პოლიტიკის განხორციელებაში საფინანსო-საკრედიტო და სადაზღვევო ინსტრუმენტების გამოყენება; სექტორული განვითარების მიხედვით ფასწარმოქმნის კოორდინაციის ინსტრუმენტების გამოყენება (სიღარიბის დონის შემცირების უზრუნველყოფის აუცილებლობის გათვალისწინებით); სექტორული პოლიტიკის საკანონმდებლო უზრუნველყოფა; სპეციალური ფონდების და სხვა სპეციალური საფინანსო საშუალებების გამოყენება სექტორული პოლიტიკის განხორციელებაში სიღარიბის დონის შემცირების გათვალისწინებით; სამრეწველო პოლიტიკა როგორც სექტორული განვითარების მექანიზმი და მასში საშუალებების და ინსტრუმენტების გამოყენება, კერძოდ, სიღარიბის დონის შემცირების მიზნით; სასოფლო-სამეურნეო და აგრომრეწველობის განვითარების პოლიტიკა როგორც სექტორული განვითარების მექანიზმი და მასში საშუალებების და ინსტრუმენტების გამოყენება, კერძოდ, სიღარიბის დონის შემცირების მიზნით; მიზანშეწონილი უცხოური კაპიტალის მოზიდვის ხელშეწყობი და მიზანშეწონილი შეკავებისათვის საშუალებების და ინსტრუმენტების გამოყენება როგორც სიღარიბის დონის შემცირების ერთ-ერთი მექანიზმი.

1. ქვეყნის ეკონომიკის სექტორების და დარგების მიხედვით განვითარების პროგრამა (ან, სხვანაირად, “სტრუქტურული ძვრების კომპლექსური მიზნობრივი პროგრამა” [8, გვ. 98]) უნდა წარმოადგენდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის ნაწილს. ამასთან, ეკონომიკის სტრუქტურის განვითარების გზები მასში ასახულ უნდა იქნეს ქვეყანაში **საერთოდ და მისი მოსახლეობის ფენების სიღარიბის შემცირების აუცილებლობის გათვალისწინებით**. პროგრამაში ეკონომიკის სექტორებისა (საქმიანობის სახეების) და, ასევე, ძირითად სექტორებში შემავალი დარგების უფრო დაწვრილებითი ნომენკლატურის მიხედვით, **უნდა იქნეს დაკონკრეტებული** მე-[7]-ე ნაშრომში ჩამოყალიბებული სიღარიბის დონის შემცირების სტრუქტურული პოლიტიკა (სტრატეგია) ეკონომიკის მიზანმიმართული რესტრუქტურისაციის სახელმწიფო და საბაზრო კოორდინაციის საფუძველზე. **ასალი, პროგრესული სტრუქტურის თანამიმდევრული ჩამოყალიბება** (რომელიც უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე ტექნოლოგიურ წყობაზე გადასვლის მოთხოვნებს, **უზრუნველყოს** ქვეყნის საგადასახდლო ბალანსის და ექსპორტი-იმპორტის სადღოს მკვეთრი გაუმჯობესება, მკვეთრად **გაზარდოს** ქვეყანაში შიდა საქონელბრუნვა, **უზრუნველყოს** იმპორტჩანაცვლებითი და ექსპორტორიენტირებული დარგების სწრაფი განვითარება) **შესაძლებელია მხოლოდ ქვეყანაში ამისათვის საჭირო კოორდინაციის მექანიზმის არსებობის პირობებში**. ამიტომ, პროგრამაში ეფექტიანი სტრუქტურული განვითარების გზების დასახვასთან ერთად უნდა იქნეს განსაზღვრული საჭირო სტრუქტურული ძვრების წახალისების გზები. ამისათვის საჭიროა, რომ პროგრამაში ასახულ იქნეს საჭირო საინვესტიციო გარემოს შექმნის ძირითადი პარამეტრები, ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი ზრდის (კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიების საფუძველზე) და მისი ფუნქციონირების დაცვის გზები. ასევე პროგრამაში უნდა ასახულ იქნეს სტრუქტურული ძვრების უზრუნველსაყოფად

საჭირო საფინანსო სახსრები 50ს (სახელმწიფო და, ძირითადად, კერძო) მობილიზაციის და ეფექტიანი ხარჯვის (ინვესტირების) გზები.

2. პრიორიტეტული დარგების განსაზღვრის პროცესი, მრავალ განვითარებულ და უფრო დეტალიზებულ ასპექტში ახალ ინდუსტრიულ და სხვა უკანასკნელ წლებში სწრაფად განვითარებად ქვეყნებში, ძალიან დახვეწილია. მრავალ ქვეყანაში, ჯერ კიდევ, 20-30 წლის წინად დარგების პრიორიტეტულობის მთავარ კრიტერიუმებს წარმოადგენდნენ: 1. დარგის საქსპორტო პოტენციალი; 2. შიდა ბაზარზე დარგის პროდუქციაზე მოთხოვნის პერსპექტივები; 3. ქვეყნის განვითარების პერსპექტივები დარგის დაჩქარებული განვითარების შემთხვევაში (ქვეყნის მიერ მაღალი ინდუსტრიული სტადიის მიღწევა); 4. ქვეყნის სავაჭრო ბალანსში დეფიციტის მინიმიზაცია; 5. ნედლეულისაგან და იმპორტისაგან დამოკიდებულების მინიმიზაცია, მთლიანად სამრეწველო წარმოებაში რესურსტევალობის შემცირება (ამჟამად ეს კრიტერიუმი მნიშვნელოვანია არა მარტო სამრეწველო, არამედ ნებისმიერი დარგის წარმოებისათვის); 6. ხელსაყრელი თანხმლები ეფექტი (სხვა დარგების ეფექტიანობის ამაღლება; ამჟამად ამ ტერმინის მაგივრად ხმარობენ ტერმინს: დარგის მულტიპლიკაციური ეფექტი) [16, გვ. 97, 98]. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი დარგი ან წარმოება აკმაყოფილებს ერთდროულად რამდენიმე პრიორიტეტულობის კრიტერიუმს. ასევე დაგამატებთ, რომ თანამედროვე პირობებში მნიშვნელოვანი გახდა ასევე შემდეგი კრიტერიუმები: 7. გლობალიზაციასთან დაკავშირებით, დარგის კონკურენტუნარიანობის უმაღლესი დონე; 8. **დარგის მაღალი ინტელექტუალობა**; 9. **დარგის შედარებით მაღალი შრომატევალობა მასალა- და ენერგოტევალობის შემცირების სანაცვლოდ**; 10. ბუნებრივი გარემოს გაბინძურების მინიმალური ან ნულოვანი დონე, საწარმოო ნარჩენების სრული უტილიზაციის შესაძლებლობა.

3. სტრუქტურული ძვრების პროგრამის შემუშავებისას თანამედროვე გლობალურ პირობებში, როდესაც მოთხოვნის დონე საქონლის ცალკეულ სახეობებზე შედარებით სწრაფად იცვლება (მცირდება მრავალი სახის საქონლის სასიცოცხლო ციკლი, ბუნებრივი და სხვა გარემოებების გამო სასოფლო-სამეურნეო და ზოგიერთი სხვა საქონლის წარმოება მოუღებლად მცირდება), ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ქვეყნის დონეზე (ქალაქებში და სოფლად), ასევე რეგიონებში, ცალკეულ ქალაქებში წარმოების დივერსიფიკაციის გათვალისწინება, ე. ი. დარგების მრავალსახეობის უზრუნველყოფა, რაც საქსპორტო და იმპორტჩანაცვლებითი შესაძლებლობების ზრდის გარდა მოახდენს (რომელიმე ცალკეულ დარგში სავაჭრო კონიუნქტურის გაუარესების შემთხვევაში) მოსახლეობის დაზღვევას უმუშევრობის მაღალი დონის განეისაგან და, თავისთავად, სიღარიბის დონის შემცირების მნიშვნელოვან თანამედროვე ხერხს წარმოადგენს.

4. სექტორული პოლიტიკის კოორდინაციის მექანიზმის სრულყოფისას, განსაკუთრებით ქვეყნებში ტრანსფორმირებადი ეკონომიკით, საჭიროა ეკონომიკის ინსტიტუციური მოწყობის და ინსტიტუციური წესრიგის სრულყოფა, რომელსაც ასევე გააჩნია სექტორული, დარგობრივი ხასიათი. სხვადასხვა სექტორის წარმოების კონკურენტუნარიანი განვითარების უზრუნველსაყოფად საჭიროა მრავალი ტექნოლოგიების განვითარების ხელშემწყობი, სხვადასხვა საკონსულტაციო, პროდუქციის გასაღების საუზრუნველმყოფო (კერძოდ, მარკეტინგული და საქონელწაწვევის რეალური სექტორის ორგანიზაციები), საქმიანობის მხარდამჭერი საფინანსო-საკრედიტო და სხვა სახის საფინანსო ორგანიზაციები და სხვა. ასეთი ორგანიზაციები წარმოადგენენ მომსახურების სექტორის მნიშვნელოვან შტოს (საფინანსო ორგანიზაციების ძირითადი ნაწილის გარდა, რომლებიც საფინანსო სექტორში შედიან), რომლის მნიშვნე-

ნელობა თანამედროვე პირობებში სულ უფრო და უფრო იზრდება. მნიშვნელოვანია რეალურ (ძირითად) სექტორთან მათი ურთიერთობების დახვეწა, რაც ქვეყნის კანონმდებლობაში უნდა იქნეს ასახული.

5. ინსტიტუციური მოწყობის და ინსტიტუციური წესრიგის სრულყოფაში სექტორთაშორისი და შიდასექტორული ურთიერთობების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სექტორების მიხედვით საწარმოების ისეთი ინსტიტუციური ტიპების განსაზღვრას (ასევე საწარმოების ზომის მიხედვით ჩამოყალიბებას), რომლებიც ყველაზე კარგად უზრუნველყოფენ კონკრეტული საწარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის მაღალი დონის მიღწევას, ქმედითუნარიან კოოპერაციულ ურთიერთობებს საწარმოებს შორის, უზრუნველყოფენ დასაქმების მაღალ დონეს და წარმოების კონკურენტუნარიანობის საერთო დონის ამაღლების საფუძველზე მოახდენენ გავლენას ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლებაზე და, მაშასადამე, ქვეყანაში სიღარიბის დონის შემცირებაზე. როგორც ცხადყოფს განვითარებული ქვეყნების მაგალითები, ყოველ სექტორს გააჩნია გარკვეული თავისებურებანი საწარმოების ინსტიტუციურ და ზომის მიხედვით ორგანიზაციაში, ასევე ინსტიტუციურ და ტექნოლოგიურ ურთიერთობებს მათ შორის, კერძოდ, მსხვილ, საშუალო და მცირე საწარმოებს შორის¹⁸. უკანასკნელ პერიოდში ძალიან განვითარდა როგორც ქვეყნების შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე ფრანჩაიზინგული ურთიერთობები საწარმოებს შორის (იხ.: [1, გვ. 187-221; ასევე 9 და სხვა]), ასევე აუტსორსინგის პროცესები (იხ., მაგ.: [17, გვ. 66] და სხვა). ფრანჩაიზინგული ურთიერთობების გამოყენების შემთხვევაში მსხვილი კომპანია, ძირითადად, უცხოური, შეიძლება დაასაქმოს ადგილობრივი საწარმო მისი ტექნოლოგიის და სავაჭრო ნიშნის გამოყენებაზე ნების დართვით. საერთაშორისო დონეზე კი აუტსორსინგის პრინციპის გამოყენებით მსხვილი კომპანიები ამცირებენ პროდუქციის შემუშავებაზე ფაქტორულ და ტრანსაქციულ (კერძოდ, პროდუქციის გასაღებასთან დაკავშირებულ) დანახარჯებს, წარმოების რიგი ძირითადი ფუნქციის სხვადასხვა საწარმოსათვის გადაცემით (ეკონომია, კერძოდ, ხდება რეციპიენტ ქვეყანაში უფრო იაფი მუშა ძალის არსებობის ხარჯზე, ზოგიერთ შემთხვევაში მზა პროდუქციის გასაღების ბაზრებზე უფრო იაფი ტრანსპორტირების შედეგად და სხვა. ქვეყანაში-რეციპიენტში ორივე შემთხვევაში იზრდება მოთხოვნა მუშა ძალის გამოყენებაზე, რაც ასეთ ქვეყანაში სიღარიბის დონის შემცირების მნიშვნელოვანი საწინდარია. სოფლის მეურნეობაში ქვეყანაში ტრანსფორმირებადი ეკონომიკით წარმოების ინსტიტუციურ და ზომის მიხედვით ორგანიზაციას ასევე აქვს დიდი მნიშვნელობა.

ინსტიტუციურ ურთიერთობებში დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს, მეწარმეებს და პროფკავშირებს შორის დიალოგის სექტორულ საკითხებს, რომელთა საფუძველზე განიხილება საქმიანობის ამა თუ იმ სახეობაში დასაქმების პირობები და შრომის დაცვის საკითხები. დიალოგი (შეთანხმებები) მეწარმეებს და სახელმწიფოს შორის სხვა სახისაგან, მაგალითად, მეწარმე ღებულობს ვალდებულებას საექსპორტო პროდუქციის წარმოების ზრდაზე, სახელმწიფო კი სანაცვლოდ აძლევს მეწარმეებს შესაბამის პრეფერენციებს (იხ., მაგ.: [9]). დიალოგის ორივე ვარიანტი უზრუნველყოფს ქვეყანაში სიღარიბის დონის შემცირების პრობლემის გადაწყვეტას.

6. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინსტიტუციური მოწყობის და ინსტიტუციური ურთიერთობების განვითარებას მარკეტინგის სფეროში,

¹⁸ იხ.: [1] – თავი V. წარმოების ზომის მიხედვით, ინსტიტუციური და ორგანიზაციული სტრუქტურების რეგულირება საქართველოში, გვ.187-221.

განსაკუთრებით, იმპორტჩანაცვლებითი და ექსპორტორიენტირებული დარგების მომსახურებაში. მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის პერიოდში ბევრი მარკეტოლოგი, სხვადასხვა მიზეზის (ძირითადად, განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის მრავალი ფენის გადახდისუნარიანი მოთხოვნის შემცირების) გამო უმუშევარი გახდა. ეს არ ნიშნავს, რომ მარკეტინგულ მომსახურებაზე მოთხოვნა შემცირდა. პირიქით, საჭიროა, ახალ პირობებიდან გამომდინარე მარკეტინგული სამსახურის საქმიანობის სრულყოფა. საქართველოში, სადაც მარკეტინგული სამსახური ძალიან სუსტია, განსაკუთრებით, სამამულო პროდუქციის და მომსახურების შიდა და გარე ბაზრებზე წაწვევის კუთხით, საჭიროა ამ სამსახურის მკვეთრი გაძლიერება. კერძოდ, ამ სამსახურმა უნდა შეაფასოს ექსპორტზე ორიენტირებული სამამულო პროდუქციის თვისებები მსოფლიო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და მისცეს ადგილობრივ მეწარმეებს რჩევები მისი კონკურენტუნარიანობის გაძლიერების თვალსაზრისით. ეს ეხება ასევე ადგილობრივი პროდუქციის წარმოების გაფართოებას იმპორტის ჩანაცვლების მიზნით. უცხოურ ქვეყნებში კი უნდა მოიძებნოს აქტიური პარტნიორები სამამულო პროდუქციის არა მარტო მასშედიში რეკლამირებისათვის, არამედ ბაზრებზე წაწვევისა და რეალიზაციისათვის (ე. ი. თვით სავაჭრო ობიექტებზე პოტენციური მყიდველებისათვის მისი თვისებების გაცნობიერების და ყიდვის შეთავაზების საფუძველზე). რა თქმა უნდა, აქტიურ რეკლამირებას და პროდუქციის რეალიზაციას უცხოურ ქვეყნებში უნდა მიეცეს გასამრჯელო. განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის საშუალო ფენების რიცხოვნობის და მსყიდველობითი უნარიანობის შემცირების გამო მკვეთრად გამწვავდა კონკურენცია ტურიზმის ბაზარზე. ამიტომ, ჯერ-ერთი, მიზანშეწონილია მარკეტინგის პრაქტიკაში შევიდეს უცხოურ ქვეყნებში საქართველოს კურორტებზე ხალხის მოზიდვის აქტიური აგენტების ტურისტული ობიექტების საკუთრებაში წილში შეყვანა. მეორე, აქტიური მარკეტინგი ამ დარგში კლიენტების მოზიდვისათვის უნდა განხორციელდეს ნავთობით მდიდარი სამხრეთი აზიის ქვეყნებში, რომლის მოსახლეობისათვის საქართველოს ბუნება ტურიზმის თვალსაზრისით მიმზიდველია (მაგრამ საჭიროა გასართობი ინფრასტრუქტურის შექმნა).

7. სექტორული განვითარების სრულყოფის კუთხით ინოვაციების (განსაკუთრებით ტექნოლოგიური, ასევე საექსპორტო და იმპორტჩანაცვლებითი პროდუქციის რეალიზაციის სფეროში) **სტიმულირების მექანიზმი** უნდა მოიცავდეს კორპორაციებში სხვადასხვა ხერხებით ინოვაციური კლევების და საინოვაციო საქმიანობის (ახალი საწარმოო, მართვის, გასაღების რეკლამის და ა.შ. ტექნოლოგიების დანერგვის) სტიმულირებას, სამეცნიერო დაწესებულებებს და კორპორაციებს შორის ინოვაციურ სფეროში თანამშრომლობის სტიმულირებას, საინოვაციო საქმიანობაზე ორიენტირებული მცირე და საშუალო საწარმოების (მათ შორის ვენჩურული კაპიტალის მიერ დაფუძნებულების) ჩამოყალიბების და საქმიანობის სტიმულირებას, სახელმწიფო სამეცნიერო და ინოვაციური სექტორის მხარდაჭერას და სხვა (იხ.: [4; 5]).

8. თანამედროვე ტექნოლოგიურ წყობაზე გადასვლა გულისხმობს საქმიანობის სახეების მიხედვით ეკონომიკის დაჩქარებულ რესტრუქტურისაციას. ამასთან ეს რესტრუქტურისაცია უნდა წარმოებდეს ისეთი გზით, რომ საქმიანობის იმ სახეების და სამუშაო ადგილების სანაცვლოდ, რომლებიც ტექნოლოგიების მოძველების, გასაღების შემცირების და სხვა მრავალი მიზეზის გამო დაკარგეს აქტუალობა, გაჩნდეს უფრო მეტი ახალი თანამედროვე პირობებში აქტუალური სამუშაო ადგილი, რისთვისაც სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ინსტრუმენტების მიზანმიმართული გამოყენების საფუძველზე კერძო სექტორის სხვადასხვა დარგში უნდა განხორციელდეს ისეთი

საწარმოების ჩამოყალიბების და/ან განვითარების სტიმულირება, რომლებიც მაქსიმალურად იქნებიან დატვირთული თანამედროვე ეკონომიკური კონიუნქტურის პირობებში. სხვადასხვა ქვეყანა ამ მიზნებისათვის იყენებს მრავალ სხვადასხვა სახის ინსტრუმენტს, ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია **ფისკალური (საბიუჯეტო, საგადასახადო, საბაჟო და საამორტიზაციო) ინსტრუმენტების** გამოყენების პოლიტიკა.

საბიუჯეტო ინსტრუმენტებს შორის ეკონომიკის სტრუქტურაში შესაბამისი მიმართულებით ცვლილებების (რაც ასახულია ამ პარაგრაფის პირველ და მეორე პუნქტებში) სტიმულირების უზრუნველსაყოფად გამოიყენება ორი ძირითადი ხერხი: **პირველი ხერხია სახელმწიფო შესყიდვები**, რომლებიც განხორციელებული უნდა იქნეს აქტუალური საქონლის და მომსახურების შესაძენად საბიუჯეტო სახსრებით (რა თქმა უნდა შეძენილი უნდა იყოს მხოლოდ საჭირო საქონელი და მომსახურება, მაგრამ ტექნოლოგიური წყობების განვითარებისას ასეთი საქონლის და მომსახურების სტრუქტურა თანდათანობით იცვლება, რაც უნდა ასახულ იქნეს სექტორული რესტრუქტურის სტრატეგიაში. ამასთან, ბიუჯეტის ხარჯზე ქვეყნისათვის საჭირო საქონლის და მომსახურების შესყიდვებში უპირატესობა უნდა მიეცეს შესყიდვებს ადგილობრივი მეწარმეებისაგან, რა თქმა უნდა, თუ შესაბამისი ადგილობრივი წარმოება არსებობს). **მეორე ძირითადი ხერხია, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ისეთი სპეციალური მუხლების (ხაზების) გამოყოფა** [13, გვ. 144], რომელთა სახსრები გამოყენებულ იქნება (პირდაპირი გამოყენება, სპეციალური ფონდების, განვითარების ან გრძელვადიანი დაკრედიტების ბანკების სახსრების შევსება [1, გვ. 167; 13, გვ.145], მიზნობრივი პროგრამების სახსრებით უზრუნველყოფა [15, გვ. 277]) ქვეყნის ეკონომიკის თანამედროვე ტექნოლოგიური წყობის მოთხოვნების შესაბამისად მიზანმიმართული რესტრუქტურისათვის. ამასთან, ასეთი რესტრუქტურისათვის უნდა უზრუნველყოფდეს შემდეგი მოთხოვნების დაცვას: ექსპორტის მოცულობის ზრდა, იმპორტჩანაცვლებითი პროდუქციის და მომსახურების ზრდა, მეწარმეების და მომუშავეების შემოსავლების ზრდა, ადგილობრივი დასაქმებულების რიცხოვნების ზრდა, უმუშევრობის მკვეთრი შემცირება და **ამის საფუძველზე ქვეყანაში სიღარიბის მახასიათებელი ელემენტების მკვეთრი შემცირება** (ანუ კეთილდღეობის ამსახველი მანველებების და მახასიათებლების მკვეთრი ზრდა ან გაუმჯობესება).

სექტორული რესტრუქტურის განხორციელების კუთხით საგადასახადო სისტემის სრულყოფა გულისხმობს: საგადასახადო განაკვეთების დიფერენციაციას: კორპორაციების მოგების გადასახადის – იმ სხვილი კორპორაციების წახალისებისათვის, რომლებსაც დიდი დანახარჯები აქვთ საინოვაციო და საექსპორტო საქმიანობის გაწევაზე, მიზანშეწონილი მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად; საშემოსავლო გადასახადის – სიღარიბის ელემენტების შემცირებისა, მცირე შემოსავლიანი მომუშავეების სტიმულირებისათვის, ზემოსავლების (რომელთა პრაქტიკა თანამედროვე პერიოდში ძალიან გავრცელდა, რაზეც ამახვილებს ყურადღებას ბევრი მკვლევარი, ამასთან კრიზისის დროსაც, როდესაც სახელმწიფო ხარჯებით მრავალ სახელმწიფოში მოხდა მრავალი მსხვილი ბანკის და საწარმოს გადარჩენა, მათი მენეჯერები ღებულობდნენ ძალიან დიდ ხელფასებს და უფრო დიდ ბონუსებს) მაღალი განაკვეთებით დაბეგურისათვის; დამატებული ღირებულების გადასახადის – მოსახლეობის ღარიბი ფენების დასაცავად დამატებული ღირებულების გადასახადი უნდა იყოს გაცილებით უფრო მცირე მასობრივი მოხმარების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროდუქციაზე და უფრო დიდი ფუფუნების საგნებზე და ისეთ პროდუქციაზე (ძირითადად უცხოური წარმოშო-

ბის ან უცხოური ნედლეულით შექმნილ პროდუქციაზე, მაგალითად, შოკოლადზე), რომლის მოხმარება დიდი მოცულობით არაა აუცილებელი), ასეთი პრაქტიკა სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა განაკვეთების დაწესებით გამოიყენება ბევრ ქვეყანაში, მაგალითად, საფრანგეთში [14, გვ. 106] და იტალიაში [14, გვ. 108].

საბაჟო ინსტრუმენტების მეშვეობით შეიძლება ადგილობრივი მეწარმეების დაცვა ან დემინგურ ფასად შემოსული პროდუქციის კონკურენცისაგან ან საერთოდ იაფი უცხოური პროდუქციისაგან. საბაჟო ინსტრუმენტების გამოყენების მიმართებაში საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნები ძალიან მკაცრი იყო. მაგრამ უკანასკნელ პერიოდში ისინი შერბილდა. მაგალითად ამ ორგანიზაციასთან შეთანხმების საფუძველზე შეიძლება სამრეწველო პროდუქციაზე სატარიფო განაკვეთების ვარირება, მაგალითად, 0%-დან 50%-მდე. აზერბაიჯანში, მაგალითად, საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით, იგეგმება მაღალი სატარიფო განაკვეთები ტრიკოტაჟის პროდუქციაზე, ტანსაცმელზე, ქიმიური, მეტალურგიული და სააგეჯო მრეწველობების პროდუქციაზე [6, გვ. 33]. ჩვენი აზრით საქართველოშიც უნდა შემოღებულ იქნეს მსგავსი საბაჟო პოლიტიკა: დაწესდეს მაღალი ბაჟები იმ პროდუქციაზე, რომელსაც აწარმოებენ საქართველოში, ადგილობრივი მეწარმეების დასაცავად და სამუშაო ადგილების შენარჩუნებისათვის და შედარებით უფრო მცირე ბაჟები ისეთ პროდუქციაზე, რომელსაც საქართველოში არ აწარმოებენ (ფუფუნების საგნების გარდა), რაც უზრუნველყოფს ღარიბი მოსახლეობის კეთილდღეობის გარკვეული ზომით ამაღლებას.

ფისკალურ ინსტრუმენტებს შორის გამოიყენება ასევე დანქარებული ამორტიზაციის პოლიტიკა, რომლის მიზანია საწარმოებში ახალი პროგრესიული კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიების თავისდროული დანერგვის წახალისება.

საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკაში ასევე არსებობს მრავალი სახის საგადასახადო შეღავათების გამოყენების პრაქტიკა ადგილობრივი და უცხოური მეწარმეების საქმიანობის მიზანშეწონილი მიმართულებების სტიმულირების, მუშა ძალის დამატებითი მოზიდვის წახალისების, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების წარმოებისა და მათი შედეგების დანერგვისათვის.

9. თანამედროვე ტექნოლოგიური წყობისადმი შესატყვისი ეკონომიკის პროგრესული რესტრუქტურისაციის განხორციელების საქმეში დიდი მნიშვნელობა უკავია **საფინანსო-საკრედიტო და სადაზღვევო ინსტრუმენტების** გამოყენებას. ახალი ტექნოლოგიების შემოღება ნებისმიერ დარგში (ტრადიციულში, მაღალ- ან საკვანძო ტექნოლოგიურში, მომსახურების სფეროში) მოითხოვს დიდი საფინანსო სახსრების დაბანდებას. ამასთან ჩადებული სახსრების უკუგება ხდება გარკვეული, ხშირად ხანგრძლივი, პერიოდის შემდეგ, რაც მოითხოვს გრძელვადიან დაბანდებას. ამასთან, მნიშვნელოვანია სახსრების დაუბრუნებლობის რისკი (ახალი ტექნოლოგია უფრო ხშირ შემთხვევაში ზრდის მოგემას, ამცირებს სიღარიბის ამსახველი ელემენტების მოქმედების ინტენსიურობას, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ახალი ტექნოლოგია არ ამართლებს იმედებს, და ხდება ინვესტორებისათვის მნიშვნელოვანი ზარალის გაჩენის მიზეზად). ამიტომ, ტექნოლოგიების შექმნაზე გამოყოფილი თანხების დასაცავად საჭიროა სპეციალური ბერკეტები. ყველაზე შედეგიანია ანგლო-საქსონური (კუნძულოვანი) სისტემა, სადაც ტექნოლოგიების შექმნაში დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ხერხებით შექმნილ სააქციონერო კაპიტალს [1, გვ. 68-71], ამასთან მსხვილი კომპანიების ინვესტორებათ სხვადასხვა ხერხის

გამოყენებით გამოდის მრავალი მცირე ფულის დამბანდებელი (მოსახლეობის თითქმის ნახევარი ან მეტიც). ასეთი მეთოდით ინვესტიციების განსახორციელებლად მოიზიდება უამრავი სახსრები, ამიტომ ტექნოლოგიების განვითარებაში დიდი ხანია ლიდერობენ აშშ-ი. მაგრამ, ამ შემთვევაშიც ხდება შეცდომები (ნეგატიურ მოვლენებზე დაგვიანებული, “რეაქტიული” რეაქციის სახით), ეს რიგი მეზუხის გამო (რომელთა უმეტესობას გააჩნია გლობალური ხასიათი) გამოაშკარავდა უკანასკნელი საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის დროს, და ამ შეცდომების დაფარვას ვერ ახერხებენ არა მარტო კომერციული ბანკები, არამედ სადაზღვევო ორგანიზაციებიც და მრავალ განვითარებულ ქვეყანაში ტექნოლოგიების თავისდროული გაუნახლებისა და სხვა მიზეზების გამო წარმოშობილი საფინანსო და სხვა სახის ზარალის დაფარვა და ეკონომიკის განვითარების წახალისებისათვის ახალი ბიძგის მიცემა თავის თავზე სახელმწიფოებმა აიღეს [12] (როგორც საბაზრო ეკონომიკებში ანგლო-საქსონური საფინანსო მექანიზმით, ასევე ეკონომიკებში კონტინენტალური საფინანსო მექანიზმით [3, გვ. 118-120]). ამასთან, ტექნოლოგიების განვითარებისათვის საჭირო წამახალისებელი საფინანსო-საკრედიტო მექანიზმები სხვადასხვა პერიოდში გამოიყენებოდა ყველა განვითარებულ ქვეყანაში, მაგრამ მონეტარული სისტემის შემოდების შემდეგ მათი რაოდენობა და მოცულობა შემცირდა. ამიტომ, იმისათვის, რომ ისევ არ მოხდეს მსხვილმასშტაბიანი მსოფლიო კრიზისები, ან კერძოდ, რომ გარკვეულ ქვეყანაში არ მოხდეს ეკონომიკის მნიშვნელოვანი ჩავარდნა მსოფლიო კრიზისის შემთხვევაში, საჭიროა ძველი, აპრობირებული მექანიზმების გამოყენება (სკანდინავიის ქვეყნებში, სადაც ინვესტიციების დაზღვევის და წახალისების მექანიზმები ბევრად არ შეიცვალა, საკრიზისო მოვლენები გაცილებით უფრო ნაკლები იყო, ვიდრე სხვა ქვეყნებში). ჩვენი აზრით, საქართველოშიც უნდა არსებობდეს ტექნოლოგიების განვითარებაზე მიმართული გრძელვადიანი დაცვის მექანიზმები, კერძოდ, სახელმწიფოს გარანტიები ზოგიერთი სახის ინვესტიციებზე რეალურ წარმოებაში, სხვადასხვა სახის ბანკთაშორისი და სხვა სახის დასაზღვევო ფონდების შექმნა, არაა მიზანშეწონილი იაპონიის 70-იანი – 90-იანი წლების მაგალითის გამოყენება, როდესაც გრძელვადიანი ინვესტიციების დიდი პაკეტების მქონე ბანკები ათავსებდნენ თავის ობლიგაციებს სხვა კომერციულ ბანკებში (რომლებსაც ევალებოდათ ასეთი ობლიგაციების ყიდვა) და ამ წესით გადაჰქონდათ შესაბამის ბანკებზე გრძელვადიანი რისკებისაგან დაზღვევის ტვირთის ნაწილი, საფრანგეთში კი 60-იან წლებში კანონით დგინდებოდა საშუალოვადიანი თამასუქების ბანკის პორტფელის მინიმალური ნორმა [11]. მცირე და საშუალო ბიზნესში, ახალი ტექნოლოგიების შემოდებასთან დაკავშირებული რისკების ნაწილი თავის თავზე სახელმწიფო უნდა აიღოს, კერძოდ, ამისათვის შექმნილი საინვესტიციო და სხვა სახის ფონდების საფუძველზე, როგორც ეს მიღებულია ან მიღებული იყო მრავალ განვითარებულ ქვეყანაში [2, გვ. 81, 82], ახლა კი ხორციელდება ევროკავშირის ფარგლებშიც. საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკის კოორდინაციის სრულყოფილი პოლიტიკის განხორციელება ასევე ამცირებს სიღარიბის დონის გამწვავებასთან დაკავშირებული მოვლენების გაჩენის ალბათობას.

(გაგრძელება იხილეთ შემდეგ ნომერში)

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბურდული ვ. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების რეგულირების მექანიზმი და მისი პრაქტიკული რეალიზაციის გზები (საქართველოს მაგალითზე). – თბილისი: “მეცნიერება”, 2004.
2. ბურდული ვ. სოციალური და ეკონომიკური განვითარების კოორდინაცია რეგონულ და ლოკალურ დონეზე. – თბილისი: მერიდიანი, 2006.
3. წერეთელი გ., ბურდული ვ. საქართველოში საფინანსო სისტემის ჩამოყალიბების პრობლემები. – საქართველოს მაცნე. ეკონომიკის სერია, 1998, №4.
4. Abesadze R., Burduli V. Innovative activities and their coordination under advancing globalization. – *The Caucasus & Globalization. – CA&CC Press. SWEDEN. Volume 3. Issue 4. 2009.*
5. Абесадзе Р., Бурдули В. Государственная координация инноваций в бизнесе в свете современных задач модернизации экономики. – კრ.: ინოვაციები ბიზნესში (პრობლემები, პერსპექტივები, გამოწვევები). საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბათუმი). გამომცემლობა უნივერსალი: თბილისი, 2010.
6. Алиева Г.Т. Повышение конкурентоспособности промышленности и внешнеторговая политика государства. – კრ.: პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე და აკადემიკოს პ. გუგუშვილის დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის კრებული: ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე. თბილისი: 2010.
7. Бурдули В. Причины бедности, обусловленные несовершенством структуры экономики в разрезе видов деятельности, и пути их преодоления. – *ეკონომისტი*, 2010, №6.
8. Дадаян В. С. Что делать с расплывающейся российской экономикой? – *Российский экономический журнал*, 1993.
9. Жуков С. Роль государства в сотворении южнокорейского чуда. – *Российский экономический журнал*, 1993, №5.
10. Ляско С. Трансакционные издержки френчайзинговых и лицензионных контрактов. – *Вопросы экономики*, 2002, №9.
11. Маневич В. Е., Перламутров В. Л. Об инфляционной политике. – *Финансы*, 1993, №3, с. 6.
12. Мау В. Драма 2008 года: от экономического чуда к экономическому кризису. – *Вопросы экономики*, 2009, №2.
13. Сенчагов В. К. О японском опыте управления. – *Вопросы экономики*, 1990, №5.
14. Тимофеева О., Никольский Д. О добавленной стоимости. – *Экономист*, 1992, №1, с. 106.
15. Фетисов Г. Г., Орешин В. П. Региональная экономика и управление. – Москва: ИНФРА-М, 2006.
16. Хруцкий В. Рыночные системы и варианты структурной перестройки промышленности. – *Российский экономический журнал*, 1992, №3.
17. Юданов Ю. Европейские компании в условиях глобализации. МЭиМО, 2001, №11.

Vakhtang Burduli
Doktor of Economic Sciences, Professor

**THE QUESTIONS OF IMPROVEMENT OF MECHANISM OF CARRYING OUT OF
STRUCTURAL POLICY OF DECLINE IN POVERTY LEVEL**

Summary

Given article is the logical sequel of article of published in previous number of journal (Economisti, 2010, №6), in which the structural policy of poverty level lowering in the country was proposed and substantiated. In given article the following blocks and instruments of mechanism of realization of this policy are formed and defined (described): the working out of program of restructurization of economic with taking into account the problem of decline in poverty level in the country; the mechanism of determination (definition) of priority branches; difersification of economic development by economic activity; the improvement institutional structures and institutional order; the regulation of ratio (correlation) between large, middle and small undertakings (enterprises); the improvement of marketing system; the mechanism of stimulation of innovation activity; the organization of fiscal, financial-credit and insurance instruments. All of these mechanisms are oriented on the realization of structural policy directed to increase of employment, increase of wages and incomes, and in that way they favour the rise in living standards and decline in poverty level in the country.

მაკროეკონომიკა

მარინა მუხიაშვილი
თსუ ასოცირებული პროფესორი

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების შეფასება
გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით**

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების შეფასების მიზნით 1979 წლიდან დაწყებული დღემდე მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის გამოთვლა მსოფლიოს რიგი ქვეყნებისათვის. 2010-2011 წლების გამოკვლევაში ჩართულია 139 ქვეყანა, მათ შორის საქართველოც. შევნიშნოთ, რომ გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის გამუტვლა საქართველოსათვის დაიწყო მხოლოდ 2000 წლის შემდგომ პერიოდში. შესაბამისად, ამ კუთხით ქვეყნის განვითარების ტენდენციების შეფასებაც მხოლოდ ამ პერიოდის შემდგომია შესაძლებელი. ამ ინდექსის გამოთვლა ემყარება იმ სტრუქტურული, ინსტიტუციური და სხვადასხვა სახის პოლიტიკების გაანალიზებას, რომლებიც განსაზღვრავენ განხილული ქვეყნების პროდუქტიულობის, საზოგადოებრივი ინსტიტუტების განვითარებისა და ტექნიკური განვითარების დონეებს. ამ მაჩვენებლის გაანგარიშება თითოეული ქვეყნის მიხედვით ძირითადად საშუალოვადიან, კერძოდ, ხუთწლიან პერიოდში მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიზნის მიღწევის თვალსაზრისით, მათი ეკონომიკური პოტენციალის გაზომვას ემსახურება.

ანალიზის განხორციელების პროცესში გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის გამოთვლის დროს ხორციელდება იმ ფაქტორების შესწავლა, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ თითოეულ ქვეყანაში მიმზიდველი ბიზნეს გარემოს ფორმირებისა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობისა და მწარმოებლურობის დონის შეფასების თვალსაზრისით. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით ქვეყნები, განვითარების დონეების მიხედვით, დაყოფილია სამ დონედ-საფეხურად. განიხილება ფაქტორებით მართული, ეფექტურობით მართული და ინოვაციებით მართული განვითარების საფეხურები. უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ ამ სფეროში განხორციელებული პირველი გამოკვლევიდან დღემდე იმ ფაქტორების რაოდენობა, რომლებიც განსაზღვრავენ ეკონომიკურ ზრდას, მნიშვნელოვნად გაიზარდა. შესაბამისად, ყოველწლიურად ხორციელდება გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის გამოთვლის მიზნით გამოყენებული ჩარჩოების განახლება და სრულყოფა.

ჩატარებული ანალიზიდან ირკვევა, რომ დღეისათვის ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით ყველაზე დაბალ, **პირველ საფეხურზე** იმყოფება ქვეყნები, რომელთა მშპ, ერთ სულზე გაანგარიშებით, არ აღემატება 2000 აშშ დოლარს. 2010-2011 წწ გამოკვლევის მიხედვით ამ საფეხურზე იმყოფებოდა 38 ქვეყანა (ანუ განხილული ქვეყნების 27,3%). **პირველიდან მეორეზე გარდამავალ საფეხურზე** მყოფი ქვეყნების მშპ ერთ სულზე გაანგარიშებით 2000-დან 3000-მდე აშშ დოლარის ფარგლებშია. ამ საფეხურზე იმყოფებოდა 25 ქვეყანა (18%). ამ ქვეყნების ჯგუფში მოექცა საქართველოც (ერთ სულზე მშპ - 2 860 აშშ დოლარის ოდენობით). შედარებისათვის, ამავე ჯგუფში შედის: აზერბაიჯანი, სასომხეთი და უკრაინაც. მაშასადამე, 2010-2011წწ გამოკვლევის მიხედვით

განვითარების დაბალ საფეხურზე იმყოფება განხილული ქვეყნების 45%-ზე მეტი.

ეკონომიკური განვითარების მე-2 საფეხურზე მყოფი ქვეყნებისათვის მშპ ერთ სულზე გაანგარიშებით 3000-9000 აშშ დოლარის ფარგლებშია. მასში უკანასკნელი წლების მონაცემების მიხედვით შედის 29 ქვეყანა (მათ შორისაა თურქეთი). მე-2 –დან მე-3 გარდამავალ საფეხურზე მყოფი ქვეყნებისათვის - მშპ ერთ სულზე 9000-17000 აშშ დოლარის ფარგლებშია. მასში შედის 15 ქვეყანა (მათ შორის: რუსეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი). **განვითარების მოცემულ საფეხურზეა განხილული ქვეყნების 31,7%.**

ეკონომიკური განვითარების მე-3 საფეხურზე მყოფი ქვეყნების მშპ ერთ სულზე 17000 აშშ დოლარზე მეტია. ამ საფეხურზე იმყოფება განხილული ქვეყნებიდან მხოლოდ 32. შესაბამისად, განვითარების მოცემულ საფეხურზეა ქვეყნების მხოლოდ 23%.

ქვეყნის განვითარების დონე ფასდება შემდეგი მოთხოვნების საფუძველზე: 1). **საბაზისო მოთხოვნები:** ინსტიტუტების, ინფრასტრუქტურის, მაკროეკონომიკური სტაბილურობის, ჯანდაცვისა და პირველადი განათლების განვითარების მოთხოვნები. ეს მოთხოვნები არის ძირითადი ფაქტორების მიერ მართული ეკონომიკებისათვის. 2). **ეფექტურობის ზრდის მოთხოვნები:** უმაღლესი განათლება და ტრენინგი, საქონლის ბაზრის ეფექტურობა, შრომის ბაზრის ეფექტურობა, ფინანსური ბაზრის განვითარების დონე, ტექნოლოგიური მზადყოფნა, ბაზრის ზომა. ეს მოთხოვნებია ძირითადი ეფექტურობის მიერ მართული ეკონომიკებისათვის. 3). **ინოვაციისა და მოდერნიზაციის მოთხოვნებია** ბიზნესის მაღალი დონე და ინოვაციები. ეს მოთხოვნებია ძირითადი ინოვაციების მიერ მართული ეკონომიკებისათვის.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2010-2011 წლების მოხსენებაში საქართველოს, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით 3,86 ქულით (რაც ამ ინდექსის საშუალო მაჩვენებელია) მხოლოდ 93-ე ადგილი უკავია, 2004-2005 წწ-ის გამოკვლევებში – 94-ე ადგილი; 2005-2006 წწ – 86-ე ადგილი; 2006-2007 წწ – 87-ე ადგილი; 2007-2010 წლამდე პერიოდში კი – 90-ე ადგილი ეკავა; მაშასადამე, 2010-2011 წწ-ის მოხსენების მიხედვით ქვეყანამ გლობალური კონკურენციის ინდექსის მიხედვით სამი ადგილით ქვემოთ – 93-ე ადგილზე გადაინაცვლა. შედარებისათვის, 2010-2011 წწ გამოკვლევის მიხედვით, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსით განხილულ 139 ქვეყანას შორის პირველ ადგილზე იყო შვეიცარია – 5,63 ქულით (მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისამდე ქვეყანას მე-2 ადგილი ეკავა აშშ-ს შემდეგ); ესტონეთი 33-ე ადგილზე – 4,61 ქულით (კრიზისამდე – 27-ე); ლიტვა – 47-ე ადგილზე – 4,38 ქულით (კრიზისამდე – 38-ე); აზერბაიჯანი 57-ე ადგილზე – 4,29 ქულით (კრიზისამდე – 66-ე); თურქეთი – 4,25 ქულით – 61-ე ადგილზე (კრიზისამდე – 53-ე); რუსეთი – 63-ე ადგილზე – 4,24 ქულით (კრიზისამდე – 58-ე); ატვია – 70-ე ადგილზე – 4,14 ქულით (კრიზისამდე – 45-ე); უკრაინა – 89 ადგილზე – 3,90 ქულით (კრიზისამდე – 73-ე); სასომხეთი – 98 ადგილზე – 3,76 ქულით (კრიზისამდე – 93-ე). მაშასადამე, მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ყველაზე დიდი უარყოფითი ზეგავლენა ზემოთ მოტანილი ქვეყნებიდან ლატვიაზე მოახდინა (ამ ქვეყანამ გლობალური კონკურენციის ინდექსის მიხედვით 25 ადგილით დაბლა დაიწია); შემდეგია უკრაინა (16-ით დაბლა დაიწია); ლიტვა (9-ით დაბლა); თურქეთი (8-ით დაბლა); ესტონეთი (6-ით დაბლა); სომხეთი და რუსეთი (5-5 –ით დაბლა). ამ ფონზე აღსანიშნავია, რომ კრიზისის შემდეგ აზერბაიჯანმა 9 ადგილით ზევით წაიწია.

საქართველოს რეიტინგები სამი ქვე-ინდექსის მიხედვით 2006-2007 და 2010-2011 წწ გამოკვლევების მიხედვით შემდეგი მონაცემებით ხასიათდება:

საბაზისო მოთხოვნების ინდექსის მიხედვით ქვეყანას – 2006-2007 წწ მონაცემებით მსოფლიოში 82-ე ადგილი, 2010-2011 წწ-ში კი მან 95-ე ადგილზე გადაინაცვლა – 4,13 ქულით (ანუ 13 ადგილით დაბლა დაიწია), ეფექტურობის ინდექსით – 2006-2007 წწ მონაცემებით – 87-ე ადგილი ეკავა, 2010-2011 წწ მონაცემებით კი მან – 94-ე ადგილზე გადაინაცვლა (7 ადგილით დაბლა დაიწია). ანალოგიურად, ადგილი აქვს ქვეყნის პოზიციების გაუარესებას ინოვაციის ინდექსის მიხედვითაც. კერძოდ, 2006-2007 წწ გამოკვლევით ქვეყანა იყო 113-ე ადგილზე, 2010-2011 წწ გამოკვლევით კი – 121-ე ადგილზე (2.90 ქულა) (8 ადგილით დაბლა დაიწია).

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გამოკვლევებში გამოყოფილი 12 ძირითადი ინდექსის მიხედვით 2010-2011 წლებში საქართველო იმყოფება შემდეგ პოზიციებზე: ინტიტუტების განვითარების დონის მიხედვით – 69-ე ადგილი; ინფრასტრუქტურის – 73-ე; მაკროეკონომიკური გარემოს – 130-ე; ჯანდაცვისა და პირველადი განათლების – 73-ე; უმაღლესი განათლებისა და ტრენინგის – 90-ე; საქონლის ბაზრის ეფექტურობის – 64-ე; შრომის ბაზრის ეფექტურობის – 31-ე; ფინანსური ბაზრის განვითარების დონის – 108-ე; ტექნიკური დონის – 98-ე; ბაზრის ზომის – 107-ე; ბიზნესის განვითარების დონის – მე-3-ე; ინოვაციების დონით – 125-ე ადგილზე.

თავის მხრივ, ეს ინდექსები მოიცავს 110 კომპონენტს, რომლებიც ფასდება 0-დან 7-მდე ქულებით. (5,45-დან 7-მდე – ძალიან მაღალი მაჩვენებელია. 4,51-დან 5,44-მდე – მაღალი; 3,51-დან 4,50-მდე – საშუალო; 3,01-დან 3,50-მდე – დაბალი და 0-დან 3-მდე – ძალიან დაბალი). **110 კომპონენტებიდან საქართველოს კონკურენტული უპირატესობა გააჩნია მხოლოდ 24-ის მიხედვით, მაშინ, როდესაც, არა აქვს კონკურენტული უპირატესობა 86 კომპონენტის მიხედვით.** კერძოდ, **ინსტიტუტების შეფასების** ინდიკატორი იზომება 21 კომპონენტით, სადაც საქართველოს კონკურენტული უპირატესობა გააჩნია მხოლოდ 7 კომპონენტის მიხედვით. ესენია: სახელმწიფო ფონდების არასწორი მიმართულებით წარმართვა – 46-ე ადგილი; არარეგულარული გადახდები და ქრთამი – 42-ე; სახელმწიფო რეგულირების ტვირთი-მე-4; სახელმწიფო პოლიტიკის გამჭვირვალობა (ტრანზპარანტულობა)-33-ე; დანაშაულისა და ძალადობის ბიზნეს დანახარჯები – 41-ე; პოლიციური სამსახურის საიმედოობა – 45-ე; ინვესტორების დაცვის ხარისხი – 33-ე. ამასთან. არა გვაქვს კონკურენციული უპირატესობები შემდეგი მიმართულებების მიხედვით: საკუთრების უფლებების დაცვა – 120-ე ადგილი; ინტელექტუალური საკუთრების დაცვა – 97-ე; პოლიტიკოსების მიმართ საზოგადოების ნდობა – 76-ე; სასამართლოს დამოუკიდებლობა – 104-ე; ფავორიტიზმი სახელმწიფო მოხელეთა გადაწყვეტილებებში – 68-ე; სახელმწიფო სახსრების გაფლანგვა – 52-ე; საკანონმდებლო ხარჩობის ეფექტურობა დისკუტებისა და რეგულაციების ცვლილებების დროს – 89-ე; ტერორიზმის ბიზნეს დანახარჯები – 61-ე; ორგანიზებული დანაშაული – 63-ე; ფირმების ეთნიკური ყოფაქცევა – 78-ე; აუდიტისა და ანგარიშგების სტანდარტების სიძლიერე – 92-ე; კორპორაციული საბჭოს ეფექტურობა – 109-ე; აქციის მფლობელთა ინტერესების მონიტორინგის ეფექტურობა – 122 ადგილი. **ინფრასტრუქტურის ინდიკატორის მიხედვით საქართველოს** კონკურენტული უპირატესობა გააჩნია ერთი კომპონენტის – რკინიგზის ინფრასტრუქტურის ხარისხის მიხედვით – 41-ე ადგილი. ამასთან, არა გვაქვს კონკურენციული უპირატესობები შემდეგი 8 კომპონენტის მიხედვით: საერთო ინფრასტრუქტურის ხარისხის მიხედვით – 62-ე ადგილი; გზების ხარისხის მიხედვით – 41; საპორტო ინფრასტრუქტურის ხარისხით – 75-ე; საჰაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის ხარისხით – 86-ე; არსებული საჰაერო ბილეთების (კილიმეტრების) რაოდენობით – მე-3-ე ადგილი; ელექტრო-

ბის მიწოდების ხარისხით – 58-ე; ფიქსირებული სატელეფონო ხაზებით – 84-ე; მობილური ტელეფონების აბონენტებით – 103-ე ადგილი. **მაკროეკონომიკური გარემოს მიხედვით** პირატესობა გვაქვს მხოლოდ ერთი კომპონენტის – ინფლაციის მიხედვით – 47-ე ადგილი. არა გვაქვს კონკურენციული უპირატესობები შემდეგი 4 კომპონენტის: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსის (127-ე ადგილი); ეროვნული დაგროვების რეიტინგის (110-ე); საპროცენტო განაკვეთების გაფანტულობის (128-ე); ქვეყნის საკრედიტო რეიტინგის (104-ე) მიხედვით. **ჯანდაცვისა და პირველადი განათლების** მიხედვით შედარებითი უპირატესობა გაგვაჩნია ორი კომპონენტის მიხედვით. ესენია: ადამიანის ვირუსული იმუნიტეტის დეფიციტის გავრცელების დონე – 22-ე ადგილი და პირველადი განათლების დონე – მე-17-ე ადგილი; არა გვაქვს კონკურენციული უპირატესობები შემდეგი 8 კომპონენტის: მალარიის ბიზნესს ზეგავლენის – 79 ადგილი; მალარიის ინციდენტების – 76-ე; ტუბერკულოზის ბიზნესს ზეგავლენის – 78-ე; შიდსზე ბიზნესის ზეგავლენის – 70-ე; ახალშობილთა სიკვდილიანობის – 92-ე; სიცოცხლის ხანგრძლივობისა – 86-ე და პირველადი განათლების ხარისხის – 105-ე ადგილი -მიხედვით. **უმაღლესი განათლება და ტრენინგი.** ეს ინდიკატორი იზომება 8 კომპონენტით. ყველა მათგანის მიხედვით არა გვაქვს კონკურენციული უპირატესობები. კერძოდ, მეორადი განათლების დონის მიხედვით გვიკავია 59-ე ადგილი; უმაღლესი განათლების გარდაქმნის დონით – 66-ე; საგანმანათლებლო სისტემის ხარისხით – 119-ე; მათემატიკისა და სამეცნიერო განათლების ხარისხი – 109-ე; მართვის სკოლების ხარისხით – 116-ე; ინტერნეტზე ხელმისაწვდომობით სკოლებში – 74-ე; კვლევისა და ტრენინგის არსებობით ლოკალურ დონეზე – 125-ე; კადრების ტრენინგის ზომა – 108-ე ადგილი. **საქონლის ბაზრების ეფექტურობა.** აქ კონკურენციული უპირატესობა გვაქვს 8 კომპონენტის მიხედვით: გადასახადებით დაბეგვრის ზომითა და ეფექტურობით – 24-ე ადგილი; მთლიანი საგადასახადო განაკვეთით-მე-7; ბიზნესის დასაწყებად საჭირო პროცედურების რაოდენობით – მე-6; ბიზნესის დასაწყებად საჭირო დროით – მე-3 ადგილი; სავაჭრო ბარიერების სიძლიერით – 33-ე; სავაჭრო ტარიფებით – მე-3; პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე კანონების ბიზნესს ზეგავლენით – 44-ე; საბაჟო პროცედურების ტვირთით – 39-ე ადგილი. არა გვაქვს კონკურენციული უპირატესობები 7 კომპონენტის მიხედვით. ესენია: ლოკალური კონკურენციის დონე – 124-ე ადგილი; ბაზრის დომინირების ხარისხი – 113-ე; ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტურობა – 135-ე; სასოფლოსამეურნეო პოლიტიკის დანახარჯები – 114-ე; უცხოური კერძო-მესაკუთრეობის დონე – 89-ე; მომხმარებლის ორიენტაციის დონე – 127-ე; მყიდველის გათვითცნობიერების დონე – 87-ე ადგილი.

შრომის ბაზრის ეფექტურობის ინდიკატორი იზომება 9 კომპონენტით. უპირატესობა გაგვაჩნია 4 კომპონენტის მიხედვით. ესენია: ხელფასის განსაზღვრის მოქნილობა – 26-ე ადგილი; დასაქმების სიხისტე – მე-10; დასაქმებისა და სამსახურიდან დათხოვნის პრაქტიკა – მე-9; სამსახურიდან დათხოვნის დანახარჯებით – მე-6 ადგილი. არა გვაქვს კონკურენციული უპირატესობები შემდეგ კომპონენტებში: კოოპერირება დასაქმებულისა და დამსაქმებლის ურთიერთკავშირში – 77-ე ადგილი; მწარმოებლურობა და გადახდები – 59-ე; პროფესიულ მენეჯმენტზე დაფუძნება – 88-ე; ტვინების გადინება – 104-ე; ქალების მონაწილეობა სამუშაო ძალაში – 81-ე ადგილი.

ფინანსური ბაზრის განვითარების ინდიკატორი იზომება 9 კომპონენტით. კონკურენციული უპირატესობა გაგვაჩნია ერთ კომპონენტში-შეზღუდვები კაპიტალის მოძრაობაში – მე-40 ადგილი.

არა გვაქვს კონკურენციული უპირატესობები შემდეგ 8 კომპონენტში. ფინანსური მომსახურების უნარი – 106-ე ადგილი; ფინანსური მომსახურების

ხელმისაწვდომობა – 125-ე; დაფინანსება ლოკალური კაპიტალის ბაზრის საშუალებით – 125-ე; სესხების ხელმისაწვდომობის სიმართლე – 83-ე; სარისკო კაპიტალის არსებობა – 109-ე; ბანკების სიმყარე – 109-ე; ფასიანი ქაღალდების ბირჟების რეგულირება – 124-ე; სამართლებრივი უფლებების ინდექსი-მე-60 ადგილი.

ტექნოლოგიური მზადყოფნის ინდიკატორი იზომება 6 კომპონენტით. არც ერთი მათგანის მიხედვით არ გავგაჩნია კონკურენტული უპირატესობები. კერძოდ, უახლესი ტექნოლოგიების არსებობის მიხედვით – 98-ე ადგილი; ტექნოლოგიების შეწოვით ფირმის დონეზე – 125-ე; პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით და ტექნოლოგიების ტრანსფერით – 92-ე; ინტერნეტის მომხმარებლების მიხედვით – 73-ე; ასევე, დაბალია სისწორეთა ფართო დიაპაზონის მქონე ინტერნეტის აბონენტების რაოდენობისა და ინტერნეტის გამტარუნარიანობის მაჩვენებლებიც.

ბაზრის ზომა განისაზღვრება 2 კომპონენტით: ადგილობრივი ბაზის ზომით – 102-ე ადგილი; უცხოური ბაზრის ზომის ინდექსით – 115-ე ადგილი.

ბიზნესის დახვეწის ინდექსი იზომება 9 კომპონენტით. ყველა მათგანის მიხედვით გვიკავია დაბალი პოზიციები. კერძოდ: ადგილობრივი მიმწოდებლების რაოდენობით – 137-ე ადგილი; ადგილობრივი მიმწოდებლების ხარისხით – 131-ე; კლასტერების განვითარების მდგომარეობით – 98-ე; კონკურენტული უპირატესობის ბუნებით – 82-ე; მაღაზიათა სისტემის ზომით – 93-ე; საერთაშორისო განაწილებაზე კონტროლით – 88-ე; საწარმოო პროცესის დახვეწით – 116-ე; მარკეტინგის ზომით – 102-ე; ძალაუფლების დელიგირების სურვილით – 115-ე ადგილი.

ინოვაციები და მოდერნიზაცია იზომება 7 კომპონენტით. ყველა მათგანის მიხედვით გვაქვს დაბალი დონე. კერძოდ: ინოვაციის უნარით – 112-ე ადგილი; სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ხარისხის მიხედვით – 119-ე; კომპანიის დანახარჯებით კვლევასა და განვითარებაზე – 132-ე; კვლევასა და განვითარებაზე უნივერსიტეტებისა და მრეწველობის კოლაბორაციით – 134-ე; უახლესი ტექნიკური პროდუქტების მიწოდების მიხედვით სახელმწიფოსათვის – 102-ე; მეცნიერებისა და ინჟინრების ხელმისაწვდომობით – 122-ე; ეფექტური პატენტების რაოდენობით ერთ მილიონ მოსახლეზე – 72-ე ადგილი.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გამოკვლევის მიხედვით დღეისათვის საქართველოში ბიზნესის ხელშემშლელ ყველაზე პრობლემურ ფაქტორებად განიხილება ფინანსებზე ხელმისაწვდომობა და პოლიტიკის არასტაბილურობა (მის წილად მოდის ძირითად ხელშემშლელ ფაქტორებში 28,8%, ამასთან თითოეულის წილი თანაბარია). შემდეგ მნიშვნელოვან ხელშემშლელ ფაქტორებს წარმოადგენენ: არასათანადოდ მომზადებული სამუშაო ძალა (13,3%), დაბალი სამუშაო ეთიკა ეროვნულ სამუშაო ძალაში (10,9%), სახელმწიფოებრიობის არასტაბილურობა – სახელმწიფო გადატრიალებები (10,9%), საგადასახადო რეგულირებები (9,7%); შედარებით დაბალია ხელშემშლელ ფაქტორთაგან შემდეგი ფაქტორების წილი: ინფრასტრუქტურის არაადეკვატური ზომით მიწოდება. მასზე მოდის 5,9%; საგადასახადო განაკვეთებზე – 5,8%, ინფლაციაზე – 3,3%; არაეფექტურ სახელმწიფო ბიუროკრატიაზე – 2,9%, დაბალი დონის საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე – 2,8%, შრომის შემზღვევად რეგულირებაზე – 2,4%, კორუფციაზე – 1,8%, უცხოური ვალუტის რეგულირებაზე – 1,2%, დანაშაულსა და ქურდობაზე – 0,4%.

მაშასადამე, ვარდების რევოლუციის შემდეგ, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით გარკვეული წარმატებების მიუხედავად, რის შედეგადაც დროის შედარებით ხანმოკლე პერიოდში საქართველო მსოფლიოს ყველაზე დაბალშემოსავლიანი ქვეყნების რიგებიდან გადავიდა დაბალ-საშუალო-

შემოსავლიანი ქვეყნების რიგში (რაც აიხსნება ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაზრდილი მშპ-ს მოცულობით ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით), დღევანდელ საქართველოს საშუალოვადიანი ზრდის არსებული პოტენციალი (მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გამოკვლევების შეფასებების მიხედვით) მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით ჯერ კიდევ ძალიან დაბალია. განვითარების დღევანდელ ეტაპზე საქართველომ თითქმის ამოწურა ეკონომიკის ექსტენსიური გზით ზრდის შესაძლებლობები. ამდენად, საჭიროა დაჩქარებული ინტენსიური გზისათვის საფუძვლების სისტემურად მომზადება, რაც მოითხოვს სერიოზული რეფორმების განხორციელებას რამდენიმე სფეროში. მათგან უახლოეს ხუთწლიან პერიოდში პრიორიტეტულია ეკონომიკის რეალური სექტორების განვითარების ხელშეწყობა, კლასტერული და ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის განვითარებისათვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, სახელმწიფოს გაზრდილი როლის მნიშვნელოვანი შემცირება ეკონომიკაში და ანტი-მონოპოლიური კანონმდებლობის დანერგვა. აქ გასათვალისწინებელია ბალტიისპირეთისა და სხვა ქვეყნების გამოცდილებაც, ვინც დროის შედარებით ხანმოკლე პერიოდში ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ინდექსისა და შესაბამისად, დაჩქარებული ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს.

წყარო: World economic Forum. “The Global Competitiveness Index ranking and 2010-2011 comparisons”.

Marina Muchiashvili
Associated Professor of TSU

ASSESSMENT OF ECONOMIC DEVELOPMENT OF GEORGIA BY THE GLOBAL COMPETITIVENESS INDEX

Summary

The report assesses the ability of Georgia to provide high level of prosperity to their citizens. This depends on how productively a country uses available resources. Therefore, the Global Competitiveness Index measures the set of institutions, policies, and factors that set the sustainable current and medium-term levels of economic prosperity.

Tea Lazarašvili
Доктор экономики
Теймураз Гогохия
Экономист

РОЛЬ ТУРИСТСКОГО БИЗНЕСА В СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКОМ РАЗВИТИИ СТРАНЫ

Туристский бизнес, как вид экономической деятельности, относят к сфере обслуживания и услуг, подчеркивая при этом, что он – многогранное социальное явление. До сих пор однозначно не решен вопрос о том, представляет ли собой туризм отдельную отрасль хозяйствования или межотраслевой комплекс. Стратегическая зона хозяйствования туризма охватывает довольно много переплетенных между собой видов экономической деятельности, что позволяет представить его как сложный и многопрофильный комплекс, именно: комплекс организаций гостиничной сети и иных средств размещения туристов¹⁹, транспортных средств перемещения, общественного питания, развлечения, санаторно-курортного лечения и отдыха, организаций познавательного, делового, лечебно-оздоровительного, физкультурно-спортивного и иного назначения, туроператорских²⁰ и турагентских²¹ организаций, организаций-операторов туристских информационных систем, а также организаций, предоставляющих услуги экскурсоводов, экскурсоводов-переводчиков и инструкторов-проводников.

Исходя из того, что отдельная отрасль экономики представляет собой совокупность предприятий или производств, обладающих общностью выпускаемой продукции или оказываемых услуг, используемых технологий и удовлетворяемых потребностей тех или иных потребителей, для нас более приемлемо мнение Квартальнова В.А., согласно которому: «В настоящее время старое понятие «отрасль» постепенно размывается. Для рыночной экономики характерно не столько развитие обособленных отраслей, сколько функционирование диверсифицированных межотраслевых комплексов. Так как в туризме производятся и предметы потребления (пища), и услуги (размещение в гостинице), то можно сделать вывод, что туризм – это диверсифицированный межотраслевой комплекс социально-бытовой инфраструктуры, который имеет производственные и непроизводственные функции и представляет собой туристскую индустрию. Хозяйственный процесс, протекающий в отрасли туризма, является производственно-обслуживающим процессом» [5].

Опираясь на вышесказанное полагаем, что туристский бизнес нельзя представить и тем более рассматривать как отдельную отрасль в отрыве от социально-экономического развития отраслей страны в целом, т.е. вне национальной экономики.

¹⁹ «**Турист** – лицо, путешествующее с любой целью, кроме поиска заработка и перемены постоянного места жительства, при сроке пребывания вне своего постоянного места жительства не менее 24 часов (менее 24 часов – экскурсанты)» [5].

²⁰ «**Туроператор** – это туристская организация, которая занимается разработкой туристских маршрутов и комплектацией туров, обеспечивает их функционирование, организует рекламу, рассчитывает в соответствии с действующими нормативами и утверждает в установленном порядке цены на туры по этим маршрутам, продает туры турагентам для выпуска и реализации путевок по своим лицензиям» [5].

²¹ «**Турагент** – хозяйствующий субъект или индивидуальный предприниматель, который приобретает туры по туристским маршрутам, разработанным туроператором, выпускает по ним путевки и реализует эти путевки непосредственно туристам» [5].

Будучи многопрофильным видом экономической деятельности, туризм, как стратегическая зона хозяйствования, опираясь на внутриотраслевую специализацию, ориентируется в то же время как на кооперацию и комбинирование, так и на создание межотраслевых комплексов с тесно связанными отраслями, такими как сельское хозяйство, транспорт, строительство, пищевая промышленность и др.

В конечном счете, туристский продукт²² (услуга) является результатом взаимодействия и взаимосвязей собственно туризма (туристского бизнеса) с другими сопряженными видами экономических деятельностей, т.е. отраслями экономики, которые прямо или косвенно участвуют в его формировании, продвижении и реализации. Существует три основных вида туристского продукта, который практически предлагается на туристском рынке: 1) тур как комплект услуг (в виде туристских путевок), который предлагается предприятиями-организаторами (туроператорами) либо непосредственно потребителю (туристу) по розничным ценам, либо косвенно через предприятия-посредников (турагенты), выступающих на туристском рынке в качестве оптовых покупателей; 2) отдельные услуги (например, услуги транспорта, гостиничные услуги, юридические услуги по оформлению заграничных паспортов, виз и страховки, экскурсионные услуги и т.п.); 3) различные товары туристского назначения, такие как информационные каталоги, путеводители, справочники, карты, сувенирная продукция и т. п.

Следует подчеркнуть, что туристские услуги характеризуются особой социально-оздоровительной спецификой, сочетая в себе ряд таких факторов как экономический, социальный, гуманитарный, воспитательный, эстетический и др. Исходя из того, что формирование потребности в туристской услуге зависит от состояния человека как потенциального туриста (путешественника), именно, его характера, здоровья, возраста, финансовых возможностей, окружающего сообщества, уровня общей, религиозной, физической и других видов культуры, все виды предложений на туристском рынке должны ориентироваться на вкусы, желания и цели конкретного потребителя. Целью туристских организаций-предприятий должна стать дифференциация туристского рынка путем создания пакета туристских услуг, по тематике, уровню и составу соответствующего запросам и требованиям (в том числе национальным вкусам и привычкам) потребителей.

Следует заметить, что реализация туристских услуг осуществляется тем же путем, что и в других сферах экономики, т.е. по общей схеме – либо непосредственно через производителя-поставщика (организатора), либо через посредника услуги к потребителю. В любом случае предприятие является тем главным звеном, через которое и происходит удовлетворение нужд потребителей того или иного туристского продукта (услуги).

Конъюнктура рынка как туристских ресурсов²³, так и туристских услуг формируется отношением наличия спроса потребителя (туриста) и предложения существующих на рынке предприятий-поставщиков, предприятий-организаторов и предприятий-посредников туристских продуктов (услуг). В понятие «предложение на

²² «Турпродукт включает:

- туры, объединенные по целенаправленности (познавательные, оздоровительные и т. п.);
- туристско-экскурсионные услуги различных видов (размещение, питание, транспортные услуги и т. д.);
- товары туристско-сувенирного назначения (карты, открытки, сувениры и др.)» [5].

²³ «**Туристские ресурсы** – природные, исторические, социально-культурные объекты, включающие объекты туристского показа, а также иные объекты, способные удовлетворять духовные потребности туристов, содействовать восстановлению и развитию их физических сил» [5].

рынке туристских услуг» часто включают как материально-техническую базу, так и сами услуги, полное и качественное предоставление которых возможно только при достаточном развитии общей производственно-обслуживающей инфраструктуры туристского бизнеса, например, инфраструктуры санаторно-курортного лечения и отдыха. Необходимо также отметить все возрастающую роль т.н. ГКС – глобальных компьютерных сетей (систем бронирования и резервирования)²⁴.

На рынке туристских услуг выступает множество предприятий: транспортные компании, предприятия питания, гостиницы, экскурсионно-познавательные организации, азартные заведения, спортивные и курортные организации и т. д. Последние непосредственно связаны с обслуживанием людей на отдыхе или в путешествии. Однако следует отметить, что ведущую роль в туристском бизнесе выполняют туроператоры, так как именно они занимаются созданием и формированием туристских продуктов как единых пакетов различных видов услуг, которые продвигают и реализуют потребителю либо непосредственно сами, либо через сеть турагентов. Туристский продукт, созданный туроператором, должен быть весьма специфичен и включать в себя ряд составляющих, таких как специально разработанный маршрут туриста, тур с утвержденной программой обслуживания, дополнительно предоставляемые услуги, товары туристского назначения и т.д. Вызовы современной системы рыночной экономики ставят перед туроператорами задачу поиска новых, оригинальных и даже уникальных стратегических позиций на рынке туристских услуг, которые привлекут либо уже существующих, либо совершенно новых, потенциальных потребителей (туристов). Одним словом, туроператоры поставлены перед необходимостью создавать довольно дифференцированный туристский продукт, выбирая свою, непохожую на других стратегическую позицию на туристском рынке, т.е. пакет туристских услуг, создаваемый и реализуемый предприятием-туроператором должен быть исключительно своеобразен и непохож на пакеты услуг конкурентов.

Представляя собой открытые системы среды рыночных отношений и функционируя при этом в жестких конкурентных условиях, предприятия турбизнеса должны выступать со своей оригинальной стратегией развития как на рынке туристских ресурсов, так и на рынке туристского продукта (услуги), принимая и претворяя в жизнь соответствующие коммерчески целесообразные (выгодные) решения – либо выбирая «отличающиеся способы ведения деятельности», либо осуществляя «ведение отличающихся видов деятельности» [7, сс. 55-56]. Тем самым они предстают в качестве коммерчески самостоятельных «ячеек» (звеньев) формирования туристского бизнеса в целом, в которых, исходя из существующего и потенциального спроса потребителей, а также возможностей и наличия туристских ресурсов, непосредственно происходит формирование туристского продукта, его продвижение и, в конечном счете, реализация.

Как и всякое предприятие любой отрасли экономики, **предприятие туристского бизнеса играет роль основного звена («ячейки») данной сферы деятельности (данной стратегической зоны хозяйствования), в котором происходит:** 1) процесс формирования, продвижения и реализации конечного туристского продукта (в том числе пакета туристских услуг); 2) процесс зарождения, формирования и развития экономики данной области, отражающийся в соответствующих экономико-финансовых показателях

²⁴ «Уже имеются исследования специалистов по туризму, прогнозирующие завоевание такими сетями значительной части рынка туроператоров и турагентов. Однако те же специалисты считают, что туроператоры и турагенты найдут свою нишу и останутся на рынке в качестве специализированных предприятий и консультационных пунктов продаж. При этом уже сейчас несомненным вкладом компьютерных систем в туризм являются ускорение информационных потоков и расширение возможностей выбора и бронирования» [4, с. 97].

состояния и функционирования данного предприятия (например, количество арендованных баз и мест, объем обслуживания туристов (человек, чел.-дней), объем обслуживания экскурсантов (число участников экскурсий), план по труду и заработной плате, норматив оборотных средств, рентабельность каждого вида обслуживания, процентное соотношение сметы административно-управленческих расходов и себестоимости, объем предоставляемых услуг (доходы), прибыль и др.); 3) процесс формирования микросоциального и микропсихологического климата, стимулирующего активность человеческого фактора в данной сфере деятельности; 4) процесс объединения и установления тесных взаимосвязей и взаимоотношений с другими видами экономической деятельности (особенно посредством создания туристского продукта как единого пакета услуг).

Непрерывная цепочка взаимосвязей и взаимоотношений подобных «ячеек», ориентированных на удовлетворение нужд, потребностей и желаний определенных сегментов потребителей (туристов), формирует «ядро» данного направления (вида) экономической деятельности. **Подчеркнув дополняющий, но отнюдь не базисный и стержневой характер роли туристского бизнеса в становлении общей структуры народно-хозяйственного комплекса**, следует отметить, что в результате переплетения определенным образом данного вида экономической деятельности с другими ее видами (т.е. с другими видами стратегических зон хозяйствования) может формироваться и, соответственно, развиваться довольно оригинальная структура социально-экономического организма национальной экономики данной страны в целом²⁵.

Что касается формирования и развития туристского бизнеса в Грузии, то данная область экономической деятельности, несмотря на ее малоразвитую инфраструктуру, имеет довольно хорошие перспективы, и в первую очередь, исходя из естественного географического расположения данной страны, а также ее историко-культурного наследия. Особенно следует отметить перспективное развитие таких видов туризма, каковыми являются познавательный туризм, лечебно-оздоровительный туризм, геотуризм, спортивный туризм, рекреационный туризм и др. Исходя из этого, полагаем, что государство должно всячески способствовать и оказывать необходимую поддержку развитию туристского бизнеса в Грузии. Однако этот вид бизнеса не должен стать единственным опорным звеном развития экономики данной страны. Туризм только в надлежащем единстве с другими стратегическими отраслями (зонами) хозяйствования сможет внести значительный вклад в дело успешного социально-экономического развития страны в целом.

Использованная литература

1. Боголюбов В.С., Орловская В.П. Экономика туризма. Москва, Академия, 2005;
2. Зайцева Н.А. Менеджмент в сервисе и туризме: учебное пособие. Москва, Форум: ИНФРА-М, 2007;
3. Здоров А.Б. Экономика туризма: Учебник. Москва, Финансы и статистика, 2004;

²⁵ «Практически все отрасли национальной экономики прямо или косвенно участвуют (или могут участвовать) в функционировании туристского комплекса, несмотря на то, что вычлнить туристскую составляющую и провести четкую его границу инструментами современной статистики чрезвычайно сложно. В документах Всемирной туристской организации отмечается, что когда учитывается косвенное воздействие туризма, только одна отрасль оборонная не испытывает никакого влияния. Однако и это утверждение оспаривается (например, Ю. В. Темным и Л. Р. Темной)» [1].

4. Зорин И.В., Каверина Т.П. и др. Менеджмент туризма. Туризм как вид деятельности: Учебник. Москва, Финансы и статистика, 2005;
5. Квартальнов В.А. Туризм. Москва, Финансы и статистика, 2001;
6. Нориганова О.А. Методология оценки туристской услуги как рыночной категории.// «Культура народов Причерноморья», № 36, 2002 (с. 37-42);
7. Портер М. Конкуренция. Москва, «Экономика», 2000 (перевод с английского);
8. მაისურაძე მ. ტურიზმის ცოდნების პრინციპები. თბილისი, 2010;
9. შუბლაძე ვ. საქართველო და ტურიზმი. თბილისი, 2004.

Tea Lazarashvili
Doctor of Economics
Teimuraz Gogokhia
Economist

THE ROLE OF TOURISM BUSINESS IN THE SOCIAL-ECONOMIC DEVELOPMENT OF A COUNTRY

Summary

Is a tourism a separate branch or a complex of the different branches of an economy? This question hasn't been definitely solved yet. The strategic zone of a tourism economy as a compound and diversified complex embraces many kinds of economic activity. We agree with economists who think that a tourism is a diversified complex of the different branches of an economy which has its production and service functions, thereby being a touristic industry.

It should be emphasized that tourist services are characterized by the social-sanitary specifics including economic, social, educational, esthetic and other factors. A tourism business in Georgia has rather good perspectives, however its development as a leading strategic zone of an economy won't be able to become a basis for the development of a country as a whole.

აღრიცხვა და აუდიტი

ციალა ბენაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

მმართველობითი აღრიცხვის სპეციალისტთა ფუნქციების შესახებ

განასხვავებენ აღრიცხვის ორ დარგს: ფინანსური აღრიცხვა, რომელიც აწვდის ინფორმაციას მომხმარებლებს ორგანიზაციის გარეთ და მმართველობითი აღრიცხვა, რომელიც აწვდის სააღრიცხვო ინფორმაციას მომხმარებლებს ორგანიზაციის შიგნით.

ორგანიზაციის წევრებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მმართველობითი აღრიცხვის სისტემის შექმნასა და ფუნქციონირებაზე, მმართველობითი აღრიცხვის სპეციალისტებს უწოდებენ. ბევრი ადამიანი იწყებს თავის კარიერას ორგანიზაციის სააღრიცხვო განყოფილებაში, ხოლო შემდეგ იცვლის პროფილს და მიდის მენეჯერის პოზიციების დასაკავებლად. სააღრიცხვო სფეროში მიღებული გამოცდილება მათ საშუალებას აძლევს გაიაზრონ მოცემული კონკრეტული ბიზნესი მთლიანობაში, განსაზღვრონ გასაანალიზებელი პრობლემის მასშტაბები, სიღრმისეულად შეაფასონ ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ან შესაძლებელია იქნეს მოპოვებული და ხელმისაწვდომი მენეჯერებისათვის.

ფინანსური აღრიცხვისაგან განსხვავებით, რომელიც თავისი არსებობის 4 საუკუნეზე მეტ ხანს ითვლის, მმართველობითი აღრიცხვა შედარებით ახალი მეცნიერებაა. იგი მეცხრამეტე საუკუნეში წარმოიშვა და განვითარების გარკვეულ დონეს მხოლოდ საუკუნეში მიაღწია.

მმართველობითი აღრიცხვის ერთ-ერთ პირველ ინფორმაციად ითვლება 1875 წელს დაწერილი მემორანდუმი ბრიტანული ბიზნესის აღმასრულებლის, ტომას სათერლენდის მიერ. იგი მიუთითებდა, რომ ბუღალტრული აღრიცხვის არსებული სისტემა წელიწადში ერთხელ გვაძლევს შესაძლებლობას, გავეცნოთ ინფორმაციას ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. არადა ამ ტიპის უფრო დეტალიზებული ინფორმაცია სისტემატურად არის საჭირო ბიზნესის ფუნქციონირებისათვის. ამასთანავე, ეს ინფორმაცია მოპოვებული უნდა იქნეს ისეთი პრაქტიკული ფორმით, რომ მენეჯერებმა შეძლონ ნათლად დაინახონ პრობლემა და ინფორმაცია მზა სახით გამოიყენონ ორგანიზაციის წარმატებული ფუნქციონირებისათვის.

დღეისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ევროპის ქვეყნებში და სხვაგანაც არსებობს სპეციალური პროგრამები, რომლებიც ამზადებს სერთიფიცირებულ მმართველობითი აღრიცხვის სპეციალისტებს. კანდიდატები აბარებენ 4 ნაწილისაგან შემდგარ გამოცდას სპეციალობაში, ამის შემდეგ კი ეთიკის კოდექსს, რათა მიიღონ აღნიშნული სერთიფიკატი. არსებობს სერთიფიცირებული მმართველობითი აღრიცხვის სპეციალისტთა ინსტიტუტები, საზოგადოებრივი გაერთიანებები, ფედერაციები. ისინი გამოსცემენ ჟურნალ-გაზეთებს, ცნობარებს, წიგნებს და სხვა პუბლიკაციებს, რომლებიც ეხმარება სპეციალისტებს მმართველობითი აღრიცხვის სისტემის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაში.

მმართველობითი აღრიცხვის ბევრი სპეციალისტი მონაწილეობს სპეციალიზებულ პროფესიულ გაერთიანებებში, როგორცაა, მაგალითად: ამერიკის შეერთებულ შტატებში შიდა აუდიტის ინსტიტუტი (გამოსცემენ ჟურნალს „შიდა აუდიტი“); აგრეთვე, აღრიცხვის სახელმწიფო მუშაკთა ფედერაცია (გამოსცემენ ჟურნალს „აღრიცხვის სახელმწიფო მუშაკი“); საფინანსო აღმასრულებ-

ბელთა ინსტიტუტი (გამოსცემენ ჟურნალს „საფინანსო აღმასრულებელი“) და სხვ. არსებობს აგრეთვე კონკრეტულ დარგში დასპეციალებული ჟურნალები, რომლებიც ცალკეულ დარგებში, მაგალითად, ჯანდაცვაში არსებულ მმართველობითი აღრიცხვის თავისებურებებზე ფოკუსირდებიან.

ბევრ ორგანიზაციაში მაღალი დონის მმართველობითი აღრიცხვის სპეციალისტებს კონტროლირებს უწოდებენ. მცირე სიდიდის ორგანიზაციებში მაკონტროლებლები, როგორც წესი, უშუალოდ ორგანიზაციის ხელმძღვანელთან (პრეზიდენტთან) არიან ანგარიშვალდებულნი. დიდ ორგანიზაციებში კი – უმაღლეს ფინანსურ ოფიცერთან, რომელიც უშუალოდ პრეზიდენტს ექვემდებარება.

კონტროლის ოფისის მოვალეობებია:

- სააღრიცხვო სისტემის ჩამოყალიბება, დანერგვა და ფუნქციონირება მონაცემთა დამუშავების სისტემის ჩათვლით;
- ფინანსური ანგარიშების მომზადება გარე მომხმარებლებისათვის: აქციონერების, ბანკების და სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოებისათვის;
- შიდა კონტროლის სისტემის შექმნა, დანერგვა და მისი ფუნქციონირების სრულყოფა; ორგანიზაციის შიდა პროცესების აუდიტი;
- საგადასახადო ორგანოებთან თანამშრომლობის პროცედურების შემუშავება და ადმინისტრირება;
- საბიუჯეტო სისტემის მოწყობა და სრულყოფა- განვითარება;
- ანგარიშების მონიტორინგი და ანალიზი;
- მენეჯმენტის მიერ მოთხოვნილი სპეციალური ინფორმაციის მიწოდება.

როგორც წესი, კონტროლის ოფისის ორგანიზაციული სტრუქტურა ითვალისწინებს კონტროლის ორი ასისტენტის თანამდებობას. მათ შორის ფუნქციები ასე ნაწილდება: ერთი მათგანი პასუხისმგებელია ბიუჯეტის დაგეგმვასა და შესრულების ანალიზზე, ხოლო მეორე კი ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშების სისტემების ანალიზზე.

ბიუჯეტის დაგეგმვასა და შესრულების ანალიზზე პასუხისმგებელი ასისტენტი ამზადებს ბიუჯეტს და ახდენს მისი შესრულების ანალიზს მენეჯერებისათვის. მას შემდეგ, რაც მომზადდება მომავალი წლის გეგმა, ბიუჯეტის დაგეგმვისა და აღსრულების ჯგუფის ბუღალტრებმა უნდა გამოხატონ ეს გეგმა ფინანსურად და შეადგინონ აგრეთვე მოგება-ზარალის ანგარიშის გეგმა და ნაღდი ფულის ბიუჯეტის გეგმა. შემდგომში მათ აგრეთვე უნდა მოამზადონ ბიუჯეტის შესრულების ყოველთვიური ანგარიში.

სპეციალური პროექტებისა და დანახარჯების (თვითღირებულების) ანალიზის ჯგუფები თავაზობენ მენეჯერებს არატიპიური გადაწყვეტილებების მოსალოდნელი ფინანსური შედეგების პროგნოზს და ფაქტიურ მდგომარეობას. ისინი ამზადებენ თვითღირებულებისა და შემოსავლების გაანგარიშებებს შესაძლო ალტერნატივების მიხედვით, საიდანაც მენეჯერები შეარჩევენ

ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშების სისტემების ანალიზზე პასუხისმგებელი ასისტენტის ერთერთი მთავარი მოვალეობაა გენერალური აღრიცხვის ორგანიზება, რაც ითვალისწინებს ანგარიშების სისტემის შექმნასა და ფუნქციონირებას გარე პარტნიორებისათვის, როგორცაა აქციონერები, ბანკები, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოები.

მეორე ჯგუფია შიდა აუდიტის ჯგუფი, რომელიც აკონტროლებს კომპანიის სააღრიცხვო წიგნებს თითოეული დანაყოფის მიხედვით, ამოწმებს შიდა

კონტროლის სისტემის მდგრადობას და სანდოობას; შიდა კონტროლის სისტემა იცავს ფირმის აქტივების უსაფრთხოებას, სარწმუნოს ხდის სააღრიცხვო სისტემის მონაცემთა სიზუსტეს და სანდოობას, ხელს უწყობს ოპერატიულ ეფექტიანობას და ახდენს მენეჯმენტის სწორი პოლიტიკის დემონსტრირებას.

იმისათვის, რომ შიდა აუდიტს მეტი დამოუკიდებლობა მიანიჭონ, ბევრ კომპანიას დღეს შიდა აუდიტი გააქვს კონტროლის ოფისის გარეთ, ცალკეულ შემთხვევებში სპეციალური სტრუქტურის სახით. შიდა აუდიტის ჯგუფის წევრები ექვემდებარებიან უშუალოდ დირექციას (დირექტორს).

გვხვდება ისეთი კონტრაქტებიც, სადაც ნაღდი ფულისა და მონეტარული აქტივების მართვა, ინვესტირებისაგან კაპიტალის და კრედიტორებისაგან საჭირო ფულადი ფონდების მოზიდვა, აუცილებელი დაზღვევის შექმნა და ა.შ., არის სპეციალური მმართველობითი აღრიცხვის მენეჯერის ფუნქცია, რომელსაც ხაზინადარსაც უწოდებენ.

ხაზინადარი არის საშტატო პოზიცია, რომელიც ყველაზე უფრო ახლოს დგას აღრიცხვასთან. ზოგიერთ ორგანიზაციაში კონტროლიორისა და ხაზინადარის ფუნქციები გაერთიანებულია და იწოდება ფინანსების ვიცეპრეზიდენტის შტატად. ხაზინადარი პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსურ საქმიანობაზე. მისი მთავარი მოვალეობებია:

- მუშა კაპიტალის შედგენა (გრძელვადიანი დაფინანსება);
- აქციონერთა ურთიერთობების ჩამოყალიბება;
- მოკლევადიანი დაფინანსების მოძიება;
- ორგანიზაციის ნაღდი ფულის მიღება, გადახდა და დაცვა-შენახვა;
- მნიშვნელოვანი კრედიტის აღების და ფულადი სახსრების მოგროვების ორგანიზება;
- ორგანიზაციის სახსრების ინვესტირება;
- ადეკვატური სადაზღვევო უზრუნველყოფის ჩამოყალიბება.

ხაზინადარი არის უშუალო გადაწყვეტილების მიმღები, როდესაც ხდება ფინანსური ალტერნატივების არჩევა. იგი იღებს გადაწყვეტილებებს ორგანიზაციის შემდგომ გაფართოებაზე (დამატებითი აქციების შეთავაზების გზით), გრძელვადიანი საბანკო სესხის აღებაზე ან გრძელვადიანი ობლიგაციების გაყიდვაზე, ფირმის საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებაზე.

ბოლო წლებში კიდევ უფრო გაიზარდა მმართველობითი აღრიცხვის მენეჯერის როლი და ფუნქციები. თუ კი ადრე ისინი განიხილებოდა როგორც დანახარჯების აღმრიცხველი ტექნიკური მუშაკები, ახლა კონტროლიორები სულ უფრო ხშირად არიან უმაღლესი მენეჯმენტის ჯგუფის წევრები. ბევრი მათგანი კი ხდება ორგანიზაციის დირექტორთა ჯგუფის წევრი. კონტროლიორთა განყოფილების მუშაკებიც ჩართულნი არიან ინფორმაციის ანალიზში, რომელიც სხვადასხვა თანამდებობის მუშაკებისგან გროვდება. მაშინ, როცა ადრე ისინი მხოლოდ აგროვებდნენ ამგვარ ინფორმაციას და გადასცემდნენ სხვებს გასაანალიზებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Horngren, Datar, and Foster, 2003, *Cost Accounting – A Managerial Emphasis*, 11th edition, Prentice-Hall, Inc., Upper Saddle River, New Jersey;
2. Jiambalvo, James, 2001, *Managerial Accounting*, John Wiley & Sons, Inc. New York;
3. R.N. Anthony, D.F. Havkins, K.A. Merchant, 2007, *Accounting, Text & Cases*, Mc Graw Hill, London;
4. C.T. Horngren, W.T. Harrison, 2007, *Accounting*, Prentice-Hall, Inc., Upper Saddle River, New Jersey;

Tsiala Benashvili
Candidate of Economics Sciences

CONCERNING THE FUNCTIONS OF MANAGEMENT ACCOUNTANTS

Summary

The members of an organization who are responsible for the design and operation of the management accounting system are called management accountants.

Financial accounting has been written about for more than 400 years. In contrast, little was written about management accounting until the 20th century, although the actual practice of management accounting goes back much further.

In this article we attempt to show what responsibility has management accountant at an organization in modern economy.

ბიზნესი

ლილი გვენეტაძე
თსუ ასოცირებული პროფესორი
ალექსანდრე წერეთელი
საერთაშორისო ფონდი აპექსი, ფინანსური ასისტენტი

ბიზნესის შეფასების ზოგიერთი მეთოდოლოგიური საკითხი

ბიზნესის შეფასება გამოყენებითი მეცნიერების, კერძოდ, მენეჯმენტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ ბიზნესის შეფასება შეიძლება განვიხილოთ, როგორც საინვესტიციო პრიორიტეტების განსაზღვრისა და შეფასების საწყისი ეტაპი, მიმდინარე ეტაპზე ბიზნესის შეფასების პრობლემას კორპორაციულ მართვაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ბიზნესის შეფასების პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია პოსტსაბჭოურ ქვეყნებში და კერძოდ საქართველოში, სადაც კორპორაციული მმართველობა სუსტადაა განვითარებული.

სტატიის მიზანია: განვიხილოთ ბიზნესის შეფასების ზოგიერთი მეთოდური და მეთოდოლოგიური საკითხი; გამოვიკვლიოთ თანამედროვე კორპორაციული ფინანსების თეორია, თუ რამდენად იძლევა ბიზნესის შეფასების საშუალებას.

ბიზნესის შეფასების თანამედროვე მიდგომების თანახმად, მისი ეფექტიანობის მთავარ კრიტერიუმად კომპანიის ღირებულებას განიხილავენ.²⁶ კომპანიის მთავარ მიზანს საკუთარი ღირებულების მაქსიმიზაცია წარმოადგენს.²⁷ შესაბამისად, ფინანსური მენეჯერები განვითარებული ფინანსური ბაზრების ქვეყნებში მოტივირებული არიან, მიიღონ გადაწყვეტილება, რომელიც კომპანიის საკუთარი ღირებულების ზრდას განაპირობებს.

როგორც ცნობილია, კომპანიის შეფასებაზე რიგი ფუნდამენტური მაჩვენებლები ახდენ ზემოქმედებას. შესაბამისად, ბიზნესის შეფასების დროს, მრავალი კითხვა მოითხოვს პასუხს, კერძოდ: რამდენად არის ერთმანეთთან დაკავშირებული - კომპანიის საქმიანობის საბაზრო მაჩვენებლები, მისი ფინანსური მაჩვენებლები და აქციების ბაზარზე წარმოშობილი კაპიტალიზაცია, რამდენად არის შესაძლებელი საბაზრო კაპიტალიზაციით კომპანიის ღირებულების შეფასება? რამდენად შეიძლება დავეყრდნოთ პროგნოზული შემოსავლების საფუძველზე ბიზნესის შეფასების მოდელს, რამდენად შეიძლება აქციების საბაზრო ფასის გამოყენება ბიზნესის ღირებულების შესაფასებლად და ა.შ.

აღსანიშნავია ისიც, რომ მსგავს კითხვებს უპირატესად ბიზნესის შეფასების პრაქტიკა წარმოშობს, რომელშიც ძირითადი მოთხოვნებია ასახული, ხოლო მისი გადაწყვეტის მეთოდოლოგია კორპორაციული ფინანსების ინსტრუმენტს წარმოადგენს.

ბიზნესის ღირებულების შეფასების მოდელს და მისი საფუძველს ინვესტირებული კაპიტალის ღირებულება (ხარჯები), შემოსავლიანობა და ბიზნესის ზრდის ტემპი წარმოადგენს.

ინვესტორები, როგორც წესი, ცალკეულ აქციებს ყიდიან და ყიდულობენ. კომპანიები კი ხშირად საწარმოს ყიდიან ან ყიდულობენ. ამასთან, გარიგების

²⁶ Кашеев Роман, Стоимость компании как основной критерий эффективности бизнеса Журнал "Финансовый Директор", № 12, 2003.

²⁷ Роберт В. Колб, Рикардо Дж. Родригес - Финансовый Менеджмент М.2001

დადებამდე მიედევლიც და გამყიდველიც ბევრს ფიქრობს, არ მოტყუვედეს და საწარმო რეალურად შეაფასოს. გარდა აღნიშნულისა, ზოგჯერ ფინანსურმა მენეჯერმა ის კომპანია უნდა შეაფასოს, რომლის შიანთქმა ან შერწყმა აქვს განსაზღვრული და ა.შ.

ბიზნესის შინაგანი (ფუნდამენტური) ღირებულების (Intrinsic Value) შეფასება მოსალოდნელი შემოსავლების მეშვეობით ხდება, რომელსაც შესაფასებელი საწარმო, როგორც აქტივი, კომპანიის მესაკუთრეებს მოუტანს.²⁸ როგორც წესი, ბიზნესში დაბანდებული კაპიტალის მესაკუთრეები შეიძლება დავყოთ საკუთრივ მესაკუთრეებად და კრედიტორებად, ბიზნესის საბაზრო ღირებულება კი კომპანიის აქციების საბაზრო ღირებულებად (კაპიტალიზაცია) და ვალის საბაზრო ღირებულებად.

ბიზნესის შეფასების მიზნით, შემოსავლიანობის მიდგომის თანახმად, გამოიყენება: საწარმოს პროგნოზული თავისუფალი ფულადი ნაკადის (FCF) დისკონტირებული ღირებულება; შეფასების დროითი ჰორიზონტი; გახანგრძლივებული პროგნოზული თავისუფალი ფულადი ნაკადის დისკონტირებული ღირებულება და კაპიტალიზაციის განაკვეთი.

იმის გათვალისწინებით, რომ დღევანდელი ღირებულება ყოველთვის, კაპიტალის მოზიდვის ალტერნატიულ დანახარჯებით დისკონტირებული, მომავალი ფულადი ნაკადის მიმდინარე ღირებულების ტოლია, ბიზნესის შეფასების საფუძველს მისი თავისუფალი ფულადი სახსრების ერთობლივი ნაკადის პროგნოზირება წარმოადგენს.

რას წარმოადგენს **საწარმოს თავისუფალი ფულადი ნაკადი?** ეს იმ ფულადი სახსრების ჯამია, რომელიც ფირმას მოგებიდან ზრდისთვის აუცილებელი ყველა ინვესტიციის განხორციელების შემდეგ რჩება და რომელიც შეიძლება ინვესტირებას გადაუხადონ. ამასთან, სწრაფად მზარდ საწარმოში თავისუფალი ფულადი ნაკადის ოდენობას შეიძლება უარყოფითი მნიშვნელობაც გააჩნდეს.

I ცხრილში პირობითი კომპანიის საწარმოს დივიდენდებისა და მოგების პროგნოზული მნიშვნელობებია წარმოდგენილი, სადაც პროგნოზი ერთ აქციაზე საკუთარი კაპიტალის ღირებულების, საკუთარი კაპიტალის რენტაბელობისა და ზრდის ტემპების გაანგარიშების საფუძველზეა აგებული.²⁹

პირობითი კომპანიისათვის ჩვენ გამოვივარტ აქტივების გარკვეული ოდენობიდან, რენტაბელობიდან (მოცემულ შემთხვევაში ეს არის, აქტივების ღირებულებასთან მიმართებაში, გადასახადების გადახდის შემდგომი ოპერაციული მოგება) და ზრდის ტემპებიდან. ზრდა, როგორც I ცხრილიდან ჩანს, საკმაოდ მაღალი ტემპებით 20%-დან იწყება, ხოლო შემდეგ, გრძელვადიან პერსპექტივაში, ყოველწლიური ზრდის ტემპი ზომიერ 6%-მდე ორ ეტაპად მცირდება. ზრდის ტემპები აქტივების ზრდისთვის გამოსაყენებელი წმინდა ინვესტიციების

²⁸ И. В. Осколков, *Фундаментальные показатели и рыночная капитализация бизнеса*, Журнал «Финансы и Бизнес» № 4, стр. 52, 2006г.

²⁹ **შენიშვნები:**

- ა. აქტივების საწყისი ღირებულება 10 მლნ. ლარს უდრის. ბიზნესის წარმოებისთვის აუცილებელი აქტივები მე-5 წლამდე ყოველწლიურად 20%-ით იზრდება. მე-6 და მე-7 წელს 13%-ით და შემდგომში 6%-ით;
- ბ. რენტაბელობას (მოგება/აქტივების ღირებულება) გააჩნია მუდმივი მნიშვნელობა 12%; კაპიტალიზაციის განაკვეთი 10%-ს უდრის.
- გ. თავისუფალი ფულადი ნაკადი = მოგებას - წმინდა ინვესტიციები. ამასთან წმინდა ინვესტიციები ერთობლივი კაპიტალდაბანდებების ტოლია.

დამატებით მოცულობას გვიჩვენებს, ხოლო მომგებიანობა – მოგების მოცულობას, რომელიც წარმოებამ უნდა შექმნას. წმინდა ინვესტიცია ეს არის ერთობლივ ინვესტიციას გამოკლებული ამორტიზაცია, რამდენადაც ინვესტიცია, რომელიც არსებული აქტივების აღდგენისთვის გამოიყენება, იფარება ამორტიზაციით, ხოლო წმინდა ინვესტიციამ უნდა უზრუნველყოს ბიზნესის ზრდა.

პირველი ექვსი წლის განმავლობაში თავისუფალ ფულად ნაკადს (I ცხრილის ბოლოსწინა სტრიქონი) უარყოფითი მნიშვნელობა გააჩნია. ეს ნიშნავს, რომ საწარმოს მოაქვს უარყოფითი დივიდენდები, ე.ი. შთანთქმავს უფრო მეტ ფულად სახსრებს, ვიდრე იძლევა. ეს ცუდის ნიშანია? რა თქმა უნდა, არა. წარმოება თავიდან ფულადი სახსრების დეფიციტს განიცდის არა იმიტომ, რომ ის არარენტაბელურია, არამედ იმიტომ, რომ ის სწრაფი ტემპებით იზრდება. სწრაფი ზრდა – ეს კარგი სიახლეა იმ პირობებში, თუ კი მოცემული ბიზნესიდან მოსალოდნელი მოგება უზრუნველყოფს შემოსავლიანობას, რომელიც კაპიტალის მოზიდვის ალტერნატიულ დანახარჯებს აღემატება.

ცხრილი 1.

პირობითი კომპანიის საწარმოს პროგნოზული მონაცემები.³⁰

წელი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
აქტივების ღირებულება	0,00	2,00	4,40	7,28	0,74	3,43	26,47	8,05	9,73	1,51
მოგება	1,20	1,44	1,73	2,07	2,49	2,81	3,18	3,36	3,57	3,78
ინვესტიციები	2,00	2,40	2,88	3,46	2,69	3,04	1,59	1,68	1,78	1,89
თავისუფალი ფულადი ნაკადი	-0,80	-0,96	-1,15	-1,39	-0,20	-0,23	1,59	1,68	1,79	1,89
მოგების ნამატი წინა წლიდან (%-ში)	20	20	20	20	20	13	13	6	6	6

ჩვენი მაგალითის შემთხვევაში, პირობითი საწარმოს როგორც მყიდველი, ისე გამყიდველი, დამატებით (2 000 000 – 1 200 000 = 800 000) 800 ათასი ლარის ინვესტირებას დადებითად შეაფასებენ, რადგან დაბანდება 12%-იან შემოსავლიანობას უზრუნველყოფს, რომელიც კაპიტალის მოზიდვის ალტერნატიულ ხარჯებს (10 %) აღემატება.

შეფასების ჰორიზონტი - ჩვეულებრივ, საწარმოს (ბიზნესის) ღირებულება რომ განისაზღვროს, საჭიროა, შევარჩიოთ შეფასების დროითი ჰორიზონტი, რომელიც თავის მხრივ ორ ეტაპად იყოფა. პირველ ეტაპს მიეკუთვნება შეფასების ჰორიზონტი (H) დროით პერიოდამდე, ხოლო მეორე ამ ჰორიზონტის შემდეგ პერიოდს გულისხმობს. საწარმოს ღირებულების განისაზღვრისათვის, პროგნოზული თავისუფალი ფულადი ნაკადის (FCF - free cash flow) დისკონტირებულ ღირებულებას (H) დროითი პერიოდის ჰორიზონტამდე, უნდა მიუმატოთ (H) ჰორიზონტის ფარგლებს გარეთ საწარმოს გახანგრძლივებული ღირებულება³¹, რომელიც შეფასების ამ (H) პერიოდამდე იქნება დაყვანილი.

³⁰ იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში კორპორაციული მართველობა სუსტადაა განითარებული, სტატიაში ბიზნესის შეფასებას პირობითი კომპანიის საწარმოს მაგალითის მიხედვით განვიხილავთ.

³¹ ბიზნესის ღირებულების ასეთი განსაზღვრა ნაკარნახევია პრაქტიკული მოსაზრებებით. ტიპური კომპანიის მთელი არსებობის მანძილზე ფულადი ნაკადის პროგნოზირება ძალზე შრომატევადი საქმეა. ამასთან ის საკვება ცდომილებებით. შესაბამისად ფინანსურ პრაქტიკაში მიღებულია პროგნოზის

$$PV_{\text{ბიზნესის}} = PV_{\text{FCF}} + PV_{\text{გახანგრძლივებული ღირებულება}} \quad \text{აქედან:}$$

$$PV_{\text{FCF}} = \frac{FCF_1}{(1+r)} + \frac{FCF_2}{(1+r)^2} + \frac{FCF_3}{(1+r)^3} + \dots + \frac{FCF_H}{(1+r)^H};$$

$$PV_{\text{გახანგრძლივებული ღირებულება}} = \frac{PV_H}{(1+r)^H}$$

რასაკვირველია, საწარმოს ღირებულების შეფასება ჰორიზონტის ფარგლებს მიღმა გრძელდება, თუმცა მიზანშეწონილი არ იქნება ყოველი წლისთვის, უსასრულოდ და თანმიმდევრულად, თავისუფალი ფულადი ნაკადის პროგნოზის აგება. PV_H გამოსახულება მომავალში ($H+1, H+2$ და ა.შ. პერიოდებში) თავისუფალი ფულადი ნაკადების გაანგარიშებას ემსახურება.

ხშირად შეფასების ჰორიზონტის ხანგრძლივობის არჩევა თვითნებურად ხდება. ზოგჯერ ხელმძღვანელობის განკარგულებით წინასწარი შეფასების 10 წლიან პერიოდს იყენებენ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მრგვალი რიცხვია. ჩვენს მაგალითში პირობითად ვიყენებთ 6 წლიან პერიოდს, სადაც მე-7 წელს საწარმოს ზრდა ხანგრძლივი ვადით სტაბილური ხდება.

გახანგრძლივებული ღირებულების შეფასება - საწარმოს გახანგრძლივებული ღირებულების განსაზღვრის რამდენიმე ზოგადი ფორმულა ან პრაქტიკული მეთოდი არსებობს. ერთ-ერთს მუდმივი მზარდი უვადო რენტის მეთოდი მიეკუთვნება, ამ მეთოდის გამოყენება მოითხოვს ვიცოდეთ: შეფასების (H) პერიოდი; ($H+1$) პერიოდში თავისუფალი ფულის ნაკადის მოცულობა, მისი გრძელვადიანი ზრდის ტემპ (g) და კვალიფიციურ ექსპერტთა მიერ განსაზღვრული დისკონტის განაკვეთი (r).³² ასეთ შემთხვევაში გახანგრძლივებული ღირებულების შესაფასებელ ფორმულას შემდეგი სახე ექნება:

$$PV_{\text{გახანგრძლივებული ღირებულება}} = \frac{1}{(1+r)^H} \times \frac{FCF}{r-g}$$

ჩვენი მაგალითის შემთხვევაში, I ცხრილის მიხედვით ვიცით მე-7 წელს თავისუფალი ფულადი ნაკადის ოდენობა, გრძელვადიანი ზრდის ტემპი (6%) და ფინანსური ექსპერტის მიერ განსაზღვრული დისკონტის განაკვეთი (10%) მაშინ:

$$PV_{\text{გახანგრძლივებული ღირებულება}} = \frac{1}{(1,1)^6} \times \frac{1590000}{0,10-0,06} = 22,4 \text{ მლნ. ლ.}$$

რაც შეეხება უახლოეს ექვს წელსადაც თავისუფალი ფულადი ნაკადის მიმდინარე ღირებულებას, ის 3,6 მლნ ლარის ტოლი იქნება. (აქ და ქვემოთ გამოანგარიშება - მლნ. ლარში ხდება. შემოკლებისათვის ნულები გამოტოვებულია):

$$PV_{\text{FCF}} = -\frac{0,80}{1,1} - \frac{0,96}{(1,1)^2} - \frac{1,15}{(1,1)^3} - \frac{1,39}{(1,1)^4} - \frac{0,20}{(1,1)^5} - \frac{0,23}{(1,1)^6} = -3,6 \text{ მლნ. ლ.}$$

შესაბამისად ბიზნესის მიმდინარე ღირებულება იქნება:

$$PV_{\text{ბიზნესის}} = PV_{\text{FCF}} + PV_{\text{გახანგრძლივებული ღირებულება}} = -3,6 + 22,4 = 18,8 \text{ ანუ } 18,8 \text{ მლნ. ლ.}$$

ორ დროით ინტერვალად დაყოფა. საკუთრივ შეზღუდული ხანგრძლივობის პროგნოზული პერიოდი (შეფასების განსაზღვრული ჰორიზონტი) და კომპანიის არსებობის დარჩენილი განუსაზღვრელი დრო, რომელიც ხასიათდება ბიზნესის მდგრადი მდგომარეობით. ტერმინი გახანგრძლივებული ღირებულება, რომელიც მიეკუთვნება ამ მეორე დროით ინტერვალს, პირობითად უსასრულო პერსპექტივაში მისაღები მიახლოებით, ფულადი ნაკადის საბოლოო პროგნოზირების შესაძლებლობას იძლევა.

³² ზოგჯერ, მთლიანად საწარმოს ღირებულების შესაფასებლად, ნაცვლად დისკონტირების განაკვეთისა, საწარმოს კაპიტალის საშუალოშეწონილი ხარჯებიც ($WACC$) გამოიყენება.

ამგვარად გაანგარიშების ტექნიკა თითქმის უნაკლოა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბიზნესის ღირებულების 119% გახანგრძლივებულ ღირებულებაზე მოდის (ე.ი. შეფასების ჰორიზონტის ფარგლებს გარეთ მდებარეობს). ამასთან თვალნათლივ ჩანს ისიც, რომ აღებული წინამძღვრების უმცირესი ცვლილებებიც კი გახანგრძლივებული ღირებულების ძლიერ მერყეობას გამოიწვევს. მაგალითად, თუ ზრდის გრძელვადიან ტემპად არა 6%, არამედ 8% იქნება, მაშინ ბიზნესის ღირებულება 18,8 მლნ. ლარიდან 26,3 მლნ. ლარამდე გაიზრდება. რამდენადაც თუ ზრდის გრძელვადიანი ტემპები უდრის არა 6%, არამედ 8%, პირობით საწარმოში მე-7 წლის აქციები 2%-ის დამატებით უნდა იქნეს რეინვესტირებული. ეს შეამცირებს თავისუფალ ფულად ნაკადს 1,06 მლნ. ლარამდე. ამრიგად, ასეთ შემთხვევაში ბიზნესის შეფასების შედეგად მივიღებთ:

$$PV_{\text{გახანგრძლივებული ღირებულება}} = \frac{1}{(1,1)^6} \times \frac{1,06}{0,10-0,08} = 29,9 \text{ მლნ. ლ.}$$

$$PV_{\text{ბიზნესი}} = -3,6 + 29,9 = 26,3 \text{ მლნ. ლ.}$$

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დისკონტირებული ფულადი ნაკადის მეთოდით ბიზნესის შეფასება, არის რა ტექნიკურად სრულყოფილი, სავსებით შესაძლებელია პრაქტიკაში მცდარი აღმოჩნდეს. შესაბამისად, გონიერი ფინანსური მენეჯერი თავის დაზღვევის მიზნით ეცდება, გახანგრძლივებული ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებით მიღებული შედეგების შესამოწმებლად რამდენიმე სხვადასხვა მეთოდი გამოიყენოს. განვიხილოთ ეს მეთოდები.³³

გახანგრძლივებული ღირებულების შეფასება ფ/მ კოეფიციენტის საფუძველზე

- ფ/მ კოეფიციენტის გამოყენებით გახანგრძლივებული ღირებულების შესაფასებლად, ფინანსურმა მენეჯერმა საჭიროა თვალყური ადევნოს იმ მომწიფებული კომპანიების აქციების ფასებს, რომელთა მოცულობები, რისკი და ზრდის პერსპექტივები შესაბამისი პარამეტრებით მის მიერ შესაფასებელი საწარმოს პროგნოზის ანალოგიურია. ასევე დაეუშვათ, რომ ეს კომპანიები საკუთარ აქციებს ყიდიან ფ/მ კოეფიციენტით, რომელიც 11-ს შეადგენს. ამ შემთხვევაში არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ შესაფასებელი საწარმოს ფასის მოგებასთან ფარდობა 11-ის ტოლი იქნება. ამგვარად, ჩვენს შემთხვევაში, პირობითი საწარმოს გახანგრძლივებული ღირებულების გამოსათვლელად საჭიროა ფასი/მოგების კოეფიციენტის საწარმოს მოგებაზე გამრავლება და მიღებული ნამრავლის დისკონტირება:

$$PV_{\text{გახანგრძლივებული ღირებულება}} = \frac{1}{(1+0,1)^6} \times 11 \times 3,18 = 19,7 \text{ ანუ } 19,7 \text{ მლნ. ლ.}$$

ხოლო ბიზნესის (საწარმოს) მიმდინარე ღირებულება იქნება:

$$PV_{\text{ბიზნესი}} = -3,6 + 19,7 = 16,1 \text{ ანუ } 16,1 \text{ მლნ. ლ.}$$

გახანგრძლივებული ღირებულების შეფასება აქციების

საბაზრო/საბალანსო ღირებულების კოეფიციენტის საფუძველზე.

მუდმივად მზარდი უვადო რენტის მეთოდით განსაზღვრული ბიზნესის გახანგრძლივებული ღირებულების შემოწმებისათვის ასევე გამოიყენება აქციების საბაზრო/საბალანსო ღირებულების კოეფიციენტი. აღნიშნული მეთოდით ციფრების შეფასებელი საწარმოს ანალოგიური მომწიფებული კომპანი-

³³ Брейли Р. Майерс С. Принципы корпоративных Финансов. ЗАО «Олимп-Бизнес». М. 2008., с.73.

ის გამოვლენას და მისი აქციების საბაზრო/საბალანსო ღირებულების კოეფიციენტზე დაყრდნობით, შესაფასებელი საწარმოს გახანგრძლივებული ღირებულების გამოთვლას. დაეუშვათ, რომ მსგავსი მომწიფებული კომპანიის კოეფიციენტი 1,4-ს უდრის (აღნიშნული კოეფიციენტი წარმოადგენს უბრალოდ აქციის საბაზრო ფასის ფარდობას მის საბალანსო ღირებულებასთან). მაშინ ასევე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შესაფასებელ საწარმოში აქციების საბაზრო/საბალანსო ღირებულების კოეფიციენტი 1,4-ის ტოლი იქნება. ჩვენი მაგალითის მიხედვით, აღნიშნული მეთოდით საწარმოს გახანგრძლივებული ღირებულების გამოსათვლელად საჭიროა: ანალოგიური კომპანიის აქციების საბაზრო/საბალანსო ღირებულების კოეფიციენტი (1,4) გავამრავლოთ მე-6 წელს შესაფასებელი საწარმოს აქციის ღირებულებაზე და H პერიოდის მიხედვით მოხდეს მისი დისკონტირება:

$$PV \text{ გახანგ. ღირებულება} = \frac{1}{(1 + 0,06)^6} \times 1,4 \times 23,43 = 18,5 \text{ ანუ } 18,5 \text{ მლნ ლარი}$$

ასეთ შემთხვევაში შესაფასებელი საწარმოს მიმდინარე ღირებულება იქნება:

$$PV \text{ საწარმოს} = -3,6 + 18,5 = 14,9 \text{ ანუ } 14,9 \text{ მლნ. ლარი.}$$

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გამოანგარიშების ბოლო ორ მეთოდშიც სუსტი ადგილების მოძებნა საკმაოდ იოლია. ასე მაგალითად, როგორც ცნობილია საბალანსო ღირებულება, როგორც წესი აქტივების რეალური ღირებულების საზომს არ წარმოადგენს. მაღალი ინფლაციის პერიოდებში ის შეიძლება აქტივების ფაქტიურ ღირებულებაზე გაცილებით დაბალი აღმოჩნდეს, ხოლო არამატერიალური აქტივების, მაგალითად დიზაინზე პატენტის, ღირებულებას კი ხშირად სრულებითაც არ ასახავდეს. ასევე შესაძლებელია მოგების სიდიდე ინფლაციით ან ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდების თავისუფალი არჩევით იქნეს გაყალბებული. ბოლოს კი ცნობილი არ არის რამდენად სწრაფად მოახერხებთ აღმოაჩინოთ კომპანიათა ჯგუფი, რომლებიც თქვენი კომპანიის მსგავსი იქნება.

როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ ფულადი ნაკადების დისკონტირების საბოლოო მიზანს საბაზრო ღირებულების შეაფასება წარმოადგენს. რაც ნიშნავს იმას, რომ გაარკვიოთ ინვესტორები მსგავს შემთხვევაში აქციაზე ან ბიზნესზე რამდენს გადაიხდიან. სწორედ დაკვირვების შესაძლებლობა, სინამდვილეში თქვენი პირობების მსგავს შემთხვევაში ისინი რამდენს იხდიან, ფასდაუდებელ ინფორმაციას იძლევა, რომელიც გადაწყვეტილების მიღების დროს შეიძლება ეფექტიანად იქნეს გამოიყენებული.

რეალობაზე შემდგომი შემოწმება - არსებობს საწარმოს შეფასების კიდევ ერთი მიდგომა, რომლის საფუძველს წარმოადგენს ფ/მ კოეფიციენტი და ზრდის პერსპექტივების მიმდინარე ღირებულება (PVGO).

დაუშვათ (H) შეფასების ჰორიზონტი დადგენილია არა ზრდის სტაბილიზაციის პირველ წლამდე, არამედ იმ მომენტამდე, როდესაც დარგი სავარაუდოდ კონკურენტულ წონასწორობას მიაღწევს. ადრე თუ გვიან კონკურენტები კომპანიები, ახალი მსხვილი ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობებით, გათანაბრდებიან. ასეთ შემთხვევაში კომპანია, ძირითადი ბიზნესიდან, კიდევ შეძლებს მიიღოს მაღალი შემოსავლები. იმაგდროულად აღმოაჩენს, რომ ბაზარზე ახალი პროდუქტების დანერგვა ან მცდელობები გაზარდოს წინა პროდუქტების გაყიდვები, აწყდება კონკურენტი კომპანიების ძლიერ წინააღმდეგობას. შეიძლება რეალურად შეაფასდეს ეს დრო როდის დადგება?

„ეს დრო“ მომავალში იმ მომენტს წარმოადგენს, როდესაც ზრდის პერსპექტივების წმინდა მიმდინარე ღირებულება (PVGO) ნულამდე დაიყვანება. ბოლოს და ბოლოს, PVGO-ს გააჩნია დადებითი მნიშვნელობა მხოლოდ იმ დრომდე, სანამ შეიძლება ელოდოთ, რომ თქვენს მიერ განხორციელებული ინვესტიციის შემოსავლიანობა კაპიტალზე დანახარჯებს აღემატება. როდესაც თქვენი კონკურენტები დაგეწვიან ეს ხელსაყრელი პერსპექტივები გაქრება.

როგორც ცნობილია დროის ნებისმიერ პერიოდში მიმდინარე ღირებულება უდრის შემდგომი პერიოდის მოგების კაპიტალიზირებულ ღირებულებას პლუს ზრდის პერსპექტივების მიმდინარე ღირებულება:

$$PV_t = \frac{(\text{მოგება})_{t+1}}{r} + PVGO$$

მაგრამ რა იქნება, თუ კი ზრდის პერსპექტივების მიმდინარე ღირებულება ნულის ტოლი გახდება? მაშინ H პერიოდში მიმდინარე ღირებულება (H+1) პერიოდში მისაღები მოგების კაპიტალიზირებული ღირებულების ტოლი იქნება:

$$PV_H = \frac{(\text{მოგება})_{H+1}}{r}$$

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც კომპანია კონკურენციას აწყდება, ზრდის პერსპექტივები ქრება და კოეფიციენტი ფასი /მოგება = 1/r. დაუშვათ მოსალოდნელია, რომ ჩვენს შემთხვევაში პირობით შესაფასებელ საწარმოს კონკურენტები მე-8 წელს დაეწვიან. ასეთ შემთხვევასი საწარმოს მიმდინარე ღირებულება იქნება:³⁴

$$\begin{aligned} PV \text{ გახანგრძლივებული ღირებულება} &= \frac{1}{(1 + 0,06)^6} \times \frac{\text{მოგება მე-9 წელს}}{r} \\ &= \frac{1}{(1 + 0,06)^6} \times \frac{3,57}{0,1} = 16,7 \text{ მლნ ლარი} \\ PV \text{ ბიზნესი} &= -2,0 + 16,7 = 14,7 \text{ ანუ } 14,7 \text{ მლნ. ლ.} \end{aligned}$$

ამგვარად ახლა გვაქვს ფასის ოთხი მნიშვნელობა, რომელიც კომპანიას შესაფასებელი საწარმოსათვის უნდა გადაუხადონ. ეს მნიშვნელობები გახანგრძლივებული ღირებულების გამოთვლის ოთხი სხვადასხვა მეთოდის თავისებურებებს ასახავენ. ამასთან ერთმანეთზე უკეთესი არც ერთი არ არის. თუმცა უმეტეს შემთხვევაში მაინც უკანასკნელ მეთოდს ანიჭებან უპირატესობას, რომელიც შეფასების ჰორიზონტი ვრცელდება იმ დრომდე, როდესაც მენეჯერების პროგნოზების მიხედვით, PVGO ნულამდე დაიყვანება. ბოლო მეთოდი მენეჯერებს აიძულებს ახსოვდეთ, რომ ადრე თუ გვიან კონკურენტები მტკიცებულ ადგილზე ფეხის დადგმას შეეცდებიან.

ჩვენს მიერ პირობითი საწარმოს შეფასების მნიშვნელობები 14,7 მლნ-დან 18,8 მლნ. ლარის ფარგლებში მერყეობს. სხვაობა დაახლოებით 4 მლნ. ლარს შეადგენს. აღნიშნულმა შეიძლება დაგვაეჭვოს, მაგრამ ექსპერტთა თვალსაზრისით ეს ჩვეულებრივი სიტუაციაა. დისკონტირებული ფულადი ნაკადის ფორ-

³⁴ შეფასების ჰორიზონტის ფარგლებში თავისუფალი ფულადი ნაკადის მიმდინარე ღირებულება იზრდება -2 მლნ. ლარამდე, რადგან ახლა მე-7 და მე-8 წლებში ფულადი სახსრების ნაკადებიც აღირიცხება. კერძოდ:

$$-(0,80/1,1) - (0,96/1,1^2) - (1,15/1,1^3) - (1,9/1,1^4) - (0,20/1,1^5) - (0,23/1,1^6) + (1,59/1,1^7) + (1,68/1,1^8) = -2 \text{ მლნ. ლარი}$$

მულები საბაზრო ღირებულების მხოლოდ პირობითი შეფასების საშუალებას იძლევა და ეს შეფასება შესაბამისი პროგნოზებისა და წანამდგრების ცვლილებებთან ერთად იცვლება. მენეჯერმა, სანამ არ არის დადებული რეალური გარიგება, არ შეიძლება ნამდვილი საბაზრო ღირებულება იცოდეს. მენეჯერის მიერ ხსენებულ მეთოდები შეიძლება მხოლოდ საორიენტაციოდ იქნეს გამოიყენებული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Брейли Р. Майерс С. Принципы корпоративных Финансов. ЗАО «Олимп-Бизнес». М. 2008
2. Кашеев Роман, Стоимость компании как основной критерий эффективности бизнеса Журнал "Финансовый Директор", № 12, 2003.
3. И. В. Осолков, Фундаментальные показатели и рыночная капитализация бизнеса., Журнал «Финансы и Бизнес» #4, 2006г.
4. Роберт В. Колб, Рикардо Дж. Родригес - Финансовый Менеджмент М.2001
5. Стандарты по оценке бизнеса ASA: Доходный подход к оценке бизнеса
6. <http://www.cfin.ru/finanalysis/value/asa/bvs-7.shtml>

lily gvenetadze
TSU Associated Professor
Alexander Tsereteli
International Fund Apex, Financial assistant.

SOME METHODOLOGICAL ISSUES OF EVALUATION OF BUSINESS

Summary

Main criteria for evaluating business effectiveness, is the value of the business. Business evaluation is one of the most important directions in applied science. The problems with the evaluation are especially evident in the post soviet countries and moreover in Georgia, where corporate management is weakly developed. The article looks at various methodical and methodological subjects of business evaluation; it also explores how well the modern corporate finances theory helps in such evaluations.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები

Khatuna Berishvili

Academic Doctor of Economics

Associated Professor of Sokhumi State University

FOREIGN TRADE POTENTIAL OF GEORGIA

For the Deepening of market economic relations it is essential to be oriented on foreign trade for such a small country as Georgia. It will create possibility of deep integration into the world economy. Maintaining of the existing trade relations is important, but at the same time it is indispensable appearance at new markets and diversification of export goods. However, such strategies should be elaborated for this, in which the peculiarities of export markets will be considered.

From this viewpoint it is urgent for the country to master the EU markets not yet mastered segments, because EU with its enormous, but most demanding market is natural trade partner for Georgia, especially if we take into consideration the circumstance that in the nearest perspective the country will sign an agreement on neighboring policy with EU. In the process of mastering the preferences already established in the trade with EU Georgia as small and low-income country should concentrate on its advantage – low cost of labor force. Trade policy should promote reorganization of the geography of economy, though in the existing situation efficiency of concrete trade policy depends on real functioning of economy and not on economic conceptions.

It is clear that Turkey and EU are main trade partners for Georgia, but it should be considered that it seems the process of reorientation from the former Soviet market was not going as dynamically as, for example, it took place in the East European countries. Among export trade partners of Georgia in the CIS and Turkey exceeds much “normal level”³⁵, which is welcomed on the one part, but on the other, export potential with the USA, Germany, Belgium, Korea and other countries is not used. Despite the fact that inertia of the past still influences the model of regional trade, within last decades Georgia successfully managed expansion of production sales markets, their diversification. At present, from the geographical viewpoint export is less concentrated than it was ten years ago. Georgians are the most successful at markets of Turkey, which after the CIS is second partner of Georgia now by its size. The share of export to Turkey has been recently quite instable, mostly because Turkey is main exporter of scrap metal from Georgia, the demand on which is rather changeable.

Table 1

Geographic Distribution of Export of Georgia%³⁵

	2005	2010
CIS	39, 8	41, 1
Turkey	23, 7	29, 1
Other regions	33, 5	36, 8
Among them		
Black Sea Economic Cooperation organization countries	60, 0	57, 0

Export of Georgia is oriented at several kinds of production only. 64% of Georgia’s entire export comes on the commodity of ten designations. In trade with EU three commodity

³⁵ Source: customs department of The Ministry of Finance of Georgia.

groups comprise 56% of Georgia’s entire export. Some types of main export goods have no future prospects. The best example of this is export of scrap metal, which was on the first place in the list of Georgia’s export goods. Export of scrap metal can be called export of hard times, during which an (new) owner of the enterprise sells the stock and machines-devices to reach short-term goals. When business returns to normal regime and perfect corporation management is formed, naturally, export of scrap metal will reduce, as it happened in other countries after the crisis of transitional period was overcome.

Table 2

Main Export Goods of Georgia
(Mln USD)³⁶

In the world			in 25 countries of EU		
Goods	2005	2010 5 months	Goods	2005	2010 5 months
Entire export	866.2	388.2	Entire export	55.2	75.0
Among them:			Among them:		
Ferrous metal remains And scrap metal	84.2	27.1	fresh or dried nuts	18.0	48.3
Natural grapes wine	51.3	65.2	water, mineral waters included	9.1	18.2
Non-ferrous metal	80.2	35.5	mineral or chemical fertilizers	18.8	22.1
fresh or dried nuts	70.3	23.9	machine elements	10.7	2.0
other aircrafts	69.4	40.9	isotopes and their combinations	3.2	1.4
copper ore and concentrates	36.4	23.6	articles of precious stones	2.8	2.9
mineral or chemical fertilizers	15.8	37.3	natural grapes wine	1.4	2.0
Gold	24.7	38.6	ferrous metal remains scrap metal	2.4	1.2
water, mineral waters included	20.5	37.8	gold	2.1	1.0
spirit, liquor	29.2	11.7	oil products	1.8	0.6
other	312.2	146.8	woman’s clothes	1.8	0.8
			fruit and vegetable juice	1.4	0.9
			other	43.7	17.3

³⁶ Source: customs department of the ministry of finance of Georgia

Main export goods for Georgia are still agricultural produce, such as, for example, wine. In addition, processed raw material (manganese) and fertilizers are exported in great amount. Due to scarce export basket, Georgia is unprotected from any changes in foreign demands, which was shown by the embargo imposed by Russia on Georgian produce.

From January 2006 Georgia uses generalized system of preferences in trade with EU. This means that Georgia can export to EU any kind of goods without duties, except arms, bullets, and some kinds of agricultural produce. This system implies goods of 7 200 designations. To this is added goods of 2 100 designations with most favorable regime, which are taxed by zero customs tariff. Thus, from 10 000 tariff position of EU common customs code goods of 9 300 designations are free from customs duties. If the product, for example, wine is taxed according to both cost and amount, it will be taxed by zero rates according to cost, and by full rate – according to the amount. The country is given the right to use generalized system of preferences in case it has ratified and used 27 main international conventions, and economy is less diversified, which means that five biggest groups in EU with generalized system of preferences should make up 75% of entire export goods of this system.

Georgia has concluded multilateral agreement on free trade with the CIS and bilateral agreements with separate countries of the CIS. Thus, Georgia can export production to neighboring countries without duties. From the export viewpoint Georgia can be considered as a part of one-sided free trade zone, though because EU trade regime has been recently introduced; foreign trade statistics still fails to express the good of tariffs' last reduction.

Small countries are often recommended to perform the function of a transit country. The Baltic countries to some extent can be a successful example of such distribution of commodity streams. From the viewpoint of transportation through pipelines Georgia already performs the function of a transit country, Georgia has become a transit centre for export from the region and Central Asia, Privileges at EU markets, certainly, concern only produce produced in Georgia. Even more, Georgia is not the only country, which was granted the right to use preferential tariffs by EU. Turkey is also conducts duty-free export to EU and that's why (from this viewpoint) s Georgia's competitor and, finally, if we don't consider the Black Sea ports, transportation of freight from neighboring countries to Georgia is difficult due to mountainous relief. Compared with the neighboring countries Georgia has higher expenses in freight transportation /4/. In short, Georgia's location on the Black Sea coast (on which Russia and Turkey are also located) can become a competitive advantage only in case the country develops infrastructure and acquires EU organizational and institutional habits, which for example will be good for transportation of export from the Asian countries to Europe.

Direct foreign investment is rather big unused potential for Georgia's export. The factors, facilitating export (as duty-free permit at EU markets), mobilize also direct foreign investment oriented at export. Only in recent years direct foreign investments reached 1, 3 USD, a great part of which is investment into the pipelines. In Georgia per capita investment is 400USD when this indicator in EU new member countries is more than 2 000 USD, and in the countries of South-East Europe it reaches 800 USD, and still, this level of direct foreign investment, which in last years made up 6-8% of GDP, is an important source of financing the current account deficit. In parallel with the process of privatization of energy sphere, inflow of capital increases as well.

Low level of direct foreign investments is mostly a result of non-beneficial business environment and political turbulence.

Nearly all the transitional countries chose the strategy of growth of direct foreign investments and export. One of the last examples of this is Slovakia. By 2005 this country applied quite liberal economic policy to form business environment for promotion of business development. At the same time it has elaborated intensive policy of mobilizing foreign direct investments, which foresaw liberation from taxes, establishment of low prices on land, and some direct and indirect (financial) subsidies.

Transition economy countries successfully advanced due to direct foreign investments and export-oriented economic growth, but these foreign-trade oriented strategies were promoted by great efforts of the government for mobilizing foreign capital and appearance at foreign markets, close relations with international markets are considered one of those main factors, which facilitates improvement of local industry and formation of new products. International competition is the factor, which essentially promotes geographic diversification and variety of products. Only participation in such competition gives companies a chance to acquire technological knowledge, which is so important for Georgia

References

1. Reliability of trade statistics of Georgia in UNCTAD/WTO, International Trade Centre, <http://www.interacen.org>
2. Papaphippou Apostolos. Monetary Developments in Georgia: Trends and Policy Implications, Georgian Economic Trends. Quarterly Review, June 2009.
3. UNCTAD/WHO. International Trade Centre.
4. IMF. Georgia: Selected Issues. Country Report No. 06/170, May 2010, p 54.
5. The Bilateral Agreements on Technical Barriers or Agriculture between Switzerland and the EU. <http://www.europa.admin.ch>
6. www.doingbusiness.org

ხათუნა ბერიშვილი

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

საქართველოს საბარეო სამაჭრო პოტენციალი

რეზიუმე

საბარეო ეკონომიკური ურთიერთობების გადრმაგება ისეთი პატარა ქვეყნისაგან, როგორც საქართველოა მოითხოვს საგარეო ვაჭრობაზე ორიენტაციას, რაც მას უქმნის მსოფლიო ეკონომიკაში ღრმა ინტეგრაციის შესაძლებლობას. არსებული საგარეო კავშირების შენარჩუნება მნიშვნელოვანია, მაგრამ ამავე დროს აუცილებელია ახალ ბაზრებზე შეღწევა და საექსპორტო საქონლის დივერსიფიკაცია. ამისათვის კი ისეთი სტრატეგიები უნდა შემუშავდეს, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება საექსპორტო ბაზრების თავისებურებები. ამ თვალსაზრისით ქვეყნისათვის აქტუალურია ევროკავშირის დაუკავებელი სეგმენტის ათვისება, რადგანაც ევროკავშირი თავისი უზარმაზარი, მაგრამ ძალზე მომთხოვნი ბაზრით საქართველოს ბუნებრივ საგარეო პარტნიორად გვევლინება, განსაკუთრებით თუ გაითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ უახლოეს პერსპექტივაში ქვეყანა ევროკავშირთან სამეზობლო პოლიტიკის ხელშეკრულებას მოაწერს ხელს.

საერთაშორისო ბაზრებთან მჭიდრო ურთიერთობა მიჩნეულია იმ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად რომელიც ადგილობრივი მრეწველობას გაუმჯობესებასა და ახალი პროდუქტების შექმნას უწყობს ხელს. საერთაშორისო კონკურენცია კი ის ფაქტორია, რომელიც მნიშვნელოვნად განაპირობებს გეოგრაფიულ დივერსიფიკაციასა და პროდუქციის გამრავალფეროვნებას. მხოლოდ ასეთ კონკურენციაში მონაწილეობა აძლევს ფირმებს შანსს შეიძინონ ორგანიზაციული და ტექნოლოგიური ცოდნა, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია საქართველოსათვის.

ინფორმაცია

2008 წლიდან დაარსდა პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, რომელიც გამოდის პერიოდულად.

შრომების კრებულში დაიბეჭდება მეცნიერ ეკონომისტთა (მეცნიერებათა დოქტორები, აკადემიური დოქტორები) შრომები, ასევე, ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტების და პრაქტიკოს ეკონომისტთა სათანადო მეცნიერული დონის სტატიები.

ავტორთათვის კრებულში სტატიების გამოსაქვეყნებლად მოქმედებს შემდეგი წესები:

1. კრებულში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალთ, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური – TIMES NEW ROMAN). ერთი გვერდის ღირებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: economisti1@rambler.ru, tealazarashvili@rambler.ru

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და კრებულის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

ღამატიპითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ოთახი 13, ტ.: 99-66-46; 99-74-09.

**პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის
გამომცემლობა**

ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე
შელავათიან ფასებში

გთავაზობთ ნებისმიერ საგამომცემლო საქმიანობას:

- მასალის აკრეფა, დაკაბადონება, რედაქტირება

გამოიცემა:

- სამეცნიერო წიგნები და ნაშრომები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ცნობარები
- პერიოდული გამოცემები (სამეცნიერო შრომათა კრებული, სამეცნიერო ჟურნალები, კონფერენციის მასალები)

- ორიგინალური და ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, საბავშვო წიგნები, ალბომები და გზამკვლევები
- ელექტრონული დარგობრივი ჟურნალები

მისამართი: თბილისი, გერონტი ქიქოძის ქ. №14
 36 94 77; 93 22 60; 99 66 46; 8(55) 33 01 38.
 ელ.ფოსტა: gamomcemloba@rambler.ru

ჟურნალ "ეკონომისტი" სტატიების წარმოდგენის წესები

1. ჟურნალში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური TIMES NEW ROMAN).
4. ჟურნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში მათი შემოსვლის რიგის მიხედვით. რედაქციის მიერ სტატიის წარმოდგენის თარიღად ჩაითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი.
5. სტატია, რომელიც სრულად არ პასუხობს ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს, რედაქციის მიერ არ მიიღება. **ერთი გვერდის ღირებულებაა 5 ლარი.**

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: economisti1@rambler.ru, tealazarashvili@rambler.ru

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და ჟურნალის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

ღამატიპითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:
 ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ოთახი 13, ტ.: 99-66-46; 99-74-09.

GEL

მიმღები	მიმღები: თსუ/ანგარიში პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტისათვის
	მიმღების IBAN ანგარიშის # GE72 BR00 0001 0405 5894 42

მიმღების ბანკი	ს.ს. ბანკი „რესპუბლიკა“
	ბანკის BIC კოდი: REPLGE22

THE RULES OF HANDING IN SUBMISSION THE REPORTS TO THE JOURNAL “ECONOMIST”

1. Scientific works sent to publish should be the result of independent research. The work should guarantee copyrights and should not be published in other organs.
2. An original paper sent to editorial board must be signed by the author, and in case of coauthorship – by all authors, providing names, first names, position, degrees, titles, full address, telephone, fax and e-mail.
3. The paper should be printed by computer with 1,5 spacing, A4 format, 12 font. The articles should be sent to editorial board in two printed copies together with electronic version (MS WORD, Georgian text font - AcadNusx, English text font - Times New Roman).
4. Articles are published in succession of their receiving by the editorial staff. If an article is sent back to the author for revision the data of receiving the final text is regarded as date of submission for consideration. Price of a page – 10 \$.

The paper not meeting these requirements is not taken for consideration.

The articles should be sent by e-mail to the address: economist1@rambler.ru, tealazarashvili@rambler.ru

Institute managers and editorial staff is ready for collaboration.

For additional information, please, connect to the address: Tbilisi, 14 Kikodze str., tel: 99.66.46.

USD

BENEFICIARY	Beneficiary's name: TBILISI STATE UNIVERSITY
	Beneficiary's IBAN NO: GE72 BR00 0001 0405 5894 42
BENEFICIARY BANK	BANK “REPUBLIC” Tbilisi, Georgia
	Correspondent Acc. 00195464
	SWIFT: REPL GE 22
INTERMEDIARY BANK	SOCIETE GENERALE, N.Y., USA
	SWIFT: SOGE US 33

ჟურნალი “ეკონომისტი”

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 996646; 932804; 899 970103.
E-mail: economisti1@rambler.ru

Journal “Economisti”

Edress: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 996646; 893 314628.
E-mail: economisti1@rambler.ru

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა
გამომცემლობის რედაქტორი **სესილი ხანჯალაძე**

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics

Redactor of Publishing House **Sesili Khandjaladze**